საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი

სისხლის სამართლის საქმეებზე

2012, №01-06

სისხლის სამართლის
კერძო ნაწილი

სისხლის სამართლის
პროცესი

საძიებელი

სისხლის სამართლის კერძო ნაწილი

- განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში
- მძევლად ხელში ჩაგდება
- თაღლითობა
- დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა
- დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა

სისხლის სამართლის პროცესი

- განაჩენის გაუქმება და საქმის ხელახალი სასამართლო განხილვისათვის დაბრუნება საკასაციო ინსტანციის სასამართლოს მითითებით
- განაჩენის გაუქმება და საქმის დაბრუნება პროკურორისათვის საპროცესო შეთანხმების პირობების დარღვევის გამო
- განაჩენში ცვლილებების შეტანა; მსჯავრდებულის სასიკეთოდ დამატებით სასჯელად დაკისრებული ჯარიმის ამორიცხვა
- საპროცესო შეთანხმება .....
- ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვა
- ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვა
- ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვა
- ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვა
- ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვა
- ექსტრადიცია
- საკასაციო გასაჩივრების ვადა

კერძო ნაწილი

განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში

განჩინება

[1]471ას-11 14 თებერვალი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
ი. ტყეშელაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ ო. ა-ისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ვ. ა-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 4 ივლისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ო. ა-ი, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 9 თებერვლის განაჩენით მსჯავრდებულ იქნა და მიესაჯა: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლის 1-ელი ნაწილის საფუძველზე – თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით; საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტისა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე – თავისუფლების აღკვეთა 17 წლის ვადით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის (2010 წლის 23 თებერვლის რედაქცია) 1[1]-ლი ნაწილის შესაბამისად, საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დანიშნულ სასჯელს – 17 წლით თავისუფლების აღკვეთას – დაემატა საქართველოს სსკ-ის 118-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნული სასჯელის – 2 წლით თავისუფლების აღკვეთის ნახევარი – თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით და საბოლოოდ ო. ა-ს სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 18 წლის ვადით.

განაჩენით ო. ა-ს მსჯავრი დაედო შემდეგ დანაშაულთა ჩადენაში: ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება, რომელიც სიცოცხლისათვის სახიფათო არ არის და არ გამოუწვევია საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, მაგრამ დაკავშირებულია ჯანმრთელობის ხანგრძლივ მოშლასთან; მანვე ჩაიდინა განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში – წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ და ანგარებით.

განაჩენის მიხედვით, ო. ა-ის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2010 წლის 5 ივნისს თბილისში, თემქის დასახლების ... კორპუსის ეზოში, ო. ა-მა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა თავის ძმას – პ. ა-ს და ხელჯოხით დაუწყო ცემა, რის შედეგადაც პ. ა-მა სხეულის სხვადასხვა არეში მიიღო დაზიანებები, კერძოდ: ნაჭდევი – შუბლის თხემის შუა მიდამოში, წარბთაშუა სივრცეში, ცხვირზე, მარცხენა წარბის გარეთა კიდეში, ორივე მუხლსა და ორივე წვივზე; სისხლნაჟღენთები – მარცხენა ყურის ნიჟარასა და მარცხენა ხელის მტევანზე; ცემის შედეგად ო. ა-მა პ. ა-ს ასევე მიაყენა მარცხენა ხელის მტევნის ძვლის მოტეხილობა, რაც მიეკუთვნება დაზიანებათა ნაკლებად მძიმე ხარისხს ჯანმრთელობის ხანგრძლივი მოშლით. ამის შემდეგ ო. ა-მა კვლავ ჩაიდინა დანაშაული პ. ა-ის მიმართ, კერძოდ: წლების განმავლობაში ო. ა-ი ძმასთან – პ. ა-თან ერთად ცხოვრობდა მშობლებისეულ სახლში, მდებარე თბილისში, თემქის დასახლება..., ძმები ხშირად სვამდნენ ალკოჰოლურ სასმელს და ნასვამობის მიზეზით სისტემატურად მოსდიოდათ კონფლიქტი. 2010 წლის ზაფხულიდან, იმის გამო, რომ პ. ა-მა არ მისცა საშუალება ო. ა-ს, გაეყიდათ მათი საერთო საცხოვრებელი ბინა, მათ შორის ურთიერთობა კიდევ უფრო დაიძაბა და უკვე ამ მოტივით ო. ა-ი განაგრძობდა პ. ა-ის სისტემატურ ცემას. ბოლო პერიოდში პ. ა-ი ავადმყოფობდა და ხშირად იწვა, ხოლო ო. ა-ი სარგებლობდა იმ გარემოებით, რომ ფიზიკურად ძმაზე ძლიერი იყო და სისტემატურად აყენებდა მას ფიზიკურ შეურაცხყოფას, ხშირად მეზობლების თანდასწრებითაც გამეტებით ურტყამდა თავში ხელჯოხს. მას შემდეგ კი, რაც მეზობლებმა მისი ქმედებების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება გამოამჟღავნეს, ო. ა-ი შეეცადა, შეენიღბა თავისი დანაშაულებრივი ქმედება და ღამღამობით, ბინაში ძმასთან მარტო ყოფნისას, აგრძელებდა პ. ა-ის ცემას, ვინაიდან პ. ა-ი მას კვლავ არ აძლევდა თანხმობას თავიანთი საცხოვრებელი ბინის გაყიდვაზე. 2010 წლის 23 ივლისს, აღნიშნულ ბინაში ყოფნის დროს, ნასვამმა ო. ა-მა გადაწყვიტა თავისი ძმის მოკვლა, რათა ეს ბინა მას დარჩენოდა. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად იგი მიუახლოვდა ლოგინში მწოლიარე, უმწეო მდგომარეობაში მყოფ თავის ძმას – პ. ა-ს და რამდენჯერმე ჩაარტყა თავში ბლაგვი საგანი, რის შედეგადაც იგი, თავის არეში მიყენებული დაზიანების გამო, შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო ო. ა-ი დააკავეს იმავე დღეს თავისი საცხოვრებელი ბინის ეზოში.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ო. ა-მა, რომელიც სააპელაციო საჩივრით ითხოვდა გამართლებას ანგარების მოტივით ძმის მკვლელობაში და მის დასჯას საქართველოს სსკ-ის 109-ე

მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა (უმწეო მდგომარეობაში მყოფის განზრახ მკვლელობა) და 118-ე მუხლის 1-ელი ნაწილით (ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება), აგრეთვე მის მიმართ ამ მუხლების სანქციით გათვალისწინებული მინიმალური სასჯელების განსაზღვრას.

საჩივარი განიხილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, რომელმაც არ დააკმაყოფილა აპელანტის მოთხოვნა და 2011 წლის 4 ივლისის განაჩენით უცვლელად დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მიერ მსჯავრდებულ ო. ა-ის მიმართ გამოტანილი განაჩენი.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ო. ა-მა და მისმა დამცველმა ვ. ა-ემ საკასაციო საჩივრით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორები ითხოვენ გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანას ო. ა-ის სასიკეთოდ, კერძოდ: საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდების ნაწილში მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის მოტივით, ხოლო ბრალდების სხვა ნაწილში მის დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში – კანონით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალური ზომის დანიშვნას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა მსჯავრდებულ ო. ა-ის საქმის მასალები და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივრის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს განაჩენში მოცემულ დასკვნას იმის თაობაზე, რომ თავისი ძმის – პ. ა-ის განზრახ მკვლელობის ჩადენისას ო. ა-ი მოქმედებდა ანგარებითი მოტივით, რადგან საქმეში არსებული უტყუარი მტკიცებულებებიდან გამომდინარე, რომლებსაც ეყრდნობა განაჩენი, საფუძველი ასეთი დასკვნისათვის არ არსებობს. თავისი გადაწყვეტილების დასაბუთებისას სასამართლო უთითებს მოწმეების – ვ. მ-ის, ხ. ბ-ის, ნ. ბ-ას, მ. გ-ისა და მ. ბ-ის ჩვენებებზე, მაგრამ არც ერთი ამ ჩვენებიდან არ გამომდინარეობს, რომ უმწეო მდგომარეობაში მყოფი ძმის მკვლელობისას ო. ა-ი მოქმედებდა ანგარებითი მოტივით, რაც მდგომარეობს სხვის ხარჯზე გამორჩენის მიღებისაკენ სწრაფვაში. ყველა მოწმის ჩვენებიდან უდავოდ დასტურდება მხოლოდ ერთი არსებითი ფაქტობრივი გარემოება: შემთხვევამდე ერთი წლით ადრე ძმებ ა-ებს შორის ურთიერთობა დაიძაბა, ო.ი სისტემატურად სცემდა პ.ს, რადგან იგი ო.ს არ აძლევდა მათი საერთო ბინის გაყიდვის უფლებას. რაც შეეხება იმ გარემოებას, თუ რატომ ითხოვდა ამ ბინის გაყიდვას ო. ა-ი, ამას განმარტავს თვითონ მსჯავრდებული სასამართლოებისათვის მიცემულ ჩვენებებში, რომელთა მიხედვით, მას სურდა საერთო საკუთრებიდან თავისი წილის მიღება, ხოლო ძმას თავისი წილი დარჩებოდა გაყიდული ბინის ღირებულებიდან. ო. ა-ის ჩვენებები სააპელაციო სასამართლომ საერთოდ შეფასების გარეშე დატოვა იმ პირობებში, როდესაც საქმეში ფაქტობრივად არ არსებობს სხვა მტკიცებულებები, რომლებითაც გაბათილდებოდა მსჯავრდებულის მიერ წარმოდგენილი თავისი მოქმედების მოტივაცია. ამასთან, მსჯავრდებულის პოზიციას ვერ აბათილებს ზემოხსენებული მოწმეების ჩვენებებიც, რომლებითაც მხოლოდ შემდეგი რამ დასტურდება: ძმებს შორის ჩხუბი მხოლოდ მათი საერთო ბინის გაყიდვა-არგაყიდვის მიზეზით ხდებოდა და არა იმის გამო, რომ ო. ა-ი როდისმე პრეტენზიას გამოთქვამდა ძმის მიმართ, რომ ბინა მთლიანად მისი იყო ან მთლიანად მისთვის უნდა დაეთმო. ასეთი ფსიქოლოგიური საფუძველი კი, რამაც ო. ა-ს მკვლელობის ქმედების ჩადენისაკენ უბიძგა, არ შეიძლება შეფასდეს როგორც ანგარებითი მოტივი.

ამრიგად, სააპელაციო სასამართლომ ო. ა-ის ბრალდების საქმეზე არ დაიცვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია შემდგომი ცვლილებებითა და დამატებებით) მე-18 მუხლით, იმავე კოდექსის მე-19 მუხლის მე-2 ნაწილითა და 496-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნები, რამაც საბოლოოდ ნეგატიური გავლენა მოახდინა საქმის სამართლებრივ შედეგზე – მსჯავრდებულის კანონიერი ინტერესების საზიანოდ. აღნიშნული გარემოება წარმოადგენს ისეთ არსებით საპროცესო დარღვევას, რაც, საქართველოს სსსკ-ის (მითითებული რედაქცია) 562-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა და იმავე კოდექსის 563-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უნდა განვიხილოთ როგორც გასაჩივრებული განაჩენის შეცვლის საფუძველი.

განხილული გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მივიდა შემდეგ დასკვნამდე: თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 4 ივლისის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ: ო. ა-ს უნდა მოეხსნას საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე შერაცხული ბრალდება და ამ ნაწილში მის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო. ო. ა-ის მიერ ჩადენილი ქმედების კვალიფიკაცია სხვა ნაწილში, რაც დადგენილია სააპელაციო სასამართლოს განაჩენით, უნდა დარჩეს უცვლელად. ამასთან, საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისათვის მსჯავრდებულ ო. ა-ს, აღნიშნული ქმედების სიმძიმისა და მისი ჩადენის პირობების, აგრეთვე თვით მსჯავრდებულის პიროვნული მახასიათებლებისა და საქმის სხვა გარემოებების გათვალისწინებით, სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 14 წლის ვადით, რასაც უნდა დაემატოს მის მიმართ საქართველოს სსკ-ის

118-ე მუხლის 1-ელი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელის ნახევარი – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის (მითითებული რედაქცია) 561-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, იმავე კოდექსის 568-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ო. ა-ისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ვ. ა-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 4 ივლისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ ო. ა-ს მოეხსნას საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე შერაცხული ბრალდება და ამ ნაწილში მის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო. მსჯავრდებულ ო. ა-ს საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 14 წლის ვადით, რასაც საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის (მითითებული რედაქცია) 1[1]-ლი ნაწილით გათვალისწინებული სასჯელთა ნაწილობრივი შეკრების წესით დაემატოს განაჩენით მის მიმართ საქართველოს სსკ-ის 118-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელის – 2 წლით თავისუფლების აღკვეთის ნახევარი – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რის შედეგადაც მსჯავრდებულ ო. ა-ს სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 15 წლის ვადით.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მძევლად ხელში ჩაგდება

განჩინება

[1]66ას-12 16 მარტი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
პ. სილაგაძე,
გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულების – ჯ. ე-სა და ჯ. ჩ-ს საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 26 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 25 ივნისის განაჩენით:

ჯ. ჩ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ე“, „ვ“ ქვეპუნქტებით – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა მთლიანად და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 30 წლით თავისუფლების აღკვეთა. ჯ. ჩ-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2010 წლის 10 ოქტომბრიდან.

მასვე «ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საექიმო და საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

ჯ. ე-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ე“, „ვ“ ქვეპუნქტებით – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 10 წლით თავისუფლე-

ბის აღკვეთა, 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა მთლიანად და მას მიესაჯა 32 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ჯ. ე-ს საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვრა 30 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2010 წლის 10 ოქტომბრიდან.

მასვე «ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საექიმო და საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

განაჩენის მიხედვით, ჯ. ჩ-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, შვიდ დღეზე მეტი ხნით და ანგარებით მძევლად ხელში ჩაგდებაში დახმარება იმ მიზნით, რომ მძევლის გათავისუფლების პირობით აიძულონ პირი, შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება; წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ გამოძალვა, ე.ი. დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზნით, ქონებრივი სარგებლის მოთხოვნა, რასაც თან ერთვის დაზარალებულის მიმართ ძალადობის გამოყენების მუქარა; წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ხოლო ჯ. ე-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, შვიდ დღეზე მეტი ხნით და ანგარებით მძევლად ხელში ჩაგდებაში დახმარება იმ მიზნით, რომ მძევლის გათავისუფლების პირობით აიძულონ პირი, შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება; წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ გამოძალვა, ე.ი. დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზნით, ქონებრივი სარგებლის მოთხოვნა, რასაც თან ერთვის დაზარალებულის მიმართ ძალადობის გამოყენების მუქარა; წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო ტარება, რაც გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის 30 მაისს, დაახლოებით 7 საათსა და 30 წუთზე, გამოძიებით დაუდგენელმა პირებმა, მძევლად ხელში ჩაგდების მიზნით, გაიტაცეს თბილისში, ... [1]..., ბინა [1]...-ში მცხოვრები ო. ს-ა.

2007 წლის 2 ივნისს ჯ. ჩ-მ და ჯ. ე-მ გამოძიებით დაუდგენელ მისამართზე არსებული კომპიუტერის მეშვეობით დაარეგისტრირეს შემდეგი ელექტრონული მისამართი – ... და პაროლი – .... 2007 წლის 2 ივნისს, 20.54 საათზე, დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზნით, აღნიშნულ მისამართზე მათ განათავსეს გამოძალვის შინაარსის მქონე წერილობითი შეტყობინება: „მამა კარგად არის, უნდა 25000 ათასი, 5 დღეში მოვა გალის ხიდზე“. გამოძიებით დადგენილია, რომ ჯ. ჩ-მ და ჯ. ე-მ ისარგებლეს კომპიუტერით, რომლის იპ მისამართია: ....

ჯ. ჩ-მ, ჯ. ე-თან წინასწარი შეთანხმებით, 2007 წლის 3 ივლისს ო. ს-ს ნათესავის – ვ. ქ-ს საკუთრებაში არსებული, ო. ს-ს საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე გაჩერებული ავტომანქანის, სახ.[1]..., საჭის მხარეს, უკანა ხედვის სარკეზე, წებოვანი ლენტით მიამაგრა წერილი, რომლის მიხედვითაც, ო. ს-ს ოჯახის წევრები ინფორმაციას მამის შესახებ მოიპოვებდნენ ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე – ... და პაროლით – .... აღნიშნულ ელექტრონულ მისამართზე შესვლის შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი ინფორმაცია – „მამა კარგად არის, უნდა 25000 ათასი, 5 დღეში მოვა გალის ხიდზე“.

2007 წლის 8 ივნისს, 20.20.30 საათზე, ჯ. ჩ-მ და ჯ. ე-მ ელექტრონული ფოსტის ... გამოყენებით თბილისში, ... ქ. [1]...-ში მდებარე ინტერნეტ-კლუბიდან მათ მიერ დარეგისტრირებულ მისამართზე ო. ს-ს ოჯახის წევრებს გაუგზავნეს ელექტრონული შეტყობინება „25 ??“, ხოლო 2007 წლის 11 ივნისს, 19.02.44 საათზე, იმავე ინტერნეტ-კლუბში, ელექტრონული ფოსტის ...-ის გამოყენებით მოახდინეს ელექტრონული ფოსტის დათვალიერება.

2007 წლის 12 ივნისს, 12.48.03 საათზე, ... [1]...-ში განთავსებულ ინტერნეტ-კლუბში ჯ. ჩ-მ, ჯ. ე-თან წინასწარი შეთანხმებით, ელექტრონულ ფოსტა ...-ზე განათავსა ...–ის ელექტრონული ფოსტიდან შემოსული გზავნილი, სადაც მიმაგრებული იყო ვორდის ფაილი (12121. დოკ.), კერძოდ: „...თუ გენანებათ, დაფიქრდით, რას იტყვის ხალხი „დაენანა გამზრდელისათვის“. 25 ათასი „ვის“ ეშმაკს. ეს ბოლო წერილია, როცა იქნები მზად, მაშინ დაწერე. თუ არა გაქვს საშუალება ან არ გინდა, რას წერ წერილებს“. აღნიშნული გზავნილი ჯ. ჩ-მ და ჯ. ე-მ გადააგზავნეს კომპიუტერიდან, რომლის იპ მისამართია: ....

იმავე დღეს, 13.05.52 საათზე, ჯ. ჩ-ა და ჯ. ე-ი თბილისში, ... ქ. [1]...-ში განთავსებულ ინტერნეტ-კლუბიდან, კომპიუტერის იპ მისამართი: ...-დან შეეცადნენ წაეშალათ თბილისში, ... ქ. [1]...-ში განთავსებულ ინტერნეტ-კლუბში არსებული ელექტრონული ინფორმაცია.

2007 წლის 17 ივნისს, 19.07 საათზე, ჯ. ჩ-მ, ჯ. ე-თან წინასწარი შეთანხმებით, თბილისში, ... [1]...-ში მდებარე ინტერნეტ-კაფეს [1]... კომპიუტერიდან, რომლის იპ მისამართია: ..., წაშალა ... ელექტრონულ ფოსტაში არსებული გზავნილები.

ჯ. ჩ-სა და ჯ. ე-ს მსჯავრი დაედოთ აგრეთვე იმაში, რომ მათ წინასწარი შეთანხმებით, გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინეს ნარკოტიკული ნივთიერება „მორფინის ჰიდროქლორიდის“ შემცველი 20 ამპულა, რაც უკანონოდ შეინახეს თავიანთ საცხოვრებელ ბინაში, მდებარე თბილისში, ... [1]..., ბინა [1]...-ში.

2010 წლის 10 ოქტომბერს, ჯ. ჩ-სა და ჯ. ე-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, სამართალდამცველებმა ამოიღეს მათ მიერ უკანონოდ შეძენილი და შენახული 20 ამპულა ნარკოტიკული ნივთიერება.

ჯ. ჩ-ს მსჯავრი დაედო აგრეთვე იმაში, რომ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან, მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა საბრძოლო მასალა – 30 ვაზნა, რომელიც ასევე უკანონოდ შეინახა თავის საცხოვრებელ ბინაში. მითითებული საბრძოლო მასალა 2010 წლის 10 ოქტომბერს მისივე საცხოვრებელ ბინაში, მდებარე თბილისში, ... [1]..., ბინა [1]...-ში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ამოიღეს სამართალდამცველებმა.

ჯ. ე-ს მსჯავრი დაედო აგრეთვე იმაში, რომ იგი მართლსაწინააღმდეგოდ ატარებდა საბრძოლო მასალას, კერძოდ, 2010 წლის 10 ოქტომბერს, 17.55 საათზე, თბილისში, ... [1]..., ბინა [1]...-ის წინ, სადარბაზოს მე-5 სართულის ფლიგელში, საქართველოს შს სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა დააკავეს ჯ. ე-ი, რომლისგანაც დაკავების ადგილზე ჩატარებული პირადი ჩხრეკისას ამოიღეს საბრძოლო მასალა – 4 ვაზნა, რასაც იგი მართლსაწინააღმდეგოდ ატარებდა.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 26 დეკემბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული ჯ. ე-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 26 დეკემბრის განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას.

მსჯავრდებული ჯ. ჩ-ა საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 26 დეკემბრის განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას.

პროკურორი თ. ხ-ა შესაგებლით ითხოვს მსჯავრდებულების – ჯ. ე-სა და ჯ. ჩ-ს მიმართ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 26 დეკემბრის განაჩენის უცვლელად დატოვებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს წარმოდგენილი საკასაციო საჩივრების მოტივს მსჯავრდებულების – ჯ. ჩ-სა და ჯ. ე-ს უდანაშაულობის შესახებ, რადგან გასაჩივრებული განაჩენი მათი საქართველოს სსკ-ის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ე“, „ვ“ ქვეპუნქტებით, 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით მსჯავრდების ნაწილში ეყრდნობა დაზარალებულების – ნ. ს-სა და ც. ჯ-ს ჩვენებებს, მოწმეების – გ. ს-ს, ვ. ქ-ს, შ. რ-ს, გ. რ-ს, დ. გ-ს, თ. მ-ს, მ. ყ-ს, ი. გ-ს, გ. გ-ს, ი. ჯ-ს, მ. ა-ს, ნ. გ-ს, ლ. მ-ს, ა. მ-ს, ი. თ-ს, გ. ე-ს, რ. უ-ს, გ. შ-ს, ბ. მ-ს, გ. შ-ს, კ. ყ-სა და სხვათა ჩვენებებს, მოწმე ვ. ქ-ს მიერ წარდგენილ დოკუმენტებს, ამოცნობისა და საგნის დათვალიერების ოქმებს, კომპიუტერების დათვალიერების ოქმებსა და შპს «კავკასუს ონლაინიდან» მიღებულ შეტყობინებებს, ჰაბიტოსკოპიური და ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნებს, შპს «მაგთიკომიდან» და შპს «ჯეოსელიდან» მიღებულ ინფორმაციებს, 2010 წლის 9 ნოემბრის დათვალიერების ოქმს, დაკავების, პირადი და ბინის ჩხრეკის ოქმებს და საქმეში არსებულ სხვა არაერთ უტყუარ მტკიცებულებას, რომელთა შესახებ ამომწურავად იმსჯელა სასამართლომ და ამ ნაწილში მსჯავრდებულების – ჯ. ჩ-სა და ჯ. ე-ს მიმართ დაადგინა დასაბუთებული განაჩენი.

ამასთან, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ჯ. ჩ-სა და ჯ. ე-ს ბრალდება იმ ნაწილში, რომლის მიხედვითაც, მათ თითქოს ჩაიდინეს საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაული, არ არის დადასტურებული და არ გამომდინარეობს საქმის მასალებიდან.

გასაჩივრებული განაჩენით დამტკიცებულად იქნა ცნობილი, რომ მსჯავრდებულებმა – ჯ. ჩ-მ და ჯ. ე-მ მძევლად ხელში ჩაგდების მიზნით გაიტაცეს ო. ს-ა. ამის შემდეგ მათ კომპიუტერის მეშვეობით დაარეგისტრირეს ელექტრონული მისამართი და დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზნით, აღნიშნულ მისამართზე განათავსეს გამოძალვის შინაარსის მქონე წერილობითი შეტყობინება. ჯ. ჩ-მ, ჯ. ე-თან წინასწარი შეთანხმებით, ო. ს-ს ნათესავის – ვ. ქ-ს საკუთრებაში არსებული, ო. ს-ს საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე გაჩერებული ავტომანქანის საჭის მხარეს, უკანა ხედვის სარკეზე, წებოვანი ლენტით მიამაგრა წერილი, რომლის მიხედვითაც, ო. ს-ს ოჯახის წევრები ინფორმაციას მამის შესახებ მოიპოვებდნენ ელექტრონული ფოსტის მისამართზე, სადაც შესვლის შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი ინფორმაცია – „მამა კარგად არის, უნდა 25000 ათასი, 5 დღეში მოვა გალის ხიდზე“. ამის შემდეგ ჯ. ჩ-მ და ჯ. ე-მ ელექტრონული ფოსტის გამოყენებით ინტერნეტ-კლუბიდან მათ მიერ დარეგისტრირებულ მისამართზე ო. ს-ს ოჯახის წევრებს გაუგზავნეს ელექტრონული შეტყობინება „25 ??“, ხოლო შემდეგ იმავე ინტერნეტ-კლუბში, ელექტრონული ფოსტის გამოყენებით მოახდინეს ელექტრონული ფოსტის დათვალიერება. ჯ. ჩ-მ, ჯ. ე-თან წინასწარი შეთანხმებით, ელექტრონულ ფოსტა ...-ზე განათავსა ...-ის ელექტრონული ფოსტიდან შემოსული გზავნილი, სადაც მიმაგრებული იყო ვორდის ფაილი (12121. დოკ.), კერძოდ: „...თუ გენანებათ, დაფიქრდით, რას იტყვის ხალხი „დაენანა გამზრდელისათვის“. 25 ათასი „ვის“ ეშმაკს. ეს ბოლო წერილია, როცა იქნები მზად, მაშინ დაწერე. თუ არა გაქვს საშუალება ან არ გინდა, რას წერ წერილებს“. აღნიშნული გზავნილი ჯ. ჩ-მ და ჯ. ე-მ გადააგზავნეს კომპიუტერიდან.

აღნიშნული ქმედება – მძევლად ხელში ჩაგდება – არის ფორმალური დანაშაული. იგი დამთავრებულია ადამიანის მძევლად ხელში ჩაგდების მომენტიდან, რაც ხდება იმ მიზნით, რომ მძევლის გათავისუფლების პირობით აიძულონ ორგანიზაცია ან პირი, შეასრულოს ან არ შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება. ამ დანაშაულის დროს დამნაშავეს აინტერესებს არა მძევლის პიროვნება, არამედ ზემოქმედება იმ პირზე, ვისკენაც მიმართულია მოთხოვნა, რასაც ამყარებს მძევლისათვის ზიანის მიყენების მუქარა. ცხადია, არა მძევალი, არამედ მესამე პირია ის, ვინც მოთხოვნა უნდა შეასრულოს მძევლის გათავისუფლების სანაცვლოდ, რამეთუ თავად მძევალს მოთხოვნის შესრულება არ ძალუძს, თუმცა იგი დამნაშავისათვის მიზნის მიღწევის საშუალებაა.

ამდენად, მძევლად ხელში ჩაგდება მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა გამოძალვა და იძულება. აქედან გამომდინარე, როცა დამნაშავე მძევლის გათავისუფლების სანაცვლოდ მოითხოვს მისთვის თანხის გადაცემას, რასაც მოცემულ შემთხვევაში აქვს ადგილი, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე მუხლით, ხოლო დანაშაულთა ერთობლიობით კვალიფიკაცია საჭირო არ არის.

ამდენად, მსჯავრდებულები – ჯ. ჩ-ა და ჯ. ე-ი უნდა გამართლდნენ საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში და, შესაბამისად, გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს ამ მუხლით დანიშნული სასჯელი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ» ქვეპუნქტით, 307-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულების – ჯ. ჩ-სა და ჯ. ე-ს საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 26 დეკემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა მსჯავრდებულების – ჯ. ჩ-სა და ჯ. ე-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში.

მსჯავრდებულ ჯ. ჩ-ს საქართველოს სსკ-ის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ე“, „ვ“ ქვეპუნქტებით, 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 236-ე მუხლის 1-ელი ნაწილით საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 24 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყოს 2010 წლის 10 ოქტომბრიდან.

მასვე «ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლის ვადით ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საექიმო და საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

მსჯავრდებულ ჯ. ე-ს საქართველოს სსკ-ის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ე“, „ვ“ ქვეპუნქტებით, 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 26 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყოს 2010 წლის 10 ოქტომბრიდან.

მასვე «ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლის ვადით ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საექიმო და საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

თაღლითობა

განჩინება

[1]19-აპ-12 5 მარტი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
დ. სულაქველიძე,
გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულების – მ. წ-ასა და გ. ჯ-ის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 17 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 8 აპრილის განაჩენით მ. წ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით (გ. ე-ას ეპიზოდი) – 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

მასვე სსკ-ის 42-ე მუხლის გამოყენებით დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 3 000 ლარი;

საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით (ჯ-ე-რ-ის ეპიზოდი) – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 59-ე მუხლის 1[1] ნაწილის გამოყენებით გაუნახევრდა და განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით (მ. გ-ის ეპიზოდი) – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 59-ე მუხლის 1[1] ნაწილის გამოყენებით გაუნახევრდა და განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით (მ. მ-ის ეპიზოდი) – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 59-ე მუხლის 1[1] ნაწილის გამოყენებით გაუნახევრდა და განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ელი ნაწილით, შეკრების წესით, მ. წ-ას სასჯელად განესაზღვრა 15 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე გაუქმდა მ. წ-ას მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 21 აგვისტოს განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი და სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ განაჩენით დანიშნულ სასჯელს მთლიანად დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 4 წელი, 11 თვე, 27 დღე და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, მ. წ-ას სასჯელად განესაზღვრა 20 წლით, 5 თვითა და 27 დღით თავისუფლების აღკვეთა.

მასვე სსკ-ის 42-ე მუხლის გამოყენებით დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 3.000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

მ. წ-ა სასჯელს იხდის 2010 წლის 17 ივლისიდან.

იმავე განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება პროკურორ ნ. ჟ-სა და განსასჯელ გ. ქ-ეს შორის.

გ. ქ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით და სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით სასჯელად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე გაუქმდა გ. ქ-ის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 21 აგვისტოს განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი და სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ განაჩენით დანიშნულ სასჯელს მთლიანად დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 4 წელი, 11 თვე, 16 დღე და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, გ. ქ-ეს სასჯელად განესაზღვრა 9 წლით, 11 თვითა და 16 დღით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის გამოყენებით 4 წლით, 11 თვითა და 16 დღით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 5 წელი სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე შეეცვალა პირობითი მსჯავრით – 6 წლის გამოსაცდელი ვადით.

მასვე სსკ-ის 42-ე მუხლის გამოყენებით დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 10.000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

გ. ქ-ე სასჯელს იხდის 2010 წლის 15 სექტემბრიდან.

გ. ჯ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით (მ. გ-ის ეპიზოდი) – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (მ. მ-ის ეპიზოდი) – 6 წლითა და 6 თვით თავისუფ-

ლების აღკვეთა. მასვე სსკ-ის 42-ე მუხლის გამოყენებით დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 3.500 ლარი.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ელი ნაწილით, შეკრების წესით, გ. ჯ-ს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 10 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მასვე სსკ-ის 42-ე მუხლის გამოყენებით დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 3.500 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

გ. ჯ-ი სასჯელს იხდის 2010 წლის 17 ივლისიდან.

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი, გ. ქ-ის პირადი ჩხრეკისას ამოღებული ფულადი თანხა – 4250 აშშ დოლარი საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს მსჯავრდებულს ან მისი ნდობით აღჭურვილ პირს;

დაზარალებულ მ. მ-ის სამოქალაქო სარჩელი დარჩა განუხილველი. მას განემარტა, რომ ზიანის დარჩენილი ნაწილის ანაზღაურებაზე უფლება აქვს, იდაოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

დაზარალებულების: გ. ე-ას, ვ. ჯ-ის, მ. რ-ისა და მ. გ-ის სარჩელებზე შეწყდა წარმოება, მათ მიერ სამოქალაქო სარჩელის მოთხოვნაზე უარის თქმის გამო.

განაჩენით მ. წ-ას ბრალი დაედო თაღლითობაში, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლებაში მოტყუებით, არაერთგზის, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ჩადენილი დიდი ოდენობით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (ოთხი ეპიზოდი), ხოლო გ. ჯ-ს – თაღლითობაში, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლებაში მოტყუებით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ჩადენილი დიდი ოდენობით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (ორი ეპიზოდი).

მსჯავრდებულთა მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებები გამოიხატა შემდეგში:

2010 წლის მარტის ბოლოს მ. წ-ასა და გ. ქ-ისათვის ამ უკანასკნელის ნათესავის – ზ. შ-ისაგან ცნობილი გახდა, რომ მისი ნაცნობის – გ. ე-ას შვილი დ. ე-ა გასამართლებული იყო გარდაბნის რაიონული სასამართლოს მიერ მკვლელობის მცდელობისათვის და მისჯილი ჰქონდა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. მ. წ-ამ და გ. ქ-ემ, წინასწარ ჰქონდათ რა განზრახული, რომ არ და ვერც შეასრულებდნენ ნაკისრ ვალდებულებას, თაღლითურად, ნდობის ბოროტად გამოყენებითა და მოტყუების გზით, წინასწარგანზრახულად შეცდომაში შეყვანითა და ცრუ დაპირების მიცემით, დაარწმუნეს გ. ე-ა, რომ მ. წ-ა, როგორც შს ორგანოების ყოფილი თანამდებობის პირი, თავისი ნაცნობების – პროკურატურისა და სასამართლოს მაღალჩინოსანთა დახმარებით, გარკვეული თანხის გადახდის სანაცვლოდ, შეძლებდა დ. ე-სთან საპროცესო შეთანხმების გაფორმებას – მის მიმართ არასაპატიმრო სასჯელის შეფარდებით. მათ გ. ე-ას განუცხადეს, რომ 2010 წლის 28 მაისს თბილისის სააპელაციო სასამართლოში დანიშნული იყო დ. ე-ას ბრალდების საქმის განხილვა, რა დროსაც მასთან გაფორმდებოდა საპროცესო შეთანხმება ზემოაღნიშნული პირობით და მოსთხოვეს მათთვის ვითომდა ჯარიმის თანხის, 20.000 ლარის გადაცემა, რის თაობაზეც მიიღეს თანხმობა. რეალურად კი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 10 მაისის განჩინებით დ. ე-ას დამცველის, ადვოკატ ნ. დ-ის საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი. შეთანხმების თანახმად, გ. ე-ამ 2010 წლის აპრილში მ. წ-ასა და გ. ქ-ეს მათ საცხოვრებელ ბინაში, მდებარე: თბილისში, ბ-ის ქუჩა ¹...-ში, საპროცესო შეთანხმებისათვის გადასცა 10.000 დოლარი, ხოლო რამდენიმე დღეში გ. ქ-ეს დამატებით გადასცა 4.500 აშშ დოლარი.

მ. წ-ა და გ. ქ-ე მოტყუებით დაეუფლნენ გ. ე-ას კუთვნილ 14.500 აშშ დოლარს, რითაც დაზარალებულს მიაყენეს დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი, ხოლო დ. ე-ას ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე საპროცესო შეთანხმება არ გაფორმებულა და გარდაბნის რაიონული სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 31 დეკემბრის განაჩენით ლ. ჯ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლით და სასჯელად განესაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. ლ. ჯ-ე სასჯელს იხდიდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქ. თბილისის ¹8 საპყრობილეში. პატიმრის ოჯახის წევრებმა და ახლობლებმა გადაწყვიტეს, ლ. ჯ-ე სასჯელის მოსახდელად გადაეყვანათ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქ. რუსთავის ¹2 საპყრობილეში. ამ საკითხის მოგვარების მიზნით, ლ. ჯ-ის ნათესავი ი. კ-ი 2010 წლის აპრილის დასაწყისში ზ. შ-ის მეშვეობით დაუკავშირდა მ. წ-ას. მ. წ-ას წინასწარ ჰქონდა რა განზრახული, რომ არ და ვერც შეასრულებდა ნაკისრ ვალდებულებას, თაღლითურად, ნდობის ბოროტად გამოყენებითა და მოტყუების გზით, წინასწარგანზრახულად შეცდომაში შეყვანითა და ცრუ დაპირების მიცემით, თითქოსდა შეეძლო ამ საკითხის მოგვარება, დაეუფლა ლ. ჯ-ის მამის – ვ. ჯ-ის კუთვნილ 3.000 ლარს და მამიდის – მ. რ-ის კუთვნილ 1000 ლარს, რითაც დაზარალებულებს მიაყენა მნიშვნელოვანი ზიანი, ხოლო ლ. ჯ-ე ქ. თბილისის ¹8 საპყრობილიდან ქ. რუსთავის ¹2 საპყრობილეში არ გადაუყვანიათ.

2010 წლის მაისის დასაწყისში მ. წ-ასთვის მისი ნაცნობის, ა. ც-ისგან ცნობილი გახდა, რომ ამ უკანასკნელის მეგობარი ზ. გ-ე დაპატიმრებული იყო კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ თაღლითობის ჩადენის ფაქტზე. ა. ც-ის მეშვეობით მ. წ-ა დაუკავშირდა ზ. გ-ის მეუღლეს, მ. გ-ეს და შვილს, გ. გ-ეს. მ. წ-ამ გ. ჯ-თან ერთად განიზრახა რა ნდობის ბოროტად გამოყენებით, მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, დაუფლებოდა ზ. გ-ის ოჯახის წევრების კუთვნილ ფულად

თანხას, დაარწმუნა ისინი, რომ გარკვეული თანხის გადახდის სანაცვლოდ, თითქოსდა პროკურატურის მაღალჩინოსანთა დახმარებით, შეძლებდა ბრალდებულ ზ. გ-სთან საპროცესო შეთანხმების გაფორმებას და მის მიმართ არასაპატიმრო სასჯელის შეფარდებას, რის თაობაზეც ზ. გ-ის ოჯახის წევრებისაგან მიიღო თანხმობა. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, მ. წ-ა, რომელიც არ ეწეოდა საადვოკატო საქმიანობას, გ. ჯ-თან ერთად შეუდგა დანაშაულებრივი გეგმის განხორციელებას. გ. ჯ-ი ხვდებოდა პროკურატურისა და პოლიციის ხელმძღვანელი მუშაკების მძღოლებს და სთხოვდა დახმარებას ზ. გ-სთან საპროცესო შეთანხმების გაფორმებაში, რაზეც მან მიიღო უარი. მიუხედავად ამისა, მ. წ-ამ ზ. გ-ის ოჯახის წევრებს 2010 წლის 8 ან 9 ივლისს, ვითომდა საპროცესო შეთანხმებისათვის გამოართვა თანხა – 5.000 აშშ დოლარი. ვინაიდან საპროცესო შეთანხმების გაფორმება გაჭიანურდა, მ. გ-ის მოთხოვნით, იგი შეხვდა მ. წ-ას. შეხვედრაზე მ. წ-ა მივიდა გ. ჯ-თან ერთად და მ. გ-ე დაარწმუნა, რომ საქმე მოგვარებული იყო და საპროცესო შეთანხმება გაფორმდებოდა 2010 წლის 13 ივლისს დანიშნულ სასამართლო სხდომაზე. აღნიშნულის შემდეგ, იმის გამო, რომ დათქმულ დღეს საპროცესო შეთანხმება არ გაფორმდა, მ. გ-ე შეხვდა მ. წ-ას და გ. ჯ-ს, რა დროსაც მ. წ-ამ განუცხადა მ. გ-ეს, რომ ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდიოდა. მ. წ-ა და გ. ჯ-ი მოტყუებით დაეუფლნენ მ. გ-ის კუთვნილ 5.000 აშშ დოლარს, რაც ერთმანეთში გაინაწილეს, ისე რომ ზ. გ-ის ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე საპროცესო შეთანხმება არ გაფორმებულა, რითაც დაზარალებულს მიაყენეს მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

2010 წლის ივნისის შუა რიცხვებში მ. წ-სათვის ა. ც-ის მეშვეობით ცნობილი გახდა, რომ 2009 წლის 9 დეკემბერს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე დააკავეს მ. მ-ის შვილი, კ. ლ-ე. მან კვლავ გ. ჯ-თან ერთად განიზრახა ნდობის ბოროტად გამოყენებით, მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, დაუფლებოდა მ. მ-ის კუთვნილ ფულად თანხას. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, მ. წ-ამ და გ. ჯ-მა დაარწმუნეს მ. მ-ი, რომ ფულადი თანხის გადახდის სანაცვლოდ, ვითომდა პროკურატურის მაღალჩინოსანთა დახმარებით, ბრალდებულ კ. ლ-სთან გაფორმდებოდა საპროცესო შეთანხმება და მას სასჯელის სახით დაენიშნებოდა თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 6 თვით, რის თაობაზეც მ. მ-სგან მიიღეს თანხმობა. შეთანხმების თანახმად, მ. მ-მა 2010 წლის ივნისში მ. წ-ას საცხოვრებელ ბინაში მას და გ. ჯ-ს საპროცესო შეთანხმებისათვის გადასცა 10.000 ლარი, ხოლო რამდენიმე დღეში გ. ჯ-ს დამატებით გადასცა 5.000 ლარი. მ. წ-ა და გ. ჯ-ი მოტყუებით დაეუფლნენ მ. მ-ის კუთვნილ 15.000 ლარს, რაც ერთმანეთში გაინაწილეს ისე, რომ კ. ლ-ის ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე საპროცესო შეთანხმება არ გაფორმებულა და საქმის არსებითი განხილვის შედეგად მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. აღნიშნული ქმედებით მათ დაზარალებულს მიაყენეს დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულ მ. წ-ას ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა მ. კ-ემ და მსჯავრდებულმა გ. ჯ-მა.

აპელანტმა გ. ჯ-მა საჩივრით ითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 8 აპრილის განაჩენში ცვლილების შეტანა: მ. გ-ის ეპიზოდში – გამართლება, ხოლო მ. მ-ის ეპიზოდში – სასჯელის შემსუბუქება.

მსჯავრდებულ მ. წ-ას ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა მ. კ-ემ თავდაპირველად საჩივრით ითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 8 აპრილის განაჩენში ცვლილების შეტანა მსჯავრდებულისათვის სასჯელის შემსუბუქების გზით, ხოლო სააპელაციო პალატის სხდომაზე მ. წ-ას ადვოკატმა ი. ბ-ამ დააზუსტა საჩივარი და ითხოვა გ. ე-ასა და ჯ-ე-რ-ის ეპიზოდებში – გამართლება, ხოლო მ. გ-ისა და მ. მ-ის ეპიზოდებში – სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტის ამორიცხვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 17 ოქტომბრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 8 აპრილის განაჩენი დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 17 ოქტომბრის განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულებმა – მ. წ-ამ და გ. ჯ-მა საკასაციო საჩივრებით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორმა მ. წ-ამ აღნიშნა, რომ განაჩენი არის უკანონო, დაუსაბუთებელი, სასამართლომ არასწორად შეაფასა წარმოდგენილი მტკიცებულებები; იგი თავს დამნაშავედ არ ცნობს გ. ე-ასა და ჯ-ე-რ-ის ეპიზოდებში; კასატორმა ითხოვა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა და ზემოაღნიშნულ ორ ეპიზოდში გამართლება.

კასატორმა გ. ჯ-მა ითხოვა ცვლილების შეტანა გასაჩივრებულ განაჩენში: მ. გ-ის ეპიზოდში – გამართლება, ხოლო მ. მ-ის ეპიზოდში – სასჯელის შემსუბუქება.

შს სამინისტროს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორმა ნ. ჟ-მა აღნიშნა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 17 ოქტომბრის განაჩენი არის დასაბუთებული, კანონიერი და შესაგებლით ითხოვა მისი უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა თვლის, რომ საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობით, დაზარალებულების: მ. გ-ის, მ. მ-ის, გ. ე-ას, ვ. ჯ-ის, მ. რ-ის ჩვენებებით, მოწმეების: ა. ც-ის, რ. მ-ის, კ. ნ-ის, გ. ე-ას, რ. კ-ის, ზ. შ-ის, ი. კ-ის, მ. წ-ისა და სხვათა ჩვენებებით, გ. ჯ-თან განხორციელებული ფარული ვიდეო-აუდიომასალებით, დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმებით, მ. წ-ას ხელწერილებითა (საქმის მოგვარებასა და ფულის დაბრუნებაზე) და საქმის სხვა მასალებით მ. წ-ასა და გ. ჯ-ის მიერ მათზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენა დადასტურებულია და გარდა, ჯ-ე-რ-ის ეპიზოდისა, სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული.

პალატა არ ეთანხმება კასატორების საკასაციო საჩივრების მოთხოვნებს მ. წ-ას – გ. ე-ასა და ჯ-ე-რ-ის, ხოლო გ. ჯ-ის – მ. გ-ის ეპიზოდებში წარდგენილ ბრალდებებში გამართლებისა და ასევე გ. ჯ-ისათვის მ. მ-ის ეპიზოდში – სასჯელის შემსუბუქების თაობაზე, უსაფუძვლობის გამო.

საქართველოს სსსკ-ის 450-ე მუხლის თანახმად: „საქმის სასამართლო განხილვა ტარდება განსასჯელის მიმართ მხოლოდ იმ ბრალდების ფარგლებში, რომლითაც განსასჯელი სამართალში მისცეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა პროკურორმა ბრალდება შეცვალა განსასჯელის სასარგებლოდ“.

საქმის მასალებიდან გამომდინარე, პალატა აღნიშნავს, რომ როგორც საქალაქო, ისე სააპელაციო სასამართლოებმა ჯ-ე-რ-ის ეპიზოდში მსჯავრდებულს, ნაცვლად საბრალდებო დასკვნით გათვალისწინებული სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდებისა, შეცდომით შეუფარდეს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტები, რაც, საკასაციო პალატის აზრით, არასწორია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ 2011 წლის 8 აპრილის განაჩენით დადგენილად მიიჩნია მსჯავრდებულ მ. წ-ას მიმართ ჯ-ე-რ-ის ეპიზოდში შერაცხული ბრალდება, რაც უცვლელად დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლომ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 17 ოქტომბრის განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგი მიმართებით:

მსჯავრდებულ მ. წ-ას მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება ჯ-ე-რ-ის ეპიზოდში, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით, უნდა გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, 615-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულების – მ. წ-ასა და გ. ჯ-ის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 17 ოქტომბრის განაჩენი მ. წ-ას მიმართ ჯ-ე-რ-ის ეპიზოდში შეიცვალოს შემდეგი მიმართებით:

მსჯავრდებულ მ. წ-ას მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით, გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებზე.

განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის – მსჯავრდებულთათვის დანიშნული სასჯელი, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა

განჩინება

[1]28აპ-12 14 მარტი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
დ. სულაქველიძე,
გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ რ. ი-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 8 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 2 აგვისტოს განაჩენით რ. ი-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, 273-ე მუხლით – 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა სრულად და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 16 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. რ. ი-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2010 წლის 29 დეკემბრიდან.

მასვე «ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ხოლო 15 წლით – საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

რ. ი-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული 0,7464 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ უნდა განადგურდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ; რ. ი-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოღებული 0,8782 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ უნდა განადგურდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ; რ. ი-ს ბინის ჩხრეკისას ამოღებული ფულადი თანხა, მობილური ტელეფონი და ტანსაცმელი უნდა დაუბრუნდეს მსჯავრდებულის ოჯახის წევრებს.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ რ. ი-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

რ. ი-მ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა მოწითალო-მოთეთრო, პოლიეთილენის პატარა ნაჭერში ორ წონაკად დაფასოებული და შავი იზოლირებული ლენტით შეფუთული ნარკოტიკული საშუალება «ჰეროინი». ერთ ცალად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება შეინახა თავის საცხოვრებელ სახლში, თავისი საწოლის ლეიბის ქვეშ, ხოლო ერთ წონაკად დაფასოებული ნარკოტიკული ნივითერება “ჰეროინი» შეინახა თავისი შავი სპორტული შარვლის წინა, მარჯვენა ჯიბეში.

2010 წლის 25 ნოემბერს რ. ი-მ ორ წონაკად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ 250 ლარად გაასაღა ქ. ..., ... ქ. [1]18-ში მცხოვრებ ა. მ-ე.

2010 წლის 29 დეკემბერს, 18.30 საათზე, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე რ. ი-ი ბრალდებულად იქნა დაკავებული თავისი საცხოვრებელი სახლის ეზოში. მას დაკავებისთანავე ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა, რის შედეგადაც რ. ი-საგან ამოღებულ იქნა ერთ წონაკად დაფასოებული და შავი იზოლირებული ლენტით შეფუთული ნივთიერება – ფხვნილისა და გრანულების სახით. პირადი ჩხრეკის დასრულების შემდეგ ქ. ..., ... ქ. [1]...-ში მდებარე რ. ი-ს საცხოვრებელ სახლში, ჩატარდა ჩხრეკა, რა დროსაც რ. ი-ს საწოლის ლეიბის ქვეშ სამართალდამცავებმა ნახეს და ამოიღეს ერთ წონაკად დაფასოებული ნივთიერება – ფხვნილისა და გრანულების სახით.

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 10 თებერვლის დადგენილებით რ. ი-ი ცნობილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლით და შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი – ჯარიმა 500 ლარის ოდენობით.

აღნიშნულის მიუხედავად, რ. ი-მ 2010 წლის დეკემბერში, ძიებით დაუდგენელ რიცხვში, ექიმის დანიშნულების გარეშე, განმეორებით მოიხმარა «ოპიუმის» ჯგუფის ნარკოტიკული საშუალება.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 8 ნოემბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული რ. ი-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას იმ მოტივით, რომ განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი, როგორც წინასწარი გამოძიების, ასევე 1-ელი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებში ბრალდების მხარეს არ წარმოუდგენია არცერთი მტკიცებულე-

ბა, რომელიც უტყუარად დაადასტურებდა მის მიერ ნარკოტიკული ნივთიერების შეძენა-შენახვისა და რეალიზაციის ფაქტს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებული მტკიცებულებებით: მოწმეების – ი. ქ-ს, ზ. ბ-ს, ა. ნ-ს, ა. ჭ-ს, ი. ხ-ს, გ. მ-ს, ე. ფ-ს, თ. მ-ს ჩვენებებით, დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმით, 2010 წლის 30 დეკემბრის ქიმიური ექსპერტიზის №1626 დასკვნით, 2010 წლის 29 დეკემბრის ექსპერტიზის დასკვნით, სატელეფონო საუბრების დეტალური ინფორმაციებით, ასევე საქმეში არსებული სხვა მასალებით უტყუარად არის დადასტურებული, რომ მსჯავრდებულმა რ. ი-მ ჩაიდინა ნარკოტიკული საშუალების დიდი ოდენობით უკანონო შეძენა-შენახვა (2010 წლის 29 დეკემბრის ეპიზოდი), ასევე საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება ამ ნაწილში განაჩენის გაუქმებას.

ამასთან, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ რ. ი-ს განაჩენიდან უნდა ამოერიცხოს ა. მ-ზე 2010 წლის 25 ნოემბერს ნარკოტიკული საშუალების გასაღების ფაქტი, კერძოდ: საქმეში ა. მ-ს ჩვენების გარდა, არ მოიპოვება რაიმე უტყუარი მტკიცებულება, რაც მიანიშნებს რ. ი-ს მიერ ნარკოტიკული საშუალების გასაღების ფაქტზე. საქართველოს სსსკ-ის 259-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 273-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა დასაბუთებული უნდა იყოს. გამამტყუნებელ განაჩენში აღნიშნული უნდა იყოს უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნა. კანონის მითითებულ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, სააპელაციო სასამართლომ განაჩენში არ დაასაბუთა, ა. მ-ს ჩვენების გარდა, რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით მიიჩნია დადასტურებულად მსჯავრდებულის ქმედებაში ნარკოტიკული საშუალების გასაღების ფაქტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ რ. ი-ს განაჩენიდან უნდა ამოერიცხოს 2010 წლის 25 ნოემბერს დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა და გასაღების ეპიზოდი, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და, შესაბამისად, ამ მუხლით დანიშნული სასჯელი – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

რ. ი-ს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით (2010 წლის 29 დეკემბრის ეპიზოდი) და 273-ე მუხლით საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს 8 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 307-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «გ» ქვეპუნქტით, 307-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 8 ნოემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

მსჯავრდებულ რ. ი-ს გასაჩივრებული განაჩენიდან ამოერიცხოს 2010 წლის 25 ნოემბერს დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა და გასაღების ეპიზოდი, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და, შესაბამისად, ამ მუხლით დანიშნული სასჯელი – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ რ. ი-ს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტითა (2010 წლის 29 დეკემბრის ეპიზოდი) და 273-ე მუხლით საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 8 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყოს 2010 წლის 29 დეკემბრიდან.

მასვე «ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლის ვადით ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

რ. ი-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული 0,7464 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ განადგურდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ; რ. ი-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოღებული 0,8782 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი» განადგურდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მი-

ღების შემდეგ; რ. ი-ს ბინის ჩხრეკისას ამოღებული ფულადი თანხა, მობილური ტელეფონი და ტანსაცმელი დაუბრუნდეს მსჯავრდებულის ოჯახის წევრებს.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა

განჩინება

[1]175აპ-12 29 მაისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
დ. სულაქველიძე,
გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ ბ. გ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 20 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 14 ნოემბრის განაჩენით ბ. გ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და სასჯელად განესაზღვრა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა.

იგი სასჯელს იხდის 2011 წლის 8 ივნისიდან.

ბ. გ-ს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ 2007 წლის 3 ივლისის საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის, ხოლო 15 წლით – საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, საექიმო საქმიანობის, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის შესაბამისად, ბ. გ-ს სახელმწიფოს სასარგებლოდ ჩამოერთვა: ავტომანქანა «....», სახელმწიფო ნომრით «...», როგორც დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთი და ფულადი თანხა – 300 ლარი, როგორც დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონება.

იმავე განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება პროკურორ დ. მ-სა და ბრალდებულებს – გ. გ-სა და ა. ჭ-ს შორის.

გ. გ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ელი ნაწილით და სასჯელად განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე შეეცვალა პირობით, 3 წლის გამოსაცდელი ვადით. მასვე სსკ-ის 42-ე მუხლის გამოყენებით დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 10.000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

გ. გ-ს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ 2007 წლის 3 ივლისის საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლით ჩამოერთვა: სატრანსპორტო საშუალების მართვის, საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, საექიმო საქმიანობის, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის შესაბამისად, გ. გ-ს სახელმწიფოს სასარგებლოდ ჩამოერთვა ავტომანქანა «....», სახელმწიფო ნომრით «...», როგორც დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთი.

გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 10 ივნისის განჩინებით გ. გ-ის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო და გირაოს სახით შეტანილი თანხა განაჩენის აღსრულებიდან ერთ თვეში დაუბრუნდა გირაოს შემტან პირს.

მასვე სასჯელის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2011 წლის 8 ივნისიდან იმავე წლის 10 ივნისის ჩათვლით.

ა. ჭ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით – 1 წლით, 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ე» ქვეპუნქტით, სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე 2 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 2 წელი სსკ-ის 63-ე მუხლის საფუძველზე შეეცვალა პირობით. მასვე სსკ-ის 42-ე მუხლის გამოყენებით დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 10.000 ლარი.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 30 სექტემბრის განაჩენით ა. ჭ-ს მიმართ დანიშნული პირობითი მსჯავრი და სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ განაჩენით დანიშნულ სასჯელს დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 1 წელი და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, ა. ჭ-ს სასჯელად განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე 4 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 2 წელი სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე შეეცვალა პირობითი მსჯავრით, 3 წლის გამოსაცდელი ვადით. მასვე სსკ-ის 42-ე მუხლის გამოყენებით დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 10.000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

იგი სასჯელს იხდის 2011 წლის 8 ივნისიდან.

ა. ჭ-ს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ 2007 წლის 3 ივლისის საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის, ხოლო 15 წლით – საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, საექიმო საქმიანობის, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

ბ. გ-ს განაჩენით მსჯავრი დაედო დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა, შენახვა, გასაღებაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

გ. გ-მ 2011 წლის 8 ივნისს თბილისში, ... ქუჩა ¹...-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, ა. ჭ-სგან უკანონოდ შეიძინა, შეინახა და გადაზიდა 0,0074 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი აბის 2 ნატეხი, ფხვნილსა და აბის ჩანართებთან ერთად. 2011 წლის 8 ივნისს საქართველოს შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა თბილისში, ... ქ. ¹...-ა-ს მიმდებარე ტერიტორიაზე, დააკავეს გ. გ-ე, რომლის პირადი ჩხრეკისას ამოიღეს 0,0030 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი აბის 1 ნატეხი, ფხვნილსა და აბის ჩანართებთან ერთად, ხოლო ავტომანქანიდან, სახელმწიფო ¹..., რომელსაც იგი მართავდა, ამოიღეს 0,0044 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი აბის 1 ნატეხი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 30 სექტემბრის განაჩენით ა. ჭ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით და მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღვეთა, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, 2 წლის გამოსაცდელი ვადით.

2011 წლის 8 ივნისს ა. ჭ-მ თბილისში, დელისის ... შესახვევის, კორპუსი ¹...-ის, ბინა ¹...-ში, ბ. გ-სგან 750 ლარად, უკანონოდ შეიძინა 0,0111 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი აბის 4 ნატეხი, ფხვნილისა და აბის ჩანართებთან ერთად, საიდანაც ნაწილი – 0,0074 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი აბის 2 ნატეხი ფხვნილისა და აბის ჩანართებთან ერთად, იმავე დღეს თბილისში, ... ქ. ¹...-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, უკანონოდ გაასაღა თავის ნაცნობ გ. გ-ე, რაც სამართალდამცველებმა ამოიღეს ამ უკანასკნელის დაკავებისას.

2011 წლის 8 ივნისს საქართველოს შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა თბილისში, თ. ... ქ. ¹...-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, დააკავეს ა. ჭ-ა, რომლის პირადი ჩხრეკისას ამოიღეს 0,0037 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი აბის 2 ნატეხი. იმავე დღეს ჩატარებული ნარკოლოგიური ექსპერტიზის შედეგად ა. ჭ-ს დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარების ფაქტი.

ბ. გ-მ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, უკანონოდ შეიძინა და შეინახა დიდი ოდენობით – 0,0291 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი 1 აბი და აბის 7 ნატეხი, ფხვნილსა და აბის ჩანართებთან ერთად, საიდანაც ნაწილი – 0, 0111 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი აბის 4 ნატეხი, ფხვნილსა და აბის ჩანართებთან ერთად – 2011 წლის 8 ივნისს თბილისში, ... მე-... შესახვევის, კორპუსი ¹...-ის, ბინა ¹...-ში, 750 ლარად, უკანონოდ გაასაღა თავის ნაცნობ ა. ჭ-ე, რაც ამოიღეს სამართალდამცელებმა ა. ჭ-სა და გ. გ-ის დაკავებისას.

2011 წლის 8 ივნისს საქართველოს შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა თბილისში, ... ქუჩა ¹...-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, დააკავეს ბ. გ-ე, რომლის პირადი ჩხრეკისას ამოიღეს მის მიერ უკანონოდ შეძენილი და შენახული, დიდი ოდენობით – 0,0153 გრამი ნარკოტიკული საშუალება “ბუპრენორფინის» შემცველი 1 აბი და აბის 2 ნატეხი, ხოლო ნაწილი – 0,0027 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი აბის 1 ნატეხი – ამოიღეს ავტომანქანა „...», სახელმწიფო ნომერი “...», რომელსაც იგი მართავდა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა ბ. გ-მ და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ვ. ა-მ.

სააპელაციო საჩივრით აპელანტებმა ითხოვეს ბ. გ-ის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 14 ნოემბრის განაჩენში ცვლილების შეტანა იმ მიმართებით, რომ ბ. გ-ეს ბრალდებიდან ამოერიცხოს ნარკოტიკული საშუალების გასაღება და სასჯელად განესაზღვროს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მინიმალური სასჯელი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 20 მარტის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 14 ნოემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ბ. გ-მ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორმა ითხოვა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა ნარკოტიკული ნივთიერების გასაღების ამორიცხვისა და სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმუმამდე დაყვანის გზით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა არ ეთანხმება მსჯავრდებულ ბ. გ-ის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას განაჩენში ცვლილების შეტანის გზით სასჯელის შემსუბუქების თაობაზე, უსაფუძვლობის გამო.

სასამართლოებმა სასჯელის განსაზღვრისას სრულად გაითვალისწინეს ბ. გ-ის როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები, ასევე მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე და განუსაზღვრეს სასჯელის ისეთი ზომა, რომელსაც პალატა იზიარებს და მიაჩნია, რომ არ არსებობს მისი შეცვლის ან გაუქმების საფუძველი.

ამდენად, საკასაციო საჩივრის მოთხოვნას ბ. გ-ისათვის მინიმალური სასჯელის განსაზღვრის თაობაზე, პალატა დაუსაბუთებლად მიიჩნევს და თვლის, რომ სასამართლოებმა მსჯავრდებულისათვის სასჯელის დანიშვნის დროს სრულად გაითვალისწინეს მისი პიროვნული მახასიათებლები, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე და ისე დაუნიშნეს სასჯელი, რაც, პალატის აზრით, არ არის უსამართლო და სრულად უზრუნველყოფს საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებას, როგორიცაა სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია.

საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობით, მსჯავრდებულების: ბ. გ-ს, გ. გ-სა და ა. ჭ-ს ჩვენებებით, მოწმეების: საქართველოს შსს-ს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ინსპექტორ-გამომძიებლების – ვ. მ-სა და ბ. მ-ს ჩვენებებით, მსჯავრდებულ ბ. გ-ის დაკავების, პირადი და ავტომანქანის ჩხრეკის ოქმებით, ამოღებული ნივთმტკიცებებით, ქიმიური ექსპერტიზის 2011 წლის 9 ივნისის [1]... დასკვნითა და საქმის სხვა მასალებით ბ. გ-ის მიერ მასზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენა, ნარკოტიკული ნივთიერების გასაღების გარდა, დადასტურებულია, მაგრამ სწორი სამართლებრივი შეფასება არა აქვს მიცემული.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, ბ. გ-ის მიმართ შერაცხული მსჯავრდება, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – ნარკოტიკული საშუალების გასაღების ნაწილში – ემყარება მხოლოდ მსჯავრდებულ ა. ჭ-ს მიერ მიცემულ ჩვენებას.

არც წინასწარი და არც სასამართლო გამოძიებისას არ ყოფილა მოპოვებული უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა ბ. გ-ის მიერ ნარკოტიკების გასაღების ჩადენის ფაქტს.

საკასაციო პალატის აზრით, საქმე განხილულ იქნა საქართველოს სსსკ-ის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნათა დარღვევით. არც რაიონულმა და არც სააპელაციო სასამართლოებმა სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად არ გამოიკვლიეს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და, შესაბამისად, არ მისცეს მათ სწორი სამართლებრივი შეფასება.

პალატას მიაჩნია, რომ განაჩენი ნარკოტიკების გასაღების ნაწილში აგებულია ეჭვებსა და ვარაუდებზე. ზემოაღნიშნული ბრალდების მოწმის მიერ მიცემული ჩვენება ნარკოტიკების გასაღების ნაწილში ნაკლებსარწმუნოა, არც სხვა მტკიცებულებითაა გამყარებული და, შესაბამისად, უტყუარ მტკიცებულებად ვერ მიიჩნევა.

საქართველოს სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას. საქმეში კი არ არსებობს უტყუარი მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ ბ. გ-ე არის ნარკოტიკების გამსაღებელი. საქართველოს სსსკ-ის მე-5 მუხლის თანახმად: „მტკიცებულებების შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ“, ხოლო იმავე კოდექსის 259-ე მუხლის III ნაწილის თანახმად: „სასამართლოს განაჩენი დასაბუთებულია, თუ ის ემყარება სასამართლო განხილვის დროს გამოკვლეულ, ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობას. განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა და გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს“.

რაც შეეხება საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის შესაბამისად ბ. გ-ისათვის სახელმწიფოს სასარგებლოდ ფულადი თანხის – 300 ლარის ჩამორთმევას, პალატის აზრით, არასწორია, რადგან როგორც თბილისის საქალაქო, ისე სააპელაციო სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს ის გარემოება, რომ საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის I ნაწილის თანახმად: „ქონების ჩამორთმევა ნიშნავს დანაშაულის საგნის ან/და იარაღის, დანაშაუ-

ლის ჩასადენად გამიზნული ნივთის ან/და დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევას“. იმავე მუხლის III ნაწილის საფუძველზე კი: „დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ჩამორთმევა სასამართლოს მიერ ხდება იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცდება, რომ ეს ქონება დანაშაულებრივი გზითაა მოპოვებული“, რასაც, პალატის აზრით, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში არ შეიძლება ჰქონდეს ადგილი.

სასამართლო გამოძიებისას მიცემულ ჩვენებაში ბ. გ-მ აღნიშნა, რომ პირადი ჩხრეკის შედეგად ამოღებული თანხა იყო მისი, რომელიც მან მიიღო ოქროს ნივთების ლომბარდში ჩაბარებით.

ამდენად, რადგან საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობით ბ. გ-ის მიერ მასზე ბრალად შერაცხული ნარკოტიკული ნივთიერების გასაღება უტყუარად არ დასტურდება და შესაბამისად, არც მოცემული თანხის დანაშაულებრივი გზით მოპოვების მტკიცებულება გვაქვს საქმეში, ამიტომ ბ. გ-ისათვის ჩამორთმეული ფულადი თანხა – 300 ლარი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს დანაშაულებრივი გზით მოპოვებულად, ამიტომ მისი ჩამორთმევა სახელმწიფოს სასარგებლოდ საკასაციო პალატას არასწორად მიაჩნია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 20 მარტის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ:

ბ. გ-ის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – ნარკოტიკების გასაღების ნაწილში გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.

ბ. გ-ს «ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» 2007 წლის 3 ივლისის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, 5 წლით უნდა ჩამოერთვას: სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

ბ. გ-ს განაჩენიდან უნდა ამოერიცხოს მითითება სახელმწიფოს სასარგებლოდ ფულადი თანხის – 300 ლარის ჩამორთმევის თაობაზე და აღნიშნული თანხა უნდა დაუბრუნდეს მსჯავრდებულს.

განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელი, უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 307-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 301-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ბ. გ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 20 მარტის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ:

ბ. გ-ის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – ნარკოტიკების გასაღების ნაწილში გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.

ბ. გ-ს «ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» 2007 წლის 3 ივლისის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვას: სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

ბ. გ-ს განაჩენიდან ამოერიცხოს მითითება სახელმწიფოს სასარგებლოდ ფულადი თანხის – 300 ლარის ჩამორთმევის თაობაზე და აღნიშნული თანხა დაუბრუნდეს მსჯავრდებულს.

განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელი, დარჩეს უცვლელად.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

სისხლის სამართლის პროცესი

განაჩენის გაუქმება და საქმის ხელახალი სასამართლო განხილვისათვის დაბრუნება საკასაციო ინსტანციის სასამართლოს მითითებით

განჩინება

[1]497-აპ-11 12 მარტი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),
გ. შავლიაშვილი,
პ. სილაგაძე

განიხილა მსჯავრდებულ რ. წ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 27 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 9 მარტის განაჩენით რ. წ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 24-ე, 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის «ა» და „ბ» ქვეპუნქტებით იმაში, რომ ჩაიდინა ქურდობა ორგანიზებული ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით, რაც გამოიხატა შემდეგში:

შპს «კ-ში» ცვლის უფროსად მომუშავე რ. წ-მა განიზრახა შპს «კ-იდან» სხვა თანამზრახველებთან ერთად ოქროს შემცველი მასის ფარულად დაუფლება, რაც სისრულეში მოიყვანა და თვითონვე ხელმძღვანელობდა მის განხორციელებას. კერძოდ, 2009 წლის სექტემბერში რ. წ-ი დანაშაულებრივად დაუკავშირდა შპს «კ-ის» ცვლის უფროსის მოვალეობის შემსრულებელ ს. ს-ს. ისინი შეთანხმდნენ, რომ სხვა თანამშრომლებთან ერთად ფარულად დაეუფლებოდნენ ოქროს შემცველ მასას, რომლის გადამუშავების შემდეგ მოახდენდნენ მის რეალიზაციას. ს. ს-ი დაუკავშირდა თავის ცვლაში მექანიკოსად მომუშავე მ. ჯყ-ს, რომელსაც უშუალო შეხება ჰქონდა დანადგარის ფილტრთან, საიდანაც ფარულად ეუფლებოდნენ ოქროს შემცველ მასას. ს. ს-ი ასევე დანაშაულებრივად დაუკავშირდა თავის დაქვემდებარებაში მყოფ ოპერატორებს – რ. მ-ს, ი. ს-ს, ა. გ-ს, რომლებთან ერთადაც მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებული ოქროს შემცველი მასა სრულად გამოჰქონდა შპს «კ-ის» ტერიტორიიდან.

ს. ს-ი ასევე დანაშაულებრივად დაუკავშირდა კ. ბ-ეს, რომელმაც თავის მხრივ მოძებნა ოქრომჭედელი თ. მ-ი. იგი ფარულად დაუფლებულ ოქროს შემცველ მასას ამუშავებდა, მისგან ოქროს იღებდა და შემდგომ რეალიზაციას უკეთებდა.

რ. წ-ის, მ. ყ-ის, ს. ს-ის, რ. მ-ის, ი. ს-ის, ა. გ-ის, კ. ბ-ისა და თ. მ-ის ორგანიზებული ჯგუფი შპს «კ-ის» ტერიტორიიდან ყოველთვიურად გამოტანილი ოქროს შემცველი მასის დამუშავებისა და რეალიზაციის შედეგად იღებდა დაახლოებით 10000 აშშ დოლარს, რასაც ერთმანეთში იყოფდნენ.

2010 წლის მაისში რ. წ-ი დანაშაულებრივად დაუკავშირდა შპს «კ-ის» ცვლის უფროს გ. კ-ს. ისინი შეთანხმდნენ, რომ სხვა თანამშრომლებთან ერთად ფარულად დაეუფლებოდნენ ოქროს შემცველ მასას, რომლის გადამუშავების შემდეგ მოახდენდნენ მის რეალიზაციას. გ. გ-ი თავის მხრივ დაუკავშირდა თავის ცვლაში მექანიკოსად მომუშავე ზ. ბ-ს, რომელსაც უშუალო შეხება ჰქონდა დანადგარის ფილტრთან, საიდანაც ფარულად ეუფლებოდნენ ოქროს შემცველ მასას, იგი ასევე დაუკავშირდა უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელ ა. გ-ს, რომელსაც სხვა ფუნქციებთან ერთად ევალებოდა დანადგარის ფილტრზე თვალყურის დევნება, რათა არ მომხდარიყო ოქროს შემცველი მასის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება.

რ. წ-ის, გ. კ-ის, ა. გ-ისა და ზ. ბ-ის ორგანიზებულ ჯგუფს შპს «კ-ის» ტერიტორიიდან ყოველთვიურად, დაახლოებით 4-5 თვის განმავლობაში, ფარულად გამოჰქონდა დაახლოებით ერთი კილოგრამი ოქროს შემცველი მასა, რომლის გადამუშავებისა და რეალიზაციის შედეგად მათ მიიღეს დაახლოებით 10000 აშშ დოლარი, რაც ერთმანეთში გაინაწილეს.

ორგანიზებული ჯგუფის დანაშაულებრივი ქმედების შედეგად შპს «კ-ს» მიადგა დაახლოებით 170000 აშშ დოლარის დიდი ოდენობით ზიანი.

აღნიშნული ქმედებისათვის რ. წ-ს მიესაჯა 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2010 წლის 10 სექტემბრიდან.

საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის საფუძველზე რ. წ-ს სახელმწიფოს სასარგებლოდ, უსასყიდლოდ ჩამოერთვა ავტომანქანა «აუდი-ა6», სახ. [1]..., როგორც დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული ნივთი.

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი, რ. წ-ის ბინის ჩხრეკის შედეგად ამოღებული ფული – 6800 აშშ დოლარი საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა მიექცეს სახელმწიფო საკუთრებაში, ხოლო საქმეზე ასევე ნივთმტკიცებად ცნობილი ოქროს შემცველი მასა უნდა დაუბრუნდეს მის კანონიერ მფლობელს – შპს «კ-ს».

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა რ. წ-მა და ითხოვა გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 27 ივნისის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი რ. წ-ის მიმართ დარჩა უცვლელად.

კასატორი – მსჯავრდებული რ. წ-ი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი უკანონო, დაუსაბუთებელი და უსამართლოა, ამიტომ ის უნდა გაუქმდეს, რადგან სასამართლო გამოძიება ჩატარდა ზერელედ, არ დაკითხეს სხვა განსასჯელები და ისე გააფორმეს ყველასთან საპროცესო გარიგება; თვით რ. წ-საც ჰპირდებოდნენ საპროცესო გარიგების გაფორმებას, რის გამოც იძულებული გახდა, ეღიარებინა დანაშაული, თუმცა იგი მოატყუეს და არ მისცეს დეტალური და ზუსტი ჩვენების მიცემის შესაძლებლობა; სასამართლომ არ შეისწავლა საქმის მასალები და ისე ჩამოართვა მისი სიდედრის – დ. ც-ის კუთვნილი თანხა, რომ არც კი დაინტერესდა ამ თანხის წარმომავლობით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კასატორი – მსჯავრდებული რ. წ-ი ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას, ასევე – ავტომანქანა «აუდისა» და 6800 აშშ დოლარის დაბრუნებას მესაკუთრეებისათვის.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები და მივიდა დასკვნამდე, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მსჯავრდებულის მტკიცების საპირისპიროდ პირველი ინსტანციის სასამართლოში დაიკითხნენ განსასჯელები – მ. ყ-ი და გ. კ-ი, რომლებმაც სრულად აღიარეს მათთვის ბრალად შერაცხული ქმედებების ჩადენა. გ. კ-მა განმარტა, რომ რ. წ-ისათვის ცნობილი იყო ოქროს შემცველი ნივთიერების ქურდობის შესახებ და მისი რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხას ურთიერთშორის ინაწილებდნენ.

კასატორი აღნიშნავს, რომ მას ჰპირდებოდნენ საპროცესო შეთანხმების გაფორმებას და ამის გამო აღიარა დანაშაულის ჩადენა, თუმცა საგულისხმოა, რომ რ. წ-მა პირველი ინსტანციის სასამართლოში აღიარებითი ჩვენება მისცა მას შემდეგ, რაც სხვა განსასჯელებთან გაფორმდა საპროცესო შეთანხმება და მათ მიმართ საქმე გამოიყო ცალკე წარმოებად.

უსაფუძვლოა რ. წ-ის მითითება, თითქოს სასამართლო გამოძიება ჩატარდა ზერელედ და არ მიეცა დეტალური ჩვენების მიცემის შესაძლებლობა, კერძოდ, პირველი ინსტანციის სასამართლოში რ. წ-ი დაიკითხა, ხოლო სააპელაციო სასამართლოში მან გამოიყენა დუმილის უფლება. ამასთან, სასამართლო გამოძიება შეიკვეცა კანონით დადგენილი წესით.

პალატა მიიჩნევს, რომ რ. წ-ის მიერ მისთვის ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენა უდავოდ დადასტურებულია საქმეში არსებული და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებებით, რაც საკმარისია საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად.

ამასთან, სსსკ-ის 475-ე მუხლის მე-9 ნაწილის შესაბამისად, სასამართლო იკვლევს იმ მტკიცებულებებსაც, რომლებიც ახასიათებს განსასჯელის პიროვნებას, შეეხება პასუხისმგებლობის დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებებს.

მსჯავრდებულის დამცველი ითხოვდა, რომ სააპელაციო სასამართლოს მხედველობაში მიეღო მსჯავრდებულის ოჯახური მდგომარეობა, კერძოდ ის, რომ რ. წ-ს ჰყავდა მცირეწლოვანი შვილები.

ამასთან დაკავშირებით სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას გაითვალისწინა მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, მათ შორის – ოჯახური მდგომარეობა, მაგრამ პირველი ინსტანციის სასამართლომ რ. წ-ის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად მიიჩნია მხოლოდ ის, რომ მან აღიარა და მოინანია ჩადენილი დანაშაული.

საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქმის გარემოებათა გამოკვლევა უნდა იყოს ყოველმხრივი, სრული და ობიექტური, რაც ასევე გულისხმობს, რომ ერთნაირი გულმოდგინებით უნდა გაირკვეს პირის პასუხისმგებლობის როგორც დამამძიმებელი, ისე შემამსუბუქებელი გარემოებები.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ზემოაღნიშნული არსებითი დარღვევის გამო გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სხვა შემადგენლობას, რომელმაც უნდა გაითვალისწინოს აღნიშნული მითითებები, რის შემდეგ გამოიტანოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, 570-ე მუხლის 1-ელი ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 27 ივნისის განაჩენი რ. წ-ის მიმართ, ხოლო საქმე ხელახლა განსახილველად გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განაჩენის გაუქმება და საქმის დაბრუნება პროკურორისათვის საპროცესო შეთანხმების პირობების დარღვევის გამო

განჩინება

[1]105-ას-12 27 მარტი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
დ. სულაქველიძე,
გ. შავლიაშვილი

განიხილა საქართველოს მთავარი პროკურატურის შსს საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს პროკურორ ე. გ-ს საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 19 აპრილის განაჩენით:

საქართველოს მთავარი პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს პროკურორის – ლ. ძ-ს შუამდგომლობა დაკმაყოფილდა. სასამართლო სხდომაზე დაზუსტებული პირობით დამტკიცდა ზემდგომი პროკურორის, საქართველოს მთავარი პროკურატურის შს სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს უფროსის – რ. გ-ს თანხმობით 2011 წლის 19 აპრილს დადებული საპროცესო შეთანხმება პროკურორ ლ. ძ-ს, ბრალდებულ ი. ზ-სა და მისი ინტერესების დამცველს, ადვოკატ რ. მ-ს შორის.

ი. ზ-ი საქმის არსებითი განხილვის გარეშე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობითად და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 6 წელი, ხოლო სსკ-ის 41-ე-42-ე მუხლების საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა – 200 000 ლარის ოდენობით.

ი. ზ-ს მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა გაუქმდა და ბრალდებული დაუყოვნებლივ გათავისუფლდა სასამართლო სხდომის დარბაზიდან. ი. ზ-ს ძირითადი სასჯელის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2010 წლის 22 დეკემბრიდან განთავისუფლების დღის – 2011 წლის 19 აპრილის ჩათვლით, 3 თვე და 28 დღე.

საქართველოს მთავარი პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს პროკურორის – ლ. ძ-ს შუამდგომლობა დაკმაყოფილდა. სასამართლო სხდომაზე დაზუსტებული პირობით დამტკიცდა ზემდგომი პროკურორის, საქართველოს მთავარი პროკურატურის შს სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს უფროსის – რ. გ-ს თანხმობით 2011 წლის 19 აპრილს დადებული საპროცესო შეთანხმება პროკურორ ლ. ძ-ძეს, ბრალდებულ ს. წ-სა და მისი ინტერესების დამცველს, ადვოკატ ლ. გ-ს შორის.

ს. წ-ი საქმის არსებითი განხილვის გარეშე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობითად და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 6 წელი, ხოლო სსკ-ის 41-ე-42-ე მუხლების საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა – 5000 ლარის ოდენობით.

ს. წ-ს მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა გაუქმდა და ბრალდებული დაუყოვნებლივ გათავისუფლდა სასამართლო სხდომის დარბაზიდან. ს. წ-ს ძირითადი სასჯელის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2010 წლის 22 დეკემბრიდან განთავისუფლების დღის – 2011 წლის 19 აპრილის ჩათვლით, 3 თვე და 28 დღე.

საქართველოს მთავარი პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს პროკურორის – ლ. ძ-ს შუამ-

დგომლობა დაკმაყოფილდა. სასამართლო სხდომაზე დაზუსტებული პირობით დამტკიცდა ზემდგომი პროკურორის, საქართველოს მთავარი პროკურატურის შს სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს უფროსის – რ. გ-ს თანხმობით 2011 წლის 19 აპრილს დადებული საპროცესო შეთანხმება პროკურორ ლ. ძ-ს, ბრალდებულ ა. ძ-სა და მისი ინტერესების დამცველს, ადვოკატ შ. ბ-ს შორის.

ა. ძ-ი საქმის არსებითი განხილვის გარეშე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობითად და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 6 წელი, ხოლო საქართველოს სსკ-ის 41-ე-42-ე მუხლების საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა – 10000 ლარის ოდენობით.

ა. ძ-ს მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა გაუქმდა და ბრალდებული დაუყოვნებლივ გათავისუფლდა სასამართლო სხდომის დარბაზიდან. ა. ძ-ს ძირითადი სასჯელის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2010 წლის 22 დეკემბრიდან განთავისუფლების დღის – 2011 წლის 19 აპრილის ჩათვლით, 3 თვე და 28 დღე.

დ. ს-ს ბრალდებიდან ამოერიცხა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება.

დ. ს-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო სსკ-ის 41-ე-42-ე მუხლების საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა – 4000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხვით. დ. ს-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2010 წლის 22 დეკემბრიდან.

ზ. მ-ს ბრალდებიდან ამოერიცხა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება.

ზ. მ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო სსკ-ის 41-ე-42-ე მუხლების საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა – 4000 ლარის ოდენობით, 221-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, 2 წლით კერძო და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში ხელმძღვანელობითი თანამდებობის უფლების ჩამორთმევით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ელი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და საბოლოოდ მას დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის ზომად განესაზღვრა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა და დამატებითი სასჯელი ჯარიმა – 4000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხვით და 2 წლის ვადით კერძო და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში ხელმძღვანელობითი თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა. ზ. მ-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2010 წლის 22 დეკემბრიდან.

ბ. ს-ს ბრალდებიდან ამოერიცხა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება.

ბ. ს-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 41-ე-42-ე მუხლების საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა – 4000 ლარის ოდენობით, 221-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, 2 წლით კერძო და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში ხელმძღვანელობითი თანამდებობის უფლების ჩამორთმევით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ელი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და საბოლოოდ მას დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის ზომად განესაზღვრა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა და დამატებითი სასჯელი ჯარიმა – 4000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხვით, ასევე 2 წლის ვადით ჩამოერთვა კერძო და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში ხელმძღვანელობითი თანამდებობის დაკავების უფლება. ბ. ს-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2010 წლის 22 დეკემბრიდან.

ზ. ზ-ს ბრალდებიდან ამოერიცხა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება.

ზ. ზ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო სსკ-ის 41-ე-42-ე მუხლების საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა – 4000 ლარის ოდენობით, 221-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, 2 წლით კერძო და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში ხელმძღვანელობითი თანამდებობის უფლების ჩამორთმევით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და საბოლოოდ მას დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის ზომად განესაზღვრა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა და დამატებითი სასჯელი ჯარიმა – 4000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხვით, ასევე 2 წლის ვადით ჩამოერთვა კერძო და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში ხელმძღვანელობითი თანამდებობის დაკავების უფლება. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2010 წლის 22 დეკემბრიდან.

ა. ო-ს ბრალდებიდან ამოერიცხა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება.

ა. ო-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2010 წლის 22 დეკემბრიდან.

თ. ხ-ს ბრალდებიდან ამოერიცხა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება.

თ. ხ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო სსკ-ის 41-ე-42-ე მუხლების საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა – 4000 ლარის ოდენობით, 221-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, 2 წლით კერძო და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში ხელმძღვანელობითი თანამდებობის უფლების ჩამორთმევით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ელი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და საბოლოოდ მას დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის ზომად განესაზღვრა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა და დამატებითი სასჯელი ჯარიმა – 4000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხვით, ასევე 2 წლის ვადით ჩამოერთვა კერძო და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში ხელმძღვანელობითი თანამდებობის დაკავების უფლება. თ. ხ-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2010 წლის 22 დეკემბრიდან.

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი:

ა. ო-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული „ნოკიას“ და „სამსუნგის“ ფირმის მობილური ტელეფონები სიმბარათებით საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს ა. ო-ს ან მის მიერ საამისოდ უფლებამოსილ პირს; თ. ხ-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული „ნოკიას“ ფირმის მობილური ტელეფონი თავისი სიმ-ბარათით საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს თ. ხ-ს ან მის მიერ საამისოდ უფლებამოსილ პირს; ბ. ს-ს კუთვნილი „ნოკიას“ ფირმის მობილური ტელეფონი თავისი სიმბარათით საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს ბ. ს-ს ან მის მიერ საამისოდ უფლებამოსილ პირს; ზ. ზ-ს ბინის ჩხრეკისას ამოღებული „ნოკიას“ ფირმის მობილური ტელეფონი თავისი სიმბარათით საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს ზ. ზ-ს ან მის მიერ საამისოდ უფლებამოსილ პირს; ს. წ-ს „ნოკიას“ ფირმის 2 მობილური ტელეფონი საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს ს. წ-ს ან მის მიერ საამისოდ უფლებამოსილ პირს; ი. ზ-ს „ნოკიას“ და „სამსუნგის“ ფირმის მობილური ტელეფონები თავისი სიმ-ბარათებით საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს ი. ზ-ს ან მის მიერ საამისოდ უფლებამოსილ პირს; შპს „...“ სადგურ ... ამოღებული ტვირთის სავაგონო სასწორზე აწონვის წიგნი საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს შპს „...“; სს „...“ რკინიგზის განყოფილების საქარხნო სადგურის სამორიგეო ოთახიდან ამოღებული მორიგეობის და კლიენტურის გადაწონვის 2 ჟურნალი საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს მფლობელს – ს/ს „...“; თ. ხ-ს მიერ სხვადასხვა დროს ვ. ყ-სთვის გადაცემული ფულადი თანხა – 2745 ლარი, რომელიც ინახება შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამხარეო სამმართველოში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა გადაირიცხოს სახელმწიფო ბიუჯეტში; ზ. მ-ს მიერ სხვადასხვა დროს ვ. ყ-სთვის გადაცემული ფულადი თანხა – 525 ლარი, რომელიც ინახება შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამხარეო სამმართველოში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა გადაირიცხოს სახელმწიფო ბიუჯეტში; საქმეზე დართული 36 ჩD დისკი შენახულ უნდა იქნეს საქმის შენახვის დროით.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულების მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

შპს «...“ თანამშრომელმა ი. ზ-მ გადაწყვიტა შპს „...“ კუთვნილი, დიდი ოდენობით თანხის თაღლითურად დაუფლება. 2010 წლის ოქტომბერში იგი დანაშაულებრივად დაუკავშირდა შპს „...“ თანამშრომელ დ. ს-ს, გაანდო თავისი განზრახვა და მათ ერთობლივად გადაწყვიტეს შეექმნათ ორგანიზებული ჯგუფი. აღნიშნულის შემდეგ ი. ზ-ი და დ. ს-ი დაუკავშირდნენ შპს „...“ კონტრაქტორი ფირმების: შპს „...“, შპს „...“, შპს „...“, შპს „...“ და შპს „...“ წარმომადგენელ ა. ო-ს, შპს „...“ და შსპ „...“ წარმომადგენლებს – ზ. ზ-სა და თ. ხ-ს, შპს „...“ წარმომადგენლებს – ბ. ს-სა და ზ. მ-ს და ს/ს „...“ რკინიგზის განყოფილების საქარხნო სადგურზე არსებული სასწორის მწონავებს – ს. წ-სა და ა. ძ-ს, რის შემდეგაც ისინი შეკავშირდნენ, ჩამოაყალიბეს პირთა მყარი ჯგუფი და მოილაპარაკეს, რომ სისტემატურად თაღლითურად დაუფლებოდნენ შპს „...“ კუთვნილ, დიდი ოდენობით თანხებს. მათ მანიპულირება უნდა მოეხდინათ შპს „...“ ჩაბარებულ შავი ლითონის (ჯართის) წონაზე და ხელოვნურად გაეზარდათ იგი. აღნიშნული თაღლითური გზით მიღებულ შემოსავალს კი ორგანიზებული ჯგუფის წევრები გაინაწილებდნენ. მათ გადაინაწილეს როლები და შეიმუშავეს დანაშაულებრივი გეგმა, რომლის მიხედვითაც, ზემოაღნიშნული კონტრაქტორი ფირმების წარმომადგენლები – ზ. ზ-ი, თ. ხ-ე, ა. ო-ი, ზ. მ-ე და ბ. ს-ა პერიოდულად აწვდიდნენ შპს „...“ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შავ ლითონს (ჯართს). მათ რკინიგზის მეშვეობით შავი ლითონით დატვირთული ვაგონები შეჰყავდათ ს/ს „...“ სავაგონო სასწორზე, სადაც მწონავები – ს. წ-ი და ა. ძ-ი ხელოვნურად ზრდიდნენ შავი ლითონის წონას, რის შემდეგაც კონტრაქტორი ფირმების წარმომადგენლები შპს „...“ თაღლითურად, გეგმის მიხედვით, ღებულობდნენ დიდი ოდენობით დამატებით თანხებს, საიდანაც ნაწილს უხდიდნენ ი. ზ-სა და დ. ს-ს, ხოლო დასახელებული პირები თაღლითური გზით მოპოვებული ფულადი თანხიდან ანგარიშსწორებას ახდენდნენ მწონავებთან – ა. ძ-სა და ს. წ-თან, კერძოდ კი: შპს „...“, შპს „...“, შპს „...“, შპს „...“ და შპს „...“ წარმო-

მადგენლის – ა. ო-ს მიერ 2010 წლის ოქტომბერში შპს „...“ პერიოდულად შეტანილმა შავი ლითონის (ჯართის) ხელოვნურად გაზრდილმა წონამ შედგინა 69 ტონა, რის შემდეგაც მან შპს „...“ თაღლითურად მიიღო 31124.423 ლარი, საიდანაც 19394.423 ლარი დაიტოვა თვითონ, ხოლო დანარჩენი 11730 ლარი 2010 წლის 30 ოქტომბერს გადასცა ი. ზ-სა და დ. ს-ს.

ასევე, 2010 წლის 31 ოქტომბერს ა. ო-მ შპს „...“ ჩასაბარებლად სს „...“ კუთვნილ სასწორზე შეიყვანა შავი ლითონით (ჯართით) დატვირთული 12 სატვირთო ვაგონი, რა დროსაც, ი. ზ-სა და დ. ს-ს მითითებით, მწონავის – ს. წ-ს მიერ ხელოვნურად გაზრდილმა ჯართის წონამ შეადგინა 50 ტონა. ამის შედეგად შპს „...“ თაღლითურად მიღებული 22637.849 ლარიდან 14137.849 ლარი დაიტოვა ა. ო-მ, დანარჩენი ნაწილი – 8500 ლარი კი გადასცა ი. ზ-სა და დ. ს-ს, ხოლო ამ უკანასკნელმა მომატებულ ტონაზე 19 ლარი, სულ 950 ლარი გადაუხადა ს. წ-ს.

2010 წლის 31 ოქტომბერს ორგანიზებული ჯგუფის წევრებმა, შპს „...“ და შპს „...“ წარმომადგენლებმა – თ- ხ-მ და ზ. ზ-მ შპს „...“ ჩასაბარებლად სს „...“ კუთვნილ სასწორზე შეიყვანეს შავი ლითონით (ჯართით) დატვირთული 6 სატვირთო ვაგონი, რა დროსაც, ი. ზ-სა და დ. ს-ს მითითებით, მწონავის – ს. წ-ს მიერ ხელოვნურად გაზრდილმა ჯართის წონამ შეადგინა 60 ტონა. შპს „...“ თაღლითურად მიღებული 27945.89 ლარიდან 9945.89 ლარი დაიტოვეს ზ. ზ-მ და თ. ხ-მ, ხოლო 2010 წლის 9 ნოემბერს დანარჩენი ნაწილი – 18000 ლარი ზ. ზ-მ გადასცა ი. ზ-სა და დ. ს-ს, ამ უკანასკნელმა კი მომატებულ ტონაზე 19 ლარი, სულ 1140 ლარი გადაუხადა ს. წ-ს.

2010 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში ორგანიზებული ჯგუფის წევრებმა, შპს „...“ წარმომადგენლებმა – ბ. ს-მ და ზ. მ-მ შპს „...“ ჩასაბარებლად სს „...“ კუთვნილ სასწორზე შეიყვანეს შავი ლითონით (ჯართით) დატვირთული 4 სატვირთო ვაგონი, რა დროსაც, ი. ზ-სა და დ. ს-ს მითითებით, მწონავის – ა. ძ-ს მიერ ხელოვნურად გაზრდილმა ჯართის წონამ შეადგინა 10 ტონა. შპს „...“ თაღლითურად მიღებული 4988.627 ლარიდან 2494.3135 ლარი დაიტოვეს ბ. ს-მ და ზ. მ-მ, ხოლო 2010 წლის 9 ნოემბერს დანარჩენი ნაწილი – 2494.3135 ლარი მათ გადასცეს ი. ზ-სა და დ. ს-ს, ამ უკანასკნელმა კი მომატებულ ტონაზე 19 ლარი, სულ 190 ლარი გადაუხადა ა. ძ-ს.

ასევე, 2010 წლის 16 დეკემბრიდან 20 დეკემბრის ჩათვლით ბ. ს-მ და ზ. მ-მ შპს „...“ ჩასაბარებლად სს „...“ კუთვნილ სასწორზე შეიყვანეს შავი ლითონით (ჯართით) დატვირთული 3 სატვირთო ვაგონი, რა დროსაც, ი. ზ-სა და დ. ს-ს მითითებით, მწონავის – ა. ძ-ს მიერ ხელოვნურად გაზრდილმა ჯართის წონამ შეადგინა 15 ტონა. შპს „...“ თაღლითურად მიღებული 8428.2444 ლარიდან 4214.1222 ლარი დაიტოვეს ბ. ს-მ და ზ. მ-მ, ხოლო დანარჩენი ნაწილი – 4214.1222 ლარი მათ გადასცეს ი. ზ-სა და დ. ს-ს, ამ უკანასკნელმა კი მომატებულ ტონაზე 19 ლარი, სულ 285 ლარი გადაუხადა ა. ძ-ს.

2010 წლის 23 ოქტომბერს სს „...“ კუთვნილ სასწორზე შეყვანილ იქნა შავი ლითონით (ჯართით) დატვირთული ერთი სატვირთო ვაგონი, რა დროსაც, ი. ზ-სა და დ. ს-ს მითითებით, მწონავის – ს. წ-ს მიერ ხელოვნურად გაზრდილმა ჯართის წონამ შეადგინა 10 ტონა. შპს „...“ თაღლითურად მიღებული 4814.4 ლარიდან ი. ზ-მ და დ. ს-მ 700 ლარი გადაუხადეს ს. წ-ს.

ზემოაღნიშნული ორგანიზებული ჯგუფის წევრების მიერ ხელოვნურად მომატებულმა შავი ლითონის (ჯართის) საერთო წონამ შეადგინა 214 ტონა. ამასთან, შპს „...“ სს „...“ სასწორის მომსახურებაში გადაუხადა ტონაზე – 2,5 ლარი, რითაც ორგანიზებული ჯგუფის წევრების დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად შპს „...“ მიადგა დიდი ოდენობით – 100474.43 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

შპს „...“ წარმომადგენლებმა – ზ. მ-მ და ბ. ს-მ ჯგუფურად განიზრახეს შპს „...“ იმ პერიოდში შესაბამისი ლეგენდირებით ჩართული, ექსპერტის თანამდებობაზე მყოფი, შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის მეორე მთავარი სამმართველოს ქვემო ქართლის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლის – ვ. ყ-ს კომერციული მოსყიდვა, რათა მას თავისი სამსახურებრივი ვალდებულებების დარღვევით ყურადღება არ გაემახვილებინა შპს „...“ მათ მიერ შეტანილი შავი ლითონის ხარისხზე.

თავიანთი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, 2010 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში ზ. მ-ე და ბ. ს-ა დაუკავშირდნენ ვ. ყ-ს და შესთავაზეს, რომ მათ მიერ შპს „...“ შეყვანილ, შავი ლითონით დატვირთულ თითო სატვირთო ვაგონზე გადაუხდიდნენ 100 აშშ დოლარს იმის სანაცვლოდ, რომ მას თავისი სამსახურებრივი ვალდებულებების დარღვევით ყურადღება არ გაემახვილებინა ვაგონში შავ ლითონთან ერთად 4 ტონა მიწისა და სხვადასხვა მინარევის არსებობაზე. თანხმობის მიღების შემდეგ, 2010 წლის 16 დეკემბრიდან 2010 წლის 22 დეკემბრამდე, ზ. მ-მ და ბ. ს-მ შპს „...“ შეიყვანეს 3 სატვირთო ვაგონი, რომლებზეც მიწის და სხვადასხვა მინარევის მომატებულმა საერთო წონამ შეადგინა 12 ტონა, რის სანაცვლოდაც ზ. მ-მ და ბ. ს-მ შპს „...“ მიიღეს 6742.5955 ლარი, ხოლო ვ. ყ-ს კი დაპირებისამებრ სხვადასხვა დროს გადაუხადეს 525 ლარი.

შპს „...“ და შპს „...“ წარმომადგენლებმა – ზ. ზ-მ და თ. ხ-მ ჯგუფურად განიზრახეს შპს „...“ იმ პერიოდში შესაბამისი ლეგენდირებით ჩართული, ექსპერტის თანამდებობაზე მყოფი, შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის მეორე მთავარი სამმართველოს ქვემო ქართლის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლის – ვ. ყ-ს კომერციული მოსყიდვა, რათა მას თავისი სამსახურებრივი ვალდებულებების დარღვევით ყურადღება არ გაემახვილებინა შპს „ჯ-ში“ მათ მიერ შეტანილი შავი ლითონის ხარისხზე.

თავიანთი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, 2010 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში ზ. ზ-ი და თ. ხ-ე დაუკავშირდნენ ვ. ყ-ს და შესთავაზეს, რომ მათ მიერ შპს „...“ შეყვანილ, შავი ლითონით დატვირ-

თულ თითო სატვირთო ვაგონზე გადაუხდიდნენ 100 აშშ დოლარს იმის სანაცვლოდ, რომ მას თავისი სამსახურებრივი ვალდებულებების დარღვევით ყურადღება არ გაემახვილებინა ვაგონში შავ ლითონთან ერთად 4 ტონა მიწისა და სხვადასხვა მინარევის არსებობაზე. თანხმობის მიღების შემდეგ, 2010 წლის 14 დეკემბრიდან 2010 წლის 22 დეკემბრამდე, ზ. ზ-მ და თ. ხ-მ შპს „...“ შეიყვანეს 16 სატვირთო ვაგონი, რომლებზეც მიწის და სხვადასხვა მინარევის მომატებულმა საერთო წონამ შეადგინა 64 ტონა, რის სანაცვლოდაც ზ. ზ-მ და თ. ხ-მ შპს „...“ მიიღეს დამატებით 32603.079 ლარი, ხოლო ვ. ყ-ს კი დაპირებისამებრ სხვადასხვა დროს გადაუხადეს 2745 ლარი.

აღნიშნულ განაჩენში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

დამტკიცდა პროკურორსა და მსჯავრდებულებს – დ. ს-ს, ზ. მ-ს, გ. ს-ს, ზ. ზ-ს, ა. ო-სა და თ. ხ-ს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება.

მსჯავრდებულებს – დ. ს-ს, ზ. მ-ს, გ. ს-ს, ზ. ზ-ს, ა. ო-სა და თ. ხ-ს წარდგენილი ბრალიდან ამოერიცხათ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.

დ. ს-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების გამოყენებით ჩაეთვალა პირობით, 6 წლის გამოსაცდელი ვადით. მასვე საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა – 50000 ლარი. დ. ს-ს სასჯელში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის პერიოდი – 2010 წლის 22 დეკემბრიდან 2011 წლის 28 ივნისის ჩათვლით და იგი დაუყოვნებლივ გათავისუფლდა სხდომის დარბაზიდან.

ა. ო-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების გამოყენებით ჩაეთვალა პირობით, 6 წლის გამოსაცდელი ვადით. მასვე საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა – 200 000 ლარი. ა. ო-ს სასჯელში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის პერიოდი – 2010 წლის 22 დეკემბრიდან 2011 წლის 28 ივნისის ჩათვლით და იგი დაუყოვნებლივ გათავისუფლდა სხდომის დარბაზიდან.

ზ. მ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების გამოყენებით ჩაეთვალა პირობით. მასვე საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა – 40000 ლარი, 221-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების გამოყენებით ჩაეთვალა პირობით, 2 წლის ვადით კერძო და საჯარო იურიდიულ პირებში ხელმძღვანელობითი თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობით, 6 წლის გამოსაცდელი ვადით. მასვე დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 40000 ლარი და 2 წლის ვადით ჩამოერთვა კერძო და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში ხელმძღვანელობითი თანამდებობის დაკავების უფლება. ზ. მ-ს სასჯელში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის პერიოდი – 2010 წლის 22 დეკემბრიდან 2011 წლის 28 ივნისის ჩათვლით და იგი დაუყოვნებლივ გათავისუფლდა სხდომის დარბაზიდან.

გ. ს-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების გამოყენებით ჩაეთვალა პირობით, მასვე საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა – 45000 ლარი, 221-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების გამოყენებით ჩაეთვალა პირობით, 2 წლის ვადით კერძო და საჯარო იურიდიულ პირებში ხელმძღვანელობითი თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობით, 6 წლის გამოსაცდელი ვადით. მასვე დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 45000 ლარი და 2 წლის ვადით ჩამოერთვა კერძო და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში ხელმძღვანელობითი თანამდებობის დაკავების უფლება. გ. ს-ს სასჯელში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის პერიოდი – 2010 წლის 22 დეკემბრიდან 2011 წლის 28 ივნისის ჩათვლით და იგი დაუყოვნებლივ გათავისუფლდა სხდომის დარბაზიდან.

ზ. ზ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების გამოყენებით ჩაეთვალა პირობით. მასვე საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა – 75000 ლარი, 221-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების გამოყენებით ჩაეთვალა პირობით, 2 წლის ვადით კერძო და საჯარო იურიდიულ პირებში ხელმძღვანელობითი თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე დანიშნუ-

ლი სასჯელები შეიკრიბა და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობით, 6 წლის გამოსაცდელი ვადით, მასვე დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 75000 ლარი და 2 წლის ვადით ჩამოერთვა კერძო და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში ხელმძღვანელობითი თანამდებობის დაკავების უფლება. ზ. ზ-ს სასჯელში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის პერიოდი – 2010 წლის 22 დეკემბრიდან 2011 წლის 28 ივნისის ჩათვლით და იგი დაუყოვნებლივ გათავისუფლდა სხდომის დარბაზიდან.

თ. ხ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების გამოყენებით ჩაეთვალა პირობით. მასვე საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა – 10000 ლარი, 221-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების გამოყენებით ჩაეთვალა პირობით, 2 წლის ვადით კერძო და საჯარო იურიდიულ პირებში ხელმძღვანელობითი თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობით, 6 წლის გამოსაცდელი ვადით, მასვე დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 10000 ლარი და 2 წლის ვადით ჩამოერთვა კერძო და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში ხელმძღვანელობითი თანამდებობის დაკავების უფლება. თ. ხ-ს სასჯელში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის პერიოდი – 2010 წლის 22 დეკემბრიდან 2011 წლის 28 ივნისის ჩათვლით და იგი დაუყოვნებლივ გათავისუფლდა სხდომის დარბაზიდან.

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი:

ა. ო-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული „ნოკიას“ და „სამსუნგის“ ფირმის მობილური ტელეფონები სიმბარათებით საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს ა. ო-ს ან მის მიერ საამისოდ უფლებამოსილ პირს; თ. ხ-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული „ნოკიას“ ფირმის მობილური ტელეფონი თავისი სიმ-ბარათით საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს თ. ხ-ს ან მის მიერ საამისოდ უფლებამოსილ პირს; ბ. ს-ს კუთვნილი „ნოკიას“ ფირმის მობილური ტელეფონი თავისი სიმბარათით საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს ბ. ს-ს ან მის მიერ საამისოდ უფლებამოსილ პირს; ზ. ზ-ს ბინის ჩხრეკისას ამოღებული „ნოკიას“ ფირმის მობილური ტელეფონი თავისი სიმბარათით საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს ზ. ზ-ს ან მის მიერ საამისოდ უფლებამოსილ პირს; ს. წიკლაურის „ნოკიას“ ფირმის 2 მობილური ტელეფონი საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს ს. წ-ს ან მის მიერ საამისოდ უფლებამოსილ პირს; ი. ზ-ს „ნოკიას“ და „სამსუნგის“ ფირმის მობილური ტელეფონები თავისი სიმ-ბარათებით საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს ი. ზ-ს ან მის მიერ საამისოდ უფლებამოსილ პირს; შპს „...“ სადგურ ... ამოღებული ტვირთის სავაგონო სასწორზე აწონვის წიგნი საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს შპს „...“; სს „...“ რკინიგზის განყოფილების საქარხნო სადგურის სამორიგეო ოთახიდან ამოღებული მორიგეობის და კლიენტურის გადაწონვის 2 ჟურნალი საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს მფლობელს – ს/ს „...“; თ. ხ-ს მიერ სხვადასხვა დროს ვ. ყ-სთვის გადაცემული ფულადი თანხა – 2745 ლარი, რომელიც ინახება შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამხარეო სამმართველოში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა გადაირიცხოს სახელმწიფო ბიუჯეტში; ზ. მ-ს მიერ სხვადასხვა დროს ვ. ყ-სთვის გადაცემული ფულადი თანხა – 525 ლარი, რომელიც ინახება შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამხარეო სამმართველოში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა გადაირიცხოს სახელმწიფო ბიუჯეტში; საქმეზე დართული 36 ჩD დისკი შენახულ უნდა იქნეს საქმის შენახვის დროით.

საქართველოს მთავარი პროკურატურის შსს საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს პროკურორი ე. გ-ი საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებას ზ. ზ-ს მიმართ საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ და საქმის დაბრუნებას თბილისის სააპელაციო სასამართლოში არსებითად განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

ზ. ზ-სა და საქართველოს მთავარ პროკურატურას შორის 2011 წლის 28 ივნისს გაფორმდა საპროცესო შეთანხმება, რაც დამტკიცდა 2011 წლის 28 ივნისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენით.

ზ. ზ-სა და საქართველოს მთავარ პროკურატურას შორის გაფორმებული საპროცესო შეთანხმების პირობების მიხედვით, ზ. ზ-ს შეფარდებული დამატებითი სასჯელის, ჯარიმის თანხა – 75000 ლარი სრულად უნდა გადაეხდა 2011 წლის 31 დეკემბრამდე. იმავე ოქმით ზ. ზ-ს განემარტა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, თუ ის დაარღვევდა საპროცესო

შეთანხმების პირობებს, პროკურატურა ზემდგომ სასამართლოს მიმართავდა საჩივრით საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ განაჩენის გაუქმების თაობაზე.

საქმეში არსებული აღსრულების ეროვნული ბიუროს ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროს 2012 წლის 24 იანვრის წერილით ირკვევა, რომ ზ. ზ-ს დღევანდელი მდგომარეობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილი აქვს მხოლოდ 30000 ლარი, ხოლო დარჩენილ ნაწილზე – 45000 ლარზე – მიმდინარეობს იძულებითი აღსრულება.

ამდენად, ზ. ზ-მ დაარღვია 2011 წლის 28 ივნისს მასთან გაფორმებული საპროცესო შეთანხმების პირობა და არ უზრუნველყო დაკისრებული ჯარიმის – 75000 ლარის სრულად გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, რაც საქართველოს სსსკ-ის 215-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენის გაუქმების საფუძველია.

ამასთან, საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება კასატორის მოთხოვნას საქმის თბილისის სააპელაციო სასამართლოში არსებითად განსახილველად დაბრუნების თაობაზე.

საქართველოს სსსკ-ის 215-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ მსჯავრდებულმა დაარღვია საპროცესო შეთანხმების პირობა, პროკურორი უფლებამოსილია დარღვევის გამოვლენიდან 1 თვის ვადაში ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში შეიტანოს საჩივარი საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენის გაუქმების თაობაზე.

ამავე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ამ შემთხვევაში საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენის გაუქმებისას სასამართლო საქმეს უბრუნებს პროკურორს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის განაჩენი ზ. ზ-ს მსჯავრდების ნაწილში უნდა გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს პროკურორს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 215-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «გ» ქვეპუნქტით, 307-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

საქართველოს მთავარი პროკურატურის სსს საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს პროკურორ ე. გ-ს საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის განაჩენი ზ. ზ-ს მსჯავრდების ნაწილში და საქმე დაუბრუნდეს პროკურორს.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

განაჩენში ცვლილებების შეტანა მსჯავრდებულის სასიკეთოდ

დამატებით სასჯელად დაკისრებული ჯარიმის ამორიცხვა

განჩინება

[1]661-ას-11 21 ივნისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
პ. სილაგაძე

განიხილა მსჯავრდებულ დ. დ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ზ. რ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 16 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 6 აპრილის განაჩენით დ. დ-შვილი, – დაბადებული 1979 წელს, მებნილი, – ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-7 ნა-

წილით (საქართველოს 2000 წლის 30 ივნისის კანონი) – თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა – 5000 ლარის ოდენობით. დ. დ-შვილს ასევე ჩამოერთვა ავტომანქანის მართვის უფლება – 3 წლის ვადით. მას სასჯელის მოხდის ვადა უნდა აეთვალოს დაპატიმრებიდან ან სათანადო ორგანოებში გამოცხადების მომენტიდან.

სამოქალაქო სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ: დ. დ-შვილს დაზარალებულის სასარგებლოდ დაეკისრა ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად შ. მ-შვილისა და ი. ჩ-ის დაკრძალვასა და ამავე გარემოებიდან გამომდინარე გაწეული ხარჯების ანაზღაურება – ცხრამეტი ათასი ლარის ოდენობით; ავტომანქანის დაზიანების შედეგად გამოწვეული ზიანის ანაზღაურება – ათასი ლარის ოდენობით; ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება – ათასი ლარის ოდენობით, აგრეთვე მორალური ზიანის ანაზღაურება – ოთხი ათასი ლარის ოდენობით, სულ 25 000 ლარის ანაზღაურება.

განაჩენით დ. დ-შვილს მსჯავრი დაედო იმაში, რომ მან ჩაიდინა ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევა იმის მიერ, ვინც ამ სატრანსპორტო საშუალებას მართავს, რამაც გამოიწვია ორი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.

აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში: 2004 წლის 11 აპრილს, დაახლოებით 20:30 საათზე, დ. დ-შვილი ავტომანქანა „გაზ-2402-ით“ მოძრაობდა ხაშური-ახალციხე-ვალეს საბაჟო გამშვები პუნქტის გზის მე-18,70 კილომეტრზე, ქ. ბორჯომიდან ხაშურის მიმართულებით. მან სოფელ კორტანეთთან დაარღვია ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების წესები, კერძოდ, „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის 1-ელი პუნქტის მოთხოვნები, რომლის მიხედვით, საქართველოს გზებზე სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობა დადგენილია მარჯვენა მხარეს და ასევე ამავე კანონის 27-ე მუხლის 1-ელი პუნქტის მოთხოვნა, ვერ უზრუნველყო უსაფრთხო მანევრი ზოლიდან ზოლში გადასვლისას, რათა მოძრაობის სხვა მონაწილეს არ შეჰქმნოდა დაბრკოლება. ავტომანქანით, რომელსაც თავად მართავდა, გადაკვეთა წარმოსახვითი ღერძულა ხაზი, გადავიდა გზის საპირისპირო ზოლში და შეეჯახა საპირისპიროდ მოძრავ შ. მ-შვილის ავტომანქანა „ვაზ-21011-ს». შეჯახების შედეგად დაზიანდა ორივე ავტომანქანა, ხოლო ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მიღებული სხეულის დაზიანებებით გარდაიცვალნენ ავტომანქანა „ვაზ-21011-ის“ მძღოლი შ. მ-შვილი და მისი მგზავრი, მეუღლე – ი. ჩ-ი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ დ. დ-შვილის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ი. ბ-მ, რომელიც საჩივრით ითხოვდა ახალციხის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 6 აპრილის განაჩენის გაუქმებასა და გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 16 ნოემბრის განაჩენით ახალციხის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 6 აპრილის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ დ. დ-შვილის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ზ. რ-შვილმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 16 ნოემბრის განაჩენის გაუქმებასა და საქმის შეწყვეტას.

სამოტივაციო ნაწილი:

საქართველოს სსსკ-ის 567-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმე სრული მოცულობით, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით ირკვევა, რომ შეკრებილი მტკიცებულებები ორივე ინსტანციის სასამართლომ გამოიკვლია და შეაფასა სრულად, ობიექტურად და კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, დადგენილად მიიჩნია მხოლოდ ის ფაქტობრივი გარემოებები, რაც უტყუარად დასტურდებოდა და ეჭვს არ იწვევდა.

მსჯავრდებულ დ. დ-შვილის მიერ ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევა (რამაც გამოიწვია ორი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა) დასტურდება საქმეში არსებული და სასამართლოს მიერ გამოკვლეული უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობით, კერძოდ: დაზარალებულ ვ. მ-შვილის, მოწმეების – დ. უ-შვილის, თ. ლ-ძის, მ. და ზ. ღ-ძეების, გ. ლ-ძის, ჯ. დ-ის, ნ. მ-შვილის ჩვენებებით, გ. გ-ძის მიმართ არსებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 22 თებერვლის, ნ. მ-შვილის მიმართ არსებული ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 23 დეკემბრის, ჯ. დ-ის მიმართ არსებული ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 25 დეკემბრისა და ბ. გ-ძის მიმართ არსებული ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 23 იანვრის კანონიერ ძალაში შესული განაჩენებით, ასევე საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების ერთობლიობით.

საკასაციო პალატა არ იზიარებს საკასაციო საჩივრის მოტივებს და მიაჩნია, რომ მოწმეთა ჩვენებებს შორის არსებითი ხასიათის წინააღმდეგობა საქმის მასალებით არ დასტურდება. რაც შეეხება თბილისის სააპელაციო სასამართლოში წარდგენილ ავტოტექნიკურ და სატრანსპორტო-ტრასოლოგიური ექსპერტიზის [1]018708-2011/02/3 დასკვნას, რომლის შედეგებზე დაყრდნობითაც კასატორი აპელირებს დ. დ-შვილის უდანაშაულობის თაობაზე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ასევე არ უნდა იქნეს გაზიარებული შემდეგ გარემოებათა გამო: ექსპერტმა დ. გ-მა სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხვისას განმარტა, რომ სა-

ექსპერტო კვლევა ჩაატარა მანქანებზე ფაქტობრივად არსებული დაზიანებების, მის მიერ შემთხვევის ადგილის დათვალიერების შედეგების მიხედვით და საქმის მასალებზე დაყრდნობით. ექსპერტმა განმარტა, რომ ავტომანქანა «გაზ-21011» პირველად დაათვალიერა 2005 ან 2006 წელს, ხოლო «გაზ-2402» შემთხვევიდან დაახლოებით ხუთი წლის შემდეგ – 2009 წელს, შესაბამისად, ვერ გამორიცხა ავტოსაგზაო შემთხვევის შემდეგ დაზიანებულ ავტომანქანებზე რაიმე ზემოქმედების შესაძლებლობა ანუ შემთხვევის შედეგად არსებული მდგომარეობის ცვლილება. ამასთან, საქმის მასალებით დგინდება, რომ ავტოსაგზაო შემთხვევის შემდეგ დაზიანებული ავტომანქანა «გაზ-2402» 2004 წლის 16 მაისს დაუბრუნდა მის მესაკუთრეს – ბ. გ-ძეს. ავტომანქანების ამოღება მხოლოდ 2008 წელს განხორციელდა, თუმცა ისინი შესანახად კვლავ მესაკუთრეებს გადაეცა. აღნიშნული გარემოებების გათვლისწინებით, ნათელია, რომ შვიდი წლის განმავლობაში საექსპერტო კვლევის ობიექტებზე (ავტომანქანებზე) არსებობდა გარეშე პირებისა და გარემო ფაქტორების შესაძლო ზემოქმედების რისკები, შესაბამისად, უარყოფილად ვერ ჩაითვლება ვარაუდი მისი ნიშნებისა და თვისებების არსებითი შეცვლის, ანდა მასზე დარჩენილი კვალის გაქრობის შესახებ. ამიტომ საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ამ თვალსაზრისით ავტომანქანების საექსპერტო კვლევისათვის გამოყენება არ იძლევა უტყუარობის მაღალი ხარისხით გაზიარების შესაძლებლობას.

ექსპერტმა საექსპერტო კვლევისას ავტომანქანების საბოლოო განლაგების დასადგენად ასევე გამოიყენა საქმის მასალები, თუმცა ვერ მიუთითა, კონკრეტულად რომელ მასალებს დაეყრდნო. საქმის მასალების ანალიზით დგინდება, რომ გარდა შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმისა და მასზე თანდართული სქემისა (რომელიც კანონიერ ძალაში შესული განაჩენის თანახმად გაყალბებულია), რის საფუძველზეც უნდა დადგენილიყო ავტომანქანების საბოლოო ზუსტი განლაგება, საქმეში არ მოიპოვება სხვა მტკიცებულება, რომელიც ავტომანქანების შეჯახების შემდეგ მათ საბოლოო ზუსტ პოზიციას მიუთითებს. მოწმეთა ჩვენებებით და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული სხვა მტკიცებულებებით, რომლებიც, გარკვეულწილად, ეხება ავტომობილების საბოლოო განლაგებას, იკვეთება მხოლოდ ზოგადი სურათი ავტომობილების კლდის მხარეს განლაგების შესახებ და, მათი ანალიზიდან გამომდინარე, შეუძლებელია ავტომანქანების ზუსტი კოორდინატების განსაზღვრა. ამასთან, ექსპერტმა დაკითხვისას დაადასტურა, რომ ავტომანქანების საბოლოო განლაგების მცირედი ცვლილება გავლენას მოახდენდა მისი დასკვნის საბოლოო შედეგზე.

ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ვინაიდან შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმზე თანდართული სქემა გაყალბებულია, საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებები კი საკმარისი სიზუსტით არ ასახავს შეჯახების შემდეგ ა/მანქანების საბოლოო განლაგებას, რომელსაც დაეყრდნო საექსპერტო კვლევა, სასამართლოს მიერ ვერ იქნება გაზიარებული.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ განაჩენის დადგენისას არასწორად გამოიყენა სისხლის სამართლის კანონი, რის საფუძველზეც მსჯავრდებულ დ. დ-შვილს შეუფარდა დამატებითი სასჯელი – ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით. 2004 წელს მოქმედი (როდესაც დ. დ-შვილმა ქმედება ჩაიდინა) სისხლის სამართლის კანონის 42-ე მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით, დამატებითი სასჯელის სახით პირს ჯარიმა დაენიშნებოდა მხოლოდ მაშინ, თუ ამას ითვალისწინებდა სსკ-ის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლის სანქცია.

მოცემულ შემთხვევაში, დანაშაულის ჩადენის დროს, საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-7 ნაწილის სანქციით ჯარიმა გათვალისწინებული არ იყო შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ დ. დ-შვილს გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამოერიცხოს მითითება დამატებით სასჯელად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 41-ე-42-ე მუხლების თანახმად, ჯარიმის – 5000 ლარის – დაკისრების თაობაზე.

ამასთან, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ დ. დ-შვილს დაზარალებულის სასარგებლოდ თანხის გადახდა დაეკისრა საპროცესო კანონის მოთხოვნათა დარღვევით,ჯკერძოდ: სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 35-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად, თუ გამომძიებელი, პროკურორი ან სასამართლო მიიჩნევს, რომ წარდგენილ სარჩელს აქვს საკმარისი საფუძველი, გამოაქვს გადაწყვეტილება პირის სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობის შესახებ, რის შემდეგაც, ამავე კოდექსის 36-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, სამოქალაქო მოპასუხედ ცნობს ბრალდებულს. მოცემულ შემთხვევაში დაზარალებული ცნობილი არ ყოფილა სამოქალაქო მოსარჩელედ, ხოლო მსჯავრდებული დ. დ-შვილი – სამოქალაქო მოპასუხედ და, შესაბამისად, მათ არც საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლება-მოვალეობები განმარტებიათ. ამდენად, პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებმა მსჯავრდებულს ისე დააკისრეს დაზარალებულის სასარგებლოდ თანხის გადახდა, რომ საქმეზე არ დაწყებულა სამოქალაქო სამართალწარმოება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განაჩენი დ. დ-შვილისათვის დაზარალებულის სასარგებლოდ თანხის დაკისრების ნაწილში უნდა გაუქმდეს.

იმის გამო, რომ საქმეზე სამოქალაქო სამართალწარმოება ფაქტობრივად არ დაწყებულა, პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, სსსკ-ის 561-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, საქმე სამოქალაქო სარჩელის ნაწილში ხელახლა განსახილველად გადასცეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. ამავე კოდექსის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, აღნიშნული გარემოება არ უკარგავს უფლებას დაზარალებულს, წარადგინოს სარჩელი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

სხვა ნაწილში გასაჩივრებული განაჩენი კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის **561**-ე მუხლის **1**-ელი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, **568**-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ დ. დ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ზ. რ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის **2011** წლის **16** ნოემბრის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ: ამოირიცხოს მითითება დ. დ-შვილისათვის დამატებით სასჯელად ჯარიმის – **5000** ლარის დაკისრების თაობაზე.

გასაჩივრებული განაჩენი გაუქმდეს დ. დ-შვილისათვის დაზარალებულის სასარგებლოდ თანხის დაკისრების ნაწილში.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საპროცესო შეთანხმება

განჩინება

[1]**34-აპ-12** 19 ივნისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
პ. სილაგაძე

განიხილა მსჯავრდებულ ა. ჩ-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის **2011** წლის **28** დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს **2011** წლის **12** ოქტომბრის განაჩენით ა. ჩ-ი, – დაბადებული **1989** წლის **15** თებერვალს, ნასამართლევი, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის **177**-ე მუხლის მე-**2** ნაწილის „ბ» და ამავე მუხლის მე-**3** ნაწილის „ბ», „დ» ქვეპუნქტებით (**2011** წლის **25** თებერვლის ეპიზოდი), **177**-ე მუხლის მე-**2** ნაწილის „ა» და მე-**3** ნაწილის „ბ» ქვეპუნქტებით (**2011** წლის **28** თებერვლის ეპიზოდი), **177**-ე მუხლის მე-**2** ნაწილის «ა», „ბ» და ამავე მუხლის მე-**3** ნაწილის „ბ», „დ» ქვეპუნქტებით (**2011** წლის მარტის ეპიზოდი) იმაში, რომ ჩაიდინა ქურდობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, არაერთგზის, საცავში უკანონო შეღწევით, სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ; ასევე – ქურდობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ჩადენილი არაერთგზის; ასევე – ქურდობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, საცავში უკანონო შეღწევით, ჩადენილი არაერთგზის, სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ, რაც გამოიხატა შემდეგში:

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს **2007** წლის **24** ივლისის განაჩენით ა. ჩ-ს საქართველოს სსკ-ის **177**-ე მუხლის მე-**2** ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებითა და **187**-ე მუხლის **1**-ელი ნაწილით სასჯელად განესაზღვრა **5** წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობით, **5** წლის გამოსაცდელი ვადით.

ამავე სასამართლოს **2007** წლის **17** დეკემბრის დადგენილებით «ამნისტიის შესახებ» საქართველოს კანონის საფუძველზე ა. ჩ-ი გათავისუფლდა სსკ-ის **187**-ე მუხლის **1**-ელი ნაწილით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან და საბოლოოდ მოსახდელად დარჩა თავისუფლების აღკვეთა **3** წლის, **11** თვისა და **26** დღის ვადით.

2011 წლის **25** თებერვალს, ღამის საათებში, სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ნასამართლევმა ა. ჩ-მა განიზრახა, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაუფლებოდა ქ. ოზურგეთში, ანასეულში, ... ქუჩაზე მდებარე ლ. თ-ძის ავტოფარეხში არსებულ და ამავე ავტოფარეხში მდგარი, ლ. კ-ძის საკუთრებაში არსებული, «ოპელ-ასტრას» მოდელის ავტომანქანის კონსტრუქციის შემადგენელ სხვადასხვა დასახელების ნივთს. თავისი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მითითებულ დროს ა. ჩ-მა ავტოფარეხის საკეტის დაზიანების გზით შეაღწია ავტოფარეხში და ფარულად დაეუფლა ლ. თ-ძის კუთვნილ, **20** ლიტრი ტევადობის მინის ჭურჭელს, მასში არსებული სითხით და ლ. კ-ძის კუთვნილი ავტომანქანის **115** ლარად ღირებულ აკუმულატორს.

2011 წლის **28** თებერვალს, ღამის საათებში, ა. ჩ-მა განიზრახა, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაუფლებოდა ქ. ოზურგეთში, ანასეულში, ყოფილი მეტეოროლოგიური სადგურის ტე-

რიტორიაზე მდებარე, ტელეკომპანია «გურიის» კუთვნილ სარეზერვო სატელევიზიო ანძაზე არსებულ ფერადი ლითონის შემცველ კაბელს. თავისი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ა. ჩ-მა შეაღწია ყოფილი მეტეოროლოგიური სადგურის ტერიტორიაზე და ფარულად დაეუფლა აღნიშნულ სატელევიზიო ანძაზე არსებულ, 60 მეტრი სიგრძის კაბელს, რითაც დაზარალებულს მიაყენა 900 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

2011 წლის მარტში, ზუსტი თარიღი დაუდგენელია, ღამის საათებში, ა. ჩ-მა განიზრახა, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაუფლებოდა ქ. ოზურგეთში, ანასეულში, ... ქ. [1]21-ში მცხოვრებ მოქალაქეთა – მ. ც-შვილის, მ. ს-ძის, ბ. კ-ძისა და ც. გ-ას ავტოფარეხებში გაჩერებული ავტომანქანების ნაწილებსა და სხვადასხვა დასახელების ნივთს. ა. ჩ-მა მ. ც-შვილის ავტოფარეხის მცირე ზომის ფანჯრის დაზიანებით შეაღწია ავტოფარეხში და ფარულად დაეუფლა მის კუთვნილ, 400 ლარად ღირებულ 120 კგ თხილსა და «ვაზ-2106» მარკის ავტომანქანაში არსებულ, 100 ლარად ღირებულ დინამიკებს. ფარულად დაუფლებული ნივთებიდან მან 120 კგ თხილი წაიღო თავის სახლში. ა. ჩ-ს ქმედებით დაზარალებულ მ. ც-შვილს სულ მიადგა 500 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

იმავე ღამით ა. ჩ-მა დააზიანა ც. გ-ას ავტოფარეხის კარი, შეაღწია შიგნით და ფარულად დაეუფლა მის კუთვნილ, მინის მცირე ზომის ბოთლებს. იმავე ღამით ა. ჩ-მა კარის საკეტის დაზიანებით მართლსაწინააღმდეგოდ შეაღწია ბ. კ-ძის კუთვნილ ავტოფარეხში და ფარულად დაეუფლა მის კუთვნილ, 450 ლარად ღირებულ ელექტროსადენებს, 20 ლარად ღირებულ 2 ცალ წყლის საჭერს, ე.წ. «ვენტილს», ქანჩებს, «ფოლკსვაგენის» მარკის ავტომანქანაში არსებულ, 400 ლარად ღირებულ, «სონის» ფირმის აუდიომაგნიტოფონსა და 150 ლარად ღირებულ აკუმულატორს. ა. ჩ-ს დანაშაულებრივი ქმედებით დაზარალებულს მიადგა 1100 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

ა. ჩ-მა კარის საკეტის დაზიანებით მართლსაწინააღმდეგოდ შეაღწია მ. ს-ძის ავტოფარეხში და ფარულად დაეუფლა მის კუთვნილ, 150 ლარად ღირებულ ელექტრობურღსა და წყლის გამათბობლის შემადგენელ, 50 ლარად ღირებულ ფერად ლითონს. ა. ჩ-ს დანაშაულებრივი ქმედებით დაზარალებულს მიადგა 200 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

აღნიშნული ქმედებისათვის ა. ჩ-ს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ» და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ», „დ» ქვეპუნქტებით (2011 წლის 25 თებერვლის ეპიზოდი) მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა» და მე-3 ნაწილის „ბ» ქვეპუნქტებით (2011 წლის 28 თებერვლის ეპიზოდი) – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», „ბ» და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ», „დ» ქვეპუნქტებით (2011 წლის მარტის ეპიზოდი) – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ელი ნაწილის საფუძველზე ა. ჩ-ს დანაშაულთა ერთობლიობით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 16 წლის ვადით, რასაც მთლიანად დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 3 წელი, 11 თვე, 26 დღე და განაჩენთა ერთობლიობით საბოლოოდ მიესაჯა 19 წლით, 11 თვითა და 26 დღით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2011 წლის 12 მარტიდან.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 28 დეკემბრის განაჩენით ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 12 ოქტომბრის განაჩენი ა. ჩ-ის მიმართ დარჩა უცვლელად.

კასატორი – მსჯავრდებული ა. ჩ-ი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ მის მიმართ დადგენილი განაჩენი მეტად მკაცრი და შეუსაბამოა დანაშაულის ხასიათთან; სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა, რომ მან აღიარა და გულწრფელად მოინანია ჩადენილი დანაშაული, სრულფასოვნად ითანამშრომლა გამოძიებასთან და დაეხმარა ობიექტური ჭეშმარიტების დადგენაში; დაზარალებულებისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურებულია; ჰყავს პატიმარი მამა და მძიმედ ავადმყოფი დედა, რომელსაც მის მეტი მზრუნველი არავინ ჰყავს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კასატორი ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის შეცვლასა და მისთვის დანიშნული სასჯელის შემსუბუქებას.

2012 წლის 14 ივნისს პროკურორმა გ. დ-ძემ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას მასსა და მსჯავრდებულ ა. ჩ-ს შორის ბრალზე დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ.

საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორმა გ. დ-ძემ მხარი დაუჭირა თავის შუამდგომლობას და ითხოვა, რომ ა. ჩ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს:

საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ბ“, «დ» ქვეპუნქტებითა და ამავე კოდექსის 55-ე მუხლის საფუძველზე – 1 წლით და 4 დღით თავისუფლების აღკვეთა;

სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და ამავე კოდექსის 55-ე მუხლის საფუძველზე – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა;

სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით, მე-3 ნაწილის „ბ“, «დ» ქვეპუნქტებითა და ამავე კოდექსის 55-ე მუხლის საფუძველზე – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა;

სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, ა. ჩადუნელს განესაზღვროს 5 წლით და 4 დღით თავისუფლების აღკვეთა, რასაც ამავე კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, დაემატოს წინა სასამართლო გადაწყვეტილებით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 3 წელი, 11 თვე, 26 დღე და ა. ჩადუნელს საბოლოოდ განესაზღვროს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა;

დანიშნული სასჯელიდან ა. ჩ-მა 6 წელი მოიხადოს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ხოლო დარჩენილი 3 წელი ჩაეთვალოს პირობით, 4 წლის გამოსაცდელი ვადით.

სასამართლო სხდომაზე საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას მხარი დაუჭირეს პროცესში მონაწილე მსჯავრდებულმა ა. ჩ-მა და მისმა ადვოკატმა მ. ფ-მ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა რა საქმის მასალები და წარმოდგენილი შუამდგომლობა, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატამ საქმის მასალების საფუძველზე განიხილა შუამდგომლობის დასაბუთებულობა და მიიჩნია, რომ საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ: დაზარალებულების – მ. ო-ძე-ცშვილის, ც. გ-ს, ბ. კ-ძის, მ. ს-ძის, ლ. კ-ძის, ა. გ-ის, მოწმეების – ნ. გ-ძის, ლ. თ-ძისა და სხვათა, ასევე თავად მსჯავრდებულის ჩვენებებით, ჩხრეკა-ამოღების, საგნის ამოცნობის, დათვალიერებისა და საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმებით ა. ჩ-ის მიმართ ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა უტყუარადაა დადასტურებული.

საკასაციო პალატის სხდომაზე გამოკვლევის შედეგად სასამართლო დარწმუნდა, რომ საპროცესო შეთანხმება დადებულია ძალადობის, დაშინების, მოტყუების ან რაიმე სხვა უკანონო დაპირების გარეშე, ნებაყოფლობით; მსჯავრდებულს ჰქონდა შესაძლებლობა, მიეღო კვალიფიციური იურიდიული დახმარება; მის მიმართ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მხრიდან არ ყოფილა წამება, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა; ა. ჩ-ი სრულად აცნობიერებს იმ დანაშაულის ხასიათს, რომლის ჩადენაშიც ედება ბრალი და იმ დანაშაულისათვის გათვალისწინებულ სასჯელს, რომლის ჩადენასაც ის აღიარებს; მისთვის ცნობილია საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული, კანონით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა ბრალის აღიარების შესახებ; მსჯავრდებული აცნობიერებს, რომ თუ სასამართლომ არ დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება, დაუშვებელია მომავალში მის წინააღმდეგ გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც იგი მიაწვდის სასამართლოს საპროცესო შეთანხმების განხილვისას; საპროცესო შეთანხმება არ არის შედეგი მსჯავრდებულის იძულებისა, დაშინებისა ან ისეთი დაპირებისა, რომელიც სცილდება საპროცესო შეთანხმების ფარგლებს; ა. ჩადუნელი ეთანხმება ბრალის აღიარების შესახებ საპროცესო შეთანხმების ფაქტობრივ საფუძველს; მსჯავრდებულსა და პროკურორს შორის მიღწეული შეთანხმების ყველა პირობა ასახულია საპროცესო შეთანხმებაში; მსჯავრდებული და მისი ადვოკატი სრულად იცნობენ საქმის მასალებს; ა. ჩ-სათვის ასევე ცნობილია მისთვის კანონით მინიჭებული დაცვის უფლება, უფლება უარი განაცხადოს საპროცესო შეთანხმებაზე ბრალის აღიარების შესახებ და უფლება სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვისა.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ პროკურორმა სწორი ფაქტობრივი და სამართლებრივი შეფასებები მისცა ბრალზე საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას, რის გამოც შუამდგომლობა ა. ჩ-ის მიმართ საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 307-ე მუხლის 1-ელი ნაწილის "გ" ქვეპუნქტით, 209-ე-216-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

სახელმწიფო ბრალმდებლის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს.

დამტკიცდეს საპროცესო შეთანხმება პროკურორ გ. დ-ძესა და მსჯავრდებულ ა. ჩ-ს შორის.

ა. ჩ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს:

საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ბ", «დ» ქვეპუნქტებითა და ამავე კოდექსის 55-ე მუხლის საფუძველზე – 1 წლით და 4 დღით თავისუფლების აღკვეთა;

სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტებითა და ამავე კოდექსის 55-ე მუხლის საფუძველზე – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა;

სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით, მე-3 ნაწილის „ბ", «დ» ქვეპუნქტებითა და ამავე კოდექსის 55-ე მუხლის საფუძველზე – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა;

სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, ა. ჩ-ს განესაზღვროს 5 წლით და 4 დღით თავისუფლების აღკვეთა, რასაც, ამავე კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, დაემატოს წინა სასამართლო გადაწყვეტილებით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 3 წელი, 11 თვე, 26 დღე და ა. ჩ-ს საბოლოოდ განესაზღვროს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

დანიშნული სასჯელიდან – 9 წლით თავისუფლების აღკვეთიდან ა. ჩ-მა 6 წელი მოიხადოს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ხოლო დარჩენილი 3 წელი ჩაეთვალოს პირობით, 4 წლის გამოსაცდელი ვადით.

მსჯავრდებულ ა. ჩ-ს სასჯელის მოხდა დაეწყოს 2011 წლის 12 მარტიდან.

ნივთმტკიცებები – «ჭIშთA-ს» ფირმის აკუმულატორი, ერთი ტომარა თხილი, ქანჩები, ლითონის ყუთი, ელექტროსადენები, ავტომანქანის «შONY-ის» ფირმის აუდიომაგნიტოფონი, ე.წ. «ვენტილი» და ლატუნის მილები დაუბრუნდეს მესაკუთრეებს, ხოლო ა. ჩ-ის კუთვნილი «შAMშUNG-ის» ფირმის მობილური ტელეფონი დაუბრუნდეს მსჯავრდებულის ოჯახის რომელიმე წევრს.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა.

საპროცესო შეთანხმება

განჩინება

[1]460-ას-11 28 თებერვალი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ დ. ე-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 14 ივლისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 23 მარტის განაჩენით:

დ. ე-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტებით – 9 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით – 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე დ. ე-ს განესაზღვრა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 3 წელი და საბოლოოდ მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 18 წლის ვადით. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2011 წლის 25 იანვრიდან.

ამავე განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება პროკურორსა და ბრალდებულ ლ. მ-ეს შორის, რომლის თანახმად, ლ. მ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 12 წლის ვადით, საიდანაც 7 წელი უნდა მოიხადოს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ხოლო 5 წელი, სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, 6 წლის გამოსაცდელი ვადით.

განაჩენის მიხედვით, დ. ე-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა გამოძალვა დაზარალებულის მიმართ ძალადობის გამოყენებით ჯგუფურად, ასევე – ყაჩაღობა ჯგუფურად და არაერთგზის, რაც გამოიხატა შემდეგში:

დ. ე-ს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 22 ივლისის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» და მე-3 ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებით, 238[1] მუხლის 1-ელი ნაწილით საბოლოოდ განესაზღვრა ჯარიმა – 3000 ლარი და თავისუფლების აღკვეთა 3 წლისა და 6 თვის ვადით, 6 თვის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო 3 წელი ჩაეთვალა პირობით, 4 წლის გამოსაცდელი ვადით.

2011 წლის 25 იანვარს, დაახლოებით 01 საათზე, დ. ე-ი და ლ. მ-ე მივიდნენ თავიანთ ნაცნობ დ. თ-თან და მოსთხოვეს გლდანის მე-6 მ\რ-ნში გაყვანა, რაზეც დ. თ-ი დასთანხმდა. მძღოლის გვერდით მოთავსდა დ. ე-ი, ხოლო უკანა სავარძელზე – ლ. მ-ე, რომელმაც გზაში ამოიღო თანნაქონი დანა და გამოძალვის მიზნით, ძალადობის გამოყენებით, დ. თ-ს მოსთხოვა, მიეცა მათთვის ფული. შეშინებულმა დ. თ-მა ლ. მ-ეს გადასცა 10 ლარი. ბოროტმოქმედები არ დასჯერდნენ ამ თანხას და კიდევ მოსთხოვეს, რაზეც მძღოლმა მათ განუმარტა, რომ 5 ლარის მეტი არ ჰქონდა. რამდენიმე წუთში დ. ე-ი და ლ. მ-ე მივიდნენ გლდანის მე-6 მიკრორაიონში მდებარე ბაგა-ბაღში, სადაც ცხოვრობდა მათი ნაცნობი თ. ბ-ია, რომლის საცხოვრებელ ოთახში შეიყვანეს დ. თ-ი და დანების მუქარით, სიცოცხლის მოსპობისა და ჯანმრთელობის დაზიანების მუქარით, მოსთხოვეს იმ ფულის გადაცემა, რაც თან ჰქონდა. ვინაიდან აღნიშნულმა პირებმა ვერ მიიღეს მათთვის საკმარისი თანხა, დ. თ-ს გასტაცეს სამსახურის საშვი, ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისი, ავტომანქანის ტექნიკური პასპორტი და გასაღები.

პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 14 ივლისის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული დ. ე-ი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი მის მიმართ მკაცრია და ითხოვს სასჯელის შემსუბუქებას. ამასთან, კასატორი ასევე ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებას და საქმის დაბრუნებას ხელახლა განსახილველად, რათა პროკურატურასთან გაფორმდეს საპროცესო შეთანხმება.

თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული პროკურატურის პროკურორი ს. ჯ-ი შესაგებელში აღნიშნავს, რომ განაჩენი დ. ე-ის მიმართ როგორც ბრალის, ისე სასჯელის ნაწილში კანონიერი და სამართლიანია. დაცვის მხარესა და ბრალდებას შორის მიმდინარეობს მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე; დაცვის მხარემ ბრალდებას მიმართა განცხადებით საპროცესო შათანხმების დადებასთან დაკავშირებით, რაზეც ამ ეტაპზე მიღებულია თანხმობა ზემდგომი პროკურორისაგან.

პროკურატურამ მხედველობაში მიიღო, რომ დ. ე-ი აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს და 2012 წლის 20 თებერვალს გლდანი-ნაძალადევის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ა. ფ-მა, საქართველოს სსსკ-ის 209-ე-211-ე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმეზე, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტებით და 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, შეადგინა წერილობითი შეთანხმება ბრალზე გარიგების თაობაზე მასსა და მსჯავრდებულ დ. ე-ს შორის, რაც კანონით დადგენილი წესით წინასწარ შეთანხმდა ზემდგომ პროკურორთან.

2012 წლის 22 თებერვალს პროკურორმა ა. ფ-მა შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას მასსა და მსჯავრდებულ დ. ე-ს შორის დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, წარმოდგენილი შუამდგომლობა და მიაჩნია, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული განაჩენი შეიცვალოს.

საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორმა ა. ფ-მა მხარი დაუჭირა თავის შუამდგომლობას და ითხოვა, რომ დ. ე-ს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით განესაზღვროს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალოს პირობით, ამავე გამოსაცდელი ვადით. სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე, მსჯავრდებულს დამატებით სასჯელად განესაზღვროს ჯარიმა – 15 ათასი ლარი. სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, მსჯავრდებულს ძირითად სასჯელად განესაზღვროს 13 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც 8 წელი მოიხადოს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ხოლო 5 წელი ჩაეთვალოს პირობით. მასვე დამატებითი სასჯელის სახით დაეკისროს ჯარიმა – 15 ათასი ლარი. სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, გაუქმდეს წინა განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა და განაჩენთა ერთობლიობით დ. ე-ს მიესაჯოს 16 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 15 ათასი ლარი. მსჯავრდებულმა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოიხადოს 8 წელი, ხოლო დარჩენილი 8 წელი ჩაეთვალოს პირობით, 9 წლის გამოსაცდელი ვადით.

სასამართლო სხდომაზე საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას მხარი დაუჭირეს პროცესში მონაწილე მსჯავრდებულმა დ. ე-მა და მისმა ადვოკატმა თ. გ-ემ.

სასამართლომ საქმის მასალების საფუძველზე საპროცესო კანონის მოთხოვნათა დაცვით განიხილა შუამდგომლობის დასაბუთებულობა და მიაჩნია, რომ საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობით: მსჯავრდებულების – დ. ე-ის და ლ. მ-ის აღიარებითი ჩვენებებით, მოწმეებისა და დაზარალებულის ჩვენებებით და საქმის სხვა მასალებით დ. ე-ის მიმართ ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია.

საკასაციო პალატა დარწმუნდა, რომ საპროცესო შეთანხმების დადებისას მსჯავრდებულ დ. ე-ის მიმართ არ განხორციელებულა ძალადობა, დაშინება, მოტყუება, მუქარა; ამასთან, მას არ შეზღუდვია უფლება, მიეღო იურიდიული დახმარება.

პალატის სხდომაზე გამოკვლეულ იქნა, რომ მსჯავრდებული სრულად აცნობიერებს ბრალად შერაცხული დანაშაულის ხასიათს, მისთვის გათვალისწინებულ სასჯელს და საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებულ, კანონით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას. მსჯავრდებული აცნობიერებს, რომ სასამართლო უფლებამოსილია, არ მიიღოს მხედველობაში შეთანხმების საფუძველზე პროკურორის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობა.

დ. ე-ისათვის ასევე ცნობილია საქართველოს სსსკ-ის 212-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მისი კონსტიტუციური უფლებები; მისთვის ასევე ცნობილია, რომ საპროცესო შეთანხმება მას არ ათავისუფლებს სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ პროკურორმა სწორი ფაქტობრივი და სამართლებრივი შეფასებები გაუკეთა ბრალსა და სასჯელზე საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ.

ამდენად, პროკურორ ა. ფ-ის შუამდგომლობა მსჯავრდებულ დ. ე-ის მიმართ საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 307-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «გ» ქვეპუნქტით, 209-ე-216-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

სახელმწიფო ბრალმდებლის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს.

დამტკიცდეს საპროცესო შეთანხმება პროკურორ ა. ფ-სა და მსჯავრდებულ დ. ე-ს შორის.

დ. ე-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და მიესაჯოს:

სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა;

სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალოს პირობით, ხოლო ამავე კოდექსის 42-ე მუხლის საფუძველზე, დამატებით სასჯელად განესაზღვროს ჯარიმა – 15 000 ლარი;

სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, გაუქმდეს წინა განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც მთლიანად დაემატოს ამ განაჩენით დანიშნულ სასჯელს და დ. ე-ს საბოლოოდ მიესაჯოს 16 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც 8 წელი მოიხადოს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ხოლო დარჩენილი 8 წელი ჩაეთვალოს პირობით, 9 წლის გამოსაცდელი ვადით; მასვე დამატებით სასჯელად განესაზღვროს ჯარიმა – 15 000 ლარი.

მსჯავრდებულ დ. ე-ს სასჯელის მოხდა დაეწყოს 2011 წლის 25 იანვრიდან.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა.

საპროცესო შეთანხმება

განჩინება

[1]14-აპ-12 17 თებერვალი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ ნ. კ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 29 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 30 მარტის განაჩენით ნ. კ-ე, საქართველოს მოქალაქე, ნასამართლობის არმქონე, რეგისტრირებული გ-ის რაიონის სოფელ ..., მცხოვრები: ბ-ში, ... [1]42-ში, ამჟამად პატიმარი, – ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტებით – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის გამოყენებით დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 3.500 ლარი;

სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ელი ნაწილით, შეკრების წესით, ნ. კ-ეს სასჯელად განესაზღვრა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 3.500 ლარი.

იგი სასჯელს იხდის 2011 წლის 22 აგვისტოდან.

გაუქმდა ყადაღა ნ. კ-ის სახელზე რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე, საცხოვრებელ ბინაზე, მდებარე: თბილისში, ... გამზირის 1-ელი შესახვევის, კორპუსი [1]...-ის, ბინა [1]...-ზე.

განაჩენით ნ. კ-ეს მსჯავრი დაედო თაღლითობაში, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლებასა და ქონებრივი უფლების მიღებაში მოტყუებით, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით;

ასევე ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება-შეძენაში გასაღების მიზნით და გამოყენებაში, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

მსჯავრდებულის დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

ნ. კ-ემ და გამოძიებით დაუდგენელმა პირმა, ვინმე გ. გ-მა, სხვისი ქონების მოტყუებით დაუფლების მიზნით, 2010 წლის 13 დეკემბერს ნ. გ-ისგან რამდენიმე დღით იქირავეს მისი მეუღლის – ა. გ-ის სახელზე

რეგისტრირებული, თბილისში, ... გამზირის პირველი შესახვევის [1]...-ში მდებარე [1]... საცხოვრებელი ბინა, საერთო ფართით – 227 კვ/მ. ისინი აღნიშნულ ბინაში იმყოფებოდნენ 2010 წლის 16 დეკემბრამდე, რის შემდეგაც ნ. გ-ის გაუფრთხილებლად დატოვეს ბინა და თან წაიღეს მისი გასაღები. ნ. კ-ემ დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მოიპოვა 2009 წლის 9 სექტემბრით დათარიღებული ყალბი ოფიციალური დოკუმენტი – მინდობილობა, რომლითაც თითქოსდა ა. გ-მა ზემოაღნიშნული ბინის განკარგვის უფლებამოსილება მიანიჭა ნ. კ-ეს. 2010 წლის 15 დეკემბერს აღნიშნული მინდობილობის საფუძველზე ნ. კ-ემ და ვინმე გ. გ-მა მითითებული ბინა საკუთრების უფლებით დაარეგისტრირეს ნ. კ-ის სახელზე. ამით ნ. კ-ე და გ. გ-ი თაღლითურად დაეუფლნენ ა. გ-ის კუთვნილ ბინას, რითაც მას მიაყენეს დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი. ამავე დროს მათ მიერ დაუფლებული ბინის გასაღების გამოყენებით ნ. კ-ე თავს ასაღებდა ამ ბინის მესაკუთრედ, ვინმე გ. გ-ის დახმარებით ა. გ-ის კუთვნილ ბინაში იღებდა დაინტერესებულ პირებს და ცდილობდა ბინის იპოთეკით დატვირთვას.

2010 წლის 16 დეკემბერს ნ. კ-ემ და ვინმე გ. გ-მა ნოტარიუს ლ. გ-ის სანოტარო ბიუროში წარადგინეს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო კოდი – ...), რითაც ითხოვეს სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების გაფორმება და მისი სანოტარო წესით დადასტურება, თუმცა მას შემდეგ, რაც ნოტარიუსმა ნახა ეს მინდობილობა, გაჩნდა ეჭვი მისი ნამდვილობის შესახებ, რაც ლ. გ-მა გადაამოწმა უკრაინის რესპუბლიკაში, რის შედეგადაც დადასტურდა, რომ წარდგენილი მინდობილობა არ იყო გაცემული ქ. ზ-ში ნოტარიუს ტ. ფ-ას მიერ, რის გამოც ნ. კ-ესა და ვინმე გ-ის უარი ეთქვათ სანოტარო მოქმედების შესრულებაზე. ამავე დროს მინდობილობის სიყალბის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა ნოტარიუსთა პალატის საიტზე და აღნიშნული ფაქტი შეატყობინეს ბინის კანონიერ მესაკუთრე ა. გ-ს, რომელმაც დაადასტურა, რომ 2009 წლის 9 ოქტომბერს იგი იმყოფებოდა საქართველოში და არავითარი მინდობილობა არ გაუცია მისთვის უცნობ ნ. კ-ის სახელზე. აღნიშნულის შესახებ ა. გ-მა შეატყობინა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

2010 წლის 17 დეკემბერს ნ. კ-ემ და მისმა თანამზრახველმა კვლავ სცადეს სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების გაფორმება და მისი სანოტარო წესით დადასტურება, თუმცა განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანეს, ვინაიდან ცნობილი გახდა მათ მიერ ა. გ-ის ბინის თაღლითურად დაუფლების ფაქტი, ხოლო ნ. კ-ემ და მისმა თანამზრახველმა შეძლეს მიმალვა.

ნ. კ-ე დააკავეს 2011 წლის 22 აგვისტოს.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ნ. კ-ემ და ითხოვა სასჯელის შემსუბუქება.

სააპელაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულმა და მისმა ინტერესების დამცველმა ადვოკატმა დაასაბუთეს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა და ითხოვეს სასჯელის შემსუბუქება და დანიშნული სასჯელის ნაწილის პირობითად ჩათვლა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 29 ნოემბრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 30 მარტის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ნ. კ-ემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორმა საჩივრით ითხოვა განაჩენში ცვლილების შეტანა როგორც კვალიფიკაციის, ისე სასჯელის ნაწილში, კერძოდ: საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში – გამართლება, ხოლო 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით – სასჯელის მინიმუმის განსაზღვრა.

პროკურორმა ზ. ქ-მა შესაგებლით ითხოვა მსჯავრდებულ ნ. კ-ის საკასაციო საჩივრის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 29 ნოემბრის განაჩენის უცვლელად დატოვება.

2012 წლის 15 თებერვალს საქართველოს მთავარი პროკურატურის გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს უფროსმა პროკურორმა ზ. ქ-მა, საქართველოს სსკ-ის 209-ე-211-ე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმეზე, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», იმავე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» და 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტებით, შეადგინა წერილობითი შეთანხმება ბრალზე გარიგების თაობაზე მასსა და მსჯავრდებულ ნ. კ-ეს შორის.

პროკურატურამ მხედველობაში მიიღო რა ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ბრალეულობის ხარისხი, ასევე ის გარემოება, რომ მსჯავრდებული ნ. კ-ე სრულად ცნობს თავს დამნაშავედ, აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, თანამშრომლობს გამოძიებასთან, საჯარო ინტერესების დაცვით, სახელმწიფო რესურსების მაქსიმალური ეფექტურობით გამოყენების მიზნით, 2012 წლის 15 თებერვალს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 209-ე-211-ე მუხლების მოთხოვნათა სრული დაცვით, მსჯავრდებულსა და საქართველოს მთავარი პროკურატურის გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს უფროს პროკურორ ზ. ქ-ს შორის წერილობით გააფორმა ოქმი საპროცესო შეთანხმების თაობაზე. საპროცესო შეთანხმება კანონით დადგენილი წესით წინასწარ შეთანხმდა ზემდგომ პროკურორთან.

2012 წლის 17 თებერვალს სასამართლო სხდომაზე პროკურორმა ზ. ქ-მა შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას მასსა და მსჯავრდებულ ნ. კ-ეს შორის 2012 წლის 15 თებერვალს დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, წარმოდგენილი შუამდგომლობა და მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 29 ნოემბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება, სახელმწიფო ბრალმდებლის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს და დამტკიცდეს საპროცესო შეთანხმება პროკურორ ზ. ქ-სა და მსჯავრდებულ ნ. კ-ეს შორის.

საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორმა ზ. ქ-მა მხარი დაუჭირა თავის შუამდგომლობას და ითხოვა, რომ მსჯავრდებული ნ. კ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს: საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტებით, სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით – 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ელი ნაწილით, შეკრების წესით, ნ. კ-ეს საბოლოო სასჯელად უნდა განესაზღვროს 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის V ნაწილის გამოყენებით 6 თვით თავისუფლების აღკვეთა უნდა განესაზღვროს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 4 წელი სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე უნდა შეეცვალოს პირობითი მსჯავრით, 5 წლის გამოსაცდელი ვადით.

სასამართლო სხდომაზე საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას მხარი დაუჭირეს პროცესში მონაწილე მსჯავრდებულმა ნ. კ-ემ და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ჯ. ქ-ამ.

სასამართლომ საქმის მასალების საფუძველზე საპროცესო კანონის მოთხოვნათა დაცვით განიხილა შუამდგომლობის დასაბუთებულობა და მიაჩნია, რომ საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობით, მოწმეების: ლ. გ-ის, ლ. რ-ის, ლ. გ-ის, ა. გ-ის, ნ. გ-ის, ს. გ-ის, ლ. ღ-ის, ნ. პ-ის, ვ. პ-ის, მ. ღ-ის, შ. მ-ის, დ. დ-ის ჩვენებებით, ყალბი სანოტარო აქტით – მინდობილობით, საჯარო რეესტრიდან ამონაწერით, თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის სახელზე ნ. კ-ის განცხადებით, [1]... სარეგისტრაციო წარმოებითა და საქმის სხვა მასალებით ნ. კ-ის მიმართ ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენა დადასტურებულია.

საკასაციო პალატა დარწმუნდა, რომ საპროცესო შეთანხმების დადებისას მსჯავრდებულ ნ. კ-ის მიმართ არ განხორციელებულა ძალადობა, დაშინება, მოტყუება, მუქარა; ამასთან, მას არ შეზღუდვია უფლება, მიეღო იურიდიული დახმარება.

პალატის სხდომაზე გამოკვლეულ იქნა, რომ მსჯავრდებული სრულად აცნობიერებს ბრალად შერაცხული დანაშაულის ხასიათს, მისთვის გათვალისწინებულ სასჯელს და საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებულ, კანონით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას. მსჯავრდებული ნ. კ-ე აცნობიერებს, რომ სასამართლო უფლებამოსილია, არ მიიღოს მხედველობაში შეთანხმების საფუძველზე პროკურორის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობა.

მსჯავრდებულისათვის ასევე ცნობილია საქართველოს სსსკ-ის 212-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მისი კონსტიტუციური უფლებები; მისთვის ასევე ცნობილია, რომ საპროცესო შეთანხმება მას არ ათავისუფლებს სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ პროკურორმა სწორი ფაქტობრივი და სამართლებრივი შეფასებები გააკეთა ბრალსა და სასჯელზე საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ. სასამართლო ასევე იზიარებს პროკურორის არგუმენტებს იმის თაობაზე, რომ მსჯავრდებულს გააჩნია პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები, კერძოდ, აღიარებს და გულწრფელად ინანიებს ჩადენილ დანაშაულს.

ამდენად, საქართველოს მთავარი პროკურატურის გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს უფროს პროკურორ ზ. ქ-ის შუამდგომლობა მსჯავრდებულ ნ. კ-ის მიმართ საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის I ნაწილის «გ» ქვეპუნქტით, 209-ე-216-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

დაკმაყოფილდეს სახელმწიფო ბრალმდებლის შუამდგომლობა.

დამტკიცდეს საპროცესო შეთანხმება პროკურორ ზ. ქ-სა და მსჯავრდებულ ნ. კ-ეს შორის.

ნ. კ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს: საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტებით, სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით – 3 წლითა და 6 თვით

თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ელი ნაწილით, შეკრების წესით, ნ. კ-ეს საბოლოო სასჯელად განესაზღვროს 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის V ნაწილის გამოყენებით 6 თვით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვროს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 4 წელი სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე შეეცვალოს პირობითი მსჯავრით, 5 წლის გამოსაცდელი ვადით.

ნ. კ-ეს სასჯელის ვადის ათვლა დაეწყოს 2011 წლის 22 აგვისტოდან.

გაუქმდეს ყადაღა ნ. კ-ის სახელზე რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე, საცხოვრებელ ბინაზე, მდებარე: თბილისში, ... გამზირის 1-ელი შესახვევის, კორპუსი [1]...-ის, ბინა [1]...-ზე.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა.

საპროცესო შეთანხმება

განჩინება

[1]74-აპ-12 19 მარტი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
პ. სილაგაძე.

განიხილა მსჯავრდებულების – ე. ხ-სა და დ. გ-ს საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 10 იანვრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 6 ოქტომბრის განაჩენით ე. ხ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით და მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. იგი სასჯელს იხდის 2011 წლის 31 მაისიდან.

დ. გ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით და მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. იგი სასჯელს იხდის 2011 წლის 31 მაისიდან.

იმავე განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება პროკურორსა და ბრალდებულებს – თ. ჯ-სა და ნ. ს-ს შორის.

თ. ჯ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 342-ე მუხლის 1-ელი ნაწილით და მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, 2 წლის გამოსაცდელი ვადით. თ. ჯ-ს დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 10 000 ლარის ოდენობით.

ნ. ს-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის 1-ელი ნაწილით და მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, 2 წლის გამოსაცდელი ვადით. ნ. ს-ს დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 10 000 ლარის ოდენობით

განაჩენით ე. ხ-სა და დ. გ-ს მსჯავრი დაედოთ თაღლითობაში, ე.ი. წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დიდი ოდენობით სხვისი ნივთის მოტყუებით დაუფლებაში;

ე. ხ-ს, დ. გ-ს, თ. ჯ-სა და ნ. ს-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

თ. ჯ-ა 2005 წლის 20 სექტემბრიდან 2011 წლის 1 აპრილამდე მუშაობდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სისტემაში სხვადასხვა თანამდებობაზე. 2006 წლის 9 ოქტომბრიდან 2010 წლის 13 სექტემბრამდე თ. ჯ-ა იყო რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურის ასისტენტი და, შესაბამისად, ითვლებოდა მოხელესთან გათანაბრებულ პირად.

ნ. ს-ა 2005 წლის 15 აგვისტოდან 2011 წლის 14 თებერვლამდე მუშაობდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე და, შესაბამისად, ითვლებოდა მოხელესთან გათანაბრებულ პირად.

2008 წლის 1 აპრილს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურში ქ. რუსთავში, ლესელიძის ქუჩაზე არსებული უძრავი ქონება დარეგისტრირდა ე. და გ. ხ-ების საკუთრების უფლებით.

2008 წლის 22 მაისს დ. გ-მა და ე. ხ-მ სესხის მიღების მიზნით ამ უკანასკნელის საკუთრებაში არსებული, ზემოხსენებული საცხოვრებელი ბინა დატვირთეს იპოთეკით ლ. ბ-საგან 16800 აშშ დოლარის ოდენობით და მ. გ-საგან – 1100 აშშ დოლარის ოდენობით მიღებული იპოთეკური სესხის უზრუნველსაყოფად, რაც რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურში რეგისტრირებულ იქნა 2008 წლის 27 მაისს.

დ. გ-მა და ე. ხ-მ სრულად დაფარეს მ. გ-საგან აღებული სესხი, რასთან დაკავშირებითაც 2008 წლის 16 ოქტომბერს ნოტარიუს ლ. რ-ს სანოტარო ბიუროში შედგა და გაიცა სანოტარო აქტი, მ. გ-ს მიერ იპოთეკაზე უარის თქმის შესახებ. ამ სანოტარო აქტის მიხედვით, ე. ხ-ს კუთვნილ ზემოხსენებულ ბინაზე უნდა შეწყვეტილიყო მხოლოდ მ. გ-ს იპოთეკა, ხოლო ლ. ბ-ს იპოთეკა უცვლელად უნდა დარჩენილიყო. 2008 წლის 21 ოქტომბერს იპოთეკაზე უარის თქმის შესახებ სანოტარო აქტი ე. ხ-მ წარადგინა რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურში და მოითხოვა მ. გ-ს იპოთეკის შეწყვეტის რეგისტრაცია.

ე. ხ-ს მიერ წარდგენილი დოკუმენტების საფუძველზე რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურის ასისტენტი თ. ჯ-ა ვალდებული იყო, იპოთეკის შეწყვეტის რეგისტრაცია მოეხდინა ზემოხსენებული სანოტარო აქტის მიხედვით. აღნიშნულის მიუხედავად, თ. ჯ-მ კანონით დაკისრებული მოვალეობა შეასრულა არაჯეროვნად, მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების შედეგად მან სრულყოფილად არ გადაამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და 2008 წლის 21 ოქტომბერს გასცა ამონაწერი, რომელშიც მიუთითა, რომ აღნიშნული ბინა იპოთეკით საერთოდ არ იყო დატვირთული.

2009 წლის აგვისტოში ნ. ს-სთვის ეს ფაქტი ცნობილი გახდა ლ. ბ-საგან, რის შემდეგაც ნ. ს-მ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით, თ. ჯ-სთვის და თავისთვის უპირატესობის მისაღებად, რათა თავიდან აეცილებინათ ამ უკანასკნელის მიერ დაშვებული შეცდომის გამო მოსალოდნელი დისციპლინური თუ სხვა სახის პასუხისმგებლობა, ამ ფაქტის შესახებ არ შეატყობინა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, ასევე სხვა სათანადო ორგანოებს და მხარეთა მორიგების გზით სცადა პრობლემის მოგვარება.

მითითებული შეცდომით ისარგებლეს დ. გ-მა და ე. ხ-მ, მათ ჯერ იპოთეკით დატვირთეს ხსენებული ბინა მ. ა-სა და მ. დ-საგან მიღებული იპოთეკური სესხის უზრუნველსაყოფად, ხოლო შემდეგ მისი რეალიზაცია მოახდინეს კ. ზ-ზე ისე, რომ 16800 აშშ დოლარიანი იპოთეკის შეცდომით მოხსნის შესახებ არ შეუტყობინებიათ არც საჯარო რეესტრისათვის და არც იპოთეკარ ლ. ბ-სათვის. შემდგომში აღნიშნული ბინა გასხვისებულ იქნა ნ. წ-სა და ნ. ჩ-ზე, ბოლოს კი – გ. ო-ზე, რის გამოც ლ. ბ-ს მოესპო მის მიერ გაცემული სესხის დაბრუნების უზრუნველყოფის საშუალება, რითაც მას მიადგა დიდი ოდენობით ზიანი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 10 იანვრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 6 ოქტომბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულებმა – ე. ხ-მ და დ. გ-მა საკასაციო საჩივრებით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორებმა საჩივრებით ითხოვეს განაჩენში ცვლილების შეტანა, კერძოდ, სასჯელის შემცირება მინიმუმამდე.

პროკურორმა ზ. ქ-მა შესაგებლით ითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 10 იანვრის განაჩენის უცვლელად დატოვება.

2012 წლის 7 მარტს საპროკურორო საქმიანობის კონტროლისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს უფროსმა პროკურორმა ზ. ქ-მა, საქართველოს სსკ-ის 209-ე-211-ე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმეზე, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» და მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტებით, შეადგინა წერილობითი შეთანხმება ბრალზე გარიგების თაობაზე მასსა და მსჯავრდებულებს – ე. ხ-სა და დ. გ-ს შორის.

პროკურატურამ მხედველობაში მიიღო რა ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ბრალეულობის ხარისხი, ასევე ის გარემოება, რომ მსჯავრდებულები – ე. ხ-ე და დ. გ-ი სრულად ცნობენ თავს დამნაშავედ, აღიარებენ და ინანიებენ ჩადენილ დანაშაულს, თანამშრომლობენ გამოძიებასთან, საჯარო ინტერესების დაცვით, სახელმწიფო რესურსების მაქსიმალური ეფექტურობით გამოყენების მიზნით, 2012 წლის 7 მარტს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 209-ე-211-ე მუხლების მოთხოვნათა სრული დაცვით, მსჯავრდებულებსა და საპროკურორო საქმიანობის კონტროლისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს უფროს პროკურორ ზ. ქ-ს შორის წერილობით გაფორმდა ოქმი საპროცესო შეთანხმების თაობაზე. საპროცესო შეთანხმება კანონით დადგენილი წესით წინასწარ შეთანხმდა ზემდგომ პროკურორთან.

2012 წლის 19 მარტს სასამართლო სხდომაზე პროკურორმა ზ. ქ-მა შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას მასსა და მსჯავრდებულებს – ე. ხ-სა და დ. გ-ს შორის 2012 წლის 7 მარტს დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, წარმოდგენილი შუამდგომლობა და მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 10 იანვრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება, სახელმწიფო ბრალმდებლის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს და დამტკიცდეს საპროცესო შეთანხმება პროკურორ ზ. ქ-სა და მსჯავრდებულებს – ე. ხ-სა და დ. გ-ს შორის.

საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორმა ზ. ქ-მა მხარი დაუჭირა თავის შუამდგომლობას და ითხოვა, რომ მსჯავრდებული ე. ხ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს: საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» და მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტებით, სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით – 5 წლით თავისუფ-

ლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით 1 წელი უნდა განესაზღვროს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 4 წელი სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალოს პირობით, 5 წლის გამოსაცდელი ვადით. სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე მას დამატებითი სასჯელის სახით უნდა დაეკისროს ჯარიმა – 5000 ლარის ოდენობით.

დ. გ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს: საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» და მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტებით, სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით 1 წელი უნდა განესაზღვროს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 4 წელი სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალოს პირობით, 5 წლის გამოსაცდელი ვადით. სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე მას დამატებითი სასჯელის სახით უნდა დაეკისროს ჯარიმა – 5000 ლარის ოდენობით.

სასამართლო სხდომაზე საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას მხარი დაუჭირეს პროცესში მონაწილე მსჯავრდებულმა ე. ხ-მ და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა რ. კ-მ, ასევე, მსჯავრდებულმა დ. გ-მა და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატებმა ე. ბ-მ და მ. ბ-მ.

საკასაციო პალატა დარწმუნდა, რომ საპროცესო შეთანხმების დადებისას მსჯავრდებულების – ე. ხ-სა და დ. გ-ს მიმართ არ განხორციელებულა ძალადობა, დაშინება, მოტყუება და მუქარა; ამასთან, მათ არ შეზღუდვიათ უფლება, მიეღოთ იურიდიული დახმარება.

პალატის სხდომაზე გამოკვლეულ იქნა, რომ მსჯავრდებულები სრულად აცნობიერებენ ბრალად შერაცხული დანაშაულის ხასიათს, მისთვის გათვალისწინებულ სასჯელს და საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებულ, კანონით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას. მსჯავრდებულები – ე. ხ-ე და დ. გ-ი აცნობიერებენ, რომ სასამართლო უფლებამოსილია, არ მიიღოს მხედველობაში შეთანხმების საფუძველზე პროკურორის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობა.

მსჯავრდებულებისათვის ასევე ცნობილია საქართველოს სსსკ-ის 212-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მათი კონსტიტუციური უფლებები; მათთვის ასევე ცნობილია, რომ საპროცესო შეთანხმება მათ არ ათავისუფლებთ სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ პროკურორმა სწორი ფაქტობრივი და სამართლებრივი შეფასებები მისცა ბრალსა და სასჯელზე საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას. სასამართლო ასევე იზიარებს პროკურორის არგუმენტებს იმის თაობაზე, რომ მსჯავრდებულებს გააჩნიათ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები, კერძოდ, აღიარებენ და გულწრფელად ინანიებენ ჩადენილ დანაშაულს.

ამდენად, საპროკურორო საქმიანობის კონტროლისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში გამომძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს უფროს პროკურორ ზ. ქ-ს შუამდგომლობა მსჯავრდებულების – ე. ხ-სა და დ. გ-ს მიმართ საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «გ» ქვეპუნქტით, 209-ე-216-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

დაკმაყოფილდეს სახელმწიფო ბრალმდებლის შუამდგომლობა.

დამტკიცდეს საპროცესო შეთანხმება პროკურორ ზ. ქ-სა და მსჯავრდებულებს – ე. ხ-სა და დ. გ-ს შორის.

ე. ხ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს: საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» და მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტებით, საქართველოს სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით 1 წელი განესაზღვროს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 4 წელი საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალოს პირობით, 5 წლის გამოსაცდელი ვადით. საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე მას დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვროს ჯარიმა – 5000 ლარის ოდენობით.

ე. ხ-ს სასჯელის ვადის ათვლა დაეწყოს 2011 წლის 31 მაისიდან.

დ. გ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს: საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» და მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტებით, საქართველოს სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით 1 წელი განესაზღვროს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 4 წელი საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალოს პირობით, 5 წლის გამოსაცდელი ვადით. საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე მას დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვროს ჯარიმა – 5000 ლარის ოდენობით.

დ. გ-ს სასჯელის ვადის ათვლა დაეწყოს 2011 წლის 31 მაისიდან.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა.

საპროცესო შეთანხმება

განჩინება

[1]107-აპ-12 8 მაისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
დ. სულაქველიძე,
გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ უ. ტ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 24 იანვრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 10 ოქტომბრის განაჩენით:

უ. ტ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის მე-19, 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2011 წლის 4 აპრილიდან.

მასვე საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 3500 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

თ. მ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის მე-19,180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით და მიესაჯა 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2011 წლის 4 აპრილიდან.

მასვე საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 3000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

სისხლის სამართლის საქმეზე დართული მტკიცებულებები – ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების დროს მოპოვებული სატელეფონო საუბრის ჩანაწერი ჩD-ზე, რომელიც ინახება შსს სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტში; ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების დროს მოპოვებული DVD-ღ (29.03.2011წ) [1]MთP3U6NB1919163836 1 პაკეტად დალუქული [1]13 ბეჭდით, რომელიც ინახება საქართველოს შსს სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტში; ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების დროს მოპოვებული DVD-ღ (30.03.2011 წ) [1]MთP3U6NB1919125925 1 პაკეტად დალუქული [1]13 ბეჭდით, რომელიც ინახება საქართველოს შსს სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტში; ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების დროს მოპოვებული DVD-ღ (04.04.2011 წ) [1]MთP3U6NB1919502835 1 პაკეტად დალუქული [1]13 ბეჭდით, რომელიც ინახება საქართველოს შსს სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტში; საგამოძიებო მოქმედების შედეგად შპს „მობიტელიდან“ ამოღებული დეტალური ანგარიში, ჩაწერილი ჩD-ზე, შენახულ უნდა იქნეს სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით.

სისხლის სამართლის საქმეზე უ. ტ-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული ნივთმტკიცებები: საქართველოს შსს თანამშრომლის დამადასტურებელი მოწმობა [1]...; ყავისფერი საფულე, მასში მოთავსებული მოქალაქის პირადობის მოწმობით [1]...; ... დამადასტურებელი მოწმობა [1]... გაცემული უ. ტ-ს სახელზე; საბანკო ბარათი [1]...; იასამნისფერი ბარათი წარწერით: „GღAND შAKAღთVELO“ [1]...; შავი ბარათი წარწერით: „ADჟAღA“ [1]...; შავი ბარათი წარწერით: „NOღMAL ჩAშINO ADჟAღA“; „PშP-ს“ აფთიაქის ბარათი [1]...; «ავერსის» აფთიაქის ბარათი [1]...; ჯანმრთელობის დაზღვევის ბარათი გაცემული უ. ტ-ზე [1]...; საბანკო ბარათის „PIN ჩODE“ ერთ ფურცლად; ფურცელი წარწერით: „საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია“; ფურცელი წარწერით; ქვითარი [1]...; ფულადი თანხა – 705 ლარი და 55 თეთრი, შვიდი 100-ლარიანი კუპიურა, ერთი 5-ლარიანი კუპიურა, ერთი 50-თეთრიანი და ერთი 5-თეთრიანი; ცნობა ნარკოლოგიურ აღრიცხვაზე [1]...; შავი პლასტიკური ბარათი [1]...; საქართველოს მართვის მოწმობა, გაცემული უ. ტ-ზე [1]...; მობილური ტელეფონი იმეი კოდით ..., მასში მოთავსებული სიმბარათით წარწერით: „Bეელანე“, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელს.

სისხლის სამართლის საქმეზე თ. მ-ს ავტომანქანის ჩხრეკისას ამოღებული ნივთიერი მტკიცებულებები: 1) “ნოკიას» ფირმის მობილური ტელეფონი; 2) სიმბარათი ...; 3) დაცვის სამსახურის – შპს „დუტის“ დოკუმენტაცია 9 ფურცლად; 4) რეგისტრირებულ თანამშრომელთა ნუსხა “4 ფლეში მეხსიერება»; 7) მცხეთა-მთიანეთის სასამართლოს მოწმობა [1]...; 8) მანქანის სარეგისტრაციო მოწმობა; 9) ორი საბანკო ბარათი; 10) საბანკო ბარათი; 11) ნარინჯისფერი აფთიაქის ბარათი; 12) მთაწმინდის პარკის ბარათი; 13) სავიზიტო ბარათი; 14) მძღოლის მოწმობა [1]0136008; 15) საქართველოს მოქალაქის რეგისტრაციის მოწმობა [1]...; 16) 55 ლარი; 17) 1 აშშ დოლარი; 18) შპს «ლუკოილ ჯორჯიას» სამი 10 ლიტრიანი ბენზინის ტალონი [1]..., [1]..., [1]...; 19) ყავისფერი

საფულე; 20) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს განკარგულება ერთ ფურცლად [1]...; 21) ორი ფოტოსურათი; 22) შპს «ჯეოსელის» „ლაილაის“ ხელშეკრულება; 23) სადაზღვევო კომპანია „ვესტის“ ფურცელი; 24) სალომბარდო ხელშეკრულება ერთ ფურცლად; 25) ქვითრები ოთხ ფურცლად; 26) „ვითიბი“ ბანკის სალაროს გასავლის ორდერი ერთ ფურცლად; 27) საგადასახადო დავალება სამ ფურცლად; 28) „ვითიბი“ ბანკის ანგარიშის ბანკის კოდი ... ერთ ფურცლად; 29) ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა ...; 30) საქართველოს მოქალაქის პასპორტი [1]...0; 31) ადვოკატის ორდერი სამ ეგზემპლარად; 32) საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი მოწმობა; 33) კომპანია «...» მოქმედებისა და განვითარების სტრატეგიული გეგმა ერთ ფურცლად; 34) კონსულტაციის გამოკვლევის ბარათი ორ ფურცლად; 35) ავტოიმპორტის ფურცელი წარწერით: „MY ჩAღ GE“; 36) თ. მ-ს განცხადება მცხეთის რაიონულ პროკურორს ერთ ფურცლად; 37) შემოსავლის ორდერი [1]... ერთ ფურცლად; 38) პლასტიკური ბარათების პინკოდის შესანახი ორი პაკეტი; 39) ჯვარი და ჯაჭვი, დალუქული პოლიეთილენის პარკში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელს.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ უ. ტ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 7 მარტის განაჩენით თაღლითობისათვის ნასამართლევმა უ. ტ-მ 2011 წლის მარტის დასაწყისში გაიცნო თ. ყ-ი. ამავე პერიოდში უ. ტ-ე დაუკავშირდა თავის მეგობარს, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრს, ადვოკატ თ. მ-ს. მათთვის ცნობილი იყო, რომ თ. ყ-ს იჯარით აღებული ჰქონდა ქ. თბილისში, ... სახელობის სანაპიროს [1]...-ში მდებარე, შპს „...“ სახელით მოქმედი საუნის ტიპის აბანო და მის მეპატრონეებს არ სურდათ იმ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებთან პრობლემების შექმნა, რომლებიც პერიოდულად ამოწმებდნენ საუნების საქმიანობას.

უ. ტ-მ თ. მ-სთან წინასწარი შეთანხებით ისარგებლა აღნიშნული გარემოებით, 2011 წლის 3 მარტს შეხვდა თ. ყ-ს და განუმარტა, რომ თითქოსდა მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში და ჰყავდა გავლენიანი მეგობრები, რომელთაც შეეძლოთ ზეგავლენა მოეხდინათ ამავე სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებზე. ამავე დროს შესთავაზა, რომ მისი გავლენიანი მეგობრები დაეხმარებოდნენ ყველა პრობლემის მოგვარებაში, ამ დაწესებულებაზე მფარველობის გზით, რაშიც თ. ყ-ს მათთვის ყოველთვიურად უნდა გადაეხადა 800 ლარი. შეთავაზებაზე თ. ყ-მა უარი განუცხადა იმ მოტივით, რომ თავისი საქმიანობით იგი კანონს არ არღვევდა. უარის მიღების შემდეგ, 2011 წლის 16 მარტს, უ. ტ-მ კუთვნილი მობილური ტელეფონის ნომრიდან ... დაფარული სერვისის გამოყენებით დაურეკა თ. ყ-ს მობილურ ტელეფონზე (...), რომ თითქოსდა იყო სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომელი და დაუთქვა შეხვედრა ე.წ. „მოდულის“ შენობაში.

უ. ტ-ე დარწმუნდა, რომ თ. ყ-ი ამ ზარის შემდეგ დასთანხმდებოდა მის მიერ შეთავაზებულ პირობას და წინასწარ შემუშავებული გეგმის თანახმად, მეტი დამაჯერებლობის მიზნით, 2011 წლის 30 მარტს თ. ყ-ს გააცნო მეგობარი თ. მ-ე. ხსენებული პირები შეეცადნენ დაერწმუნებინათ თ. ყ-ი, რომ სწორედ თ. მ-ე იყო ის გავლენიანი პირი, რომელიც თანხის გადახდის სანაცვლოდ მის ბიზნესს მფარველობას გაუწევდა სამართალდამცავ ორგანოებთან. აქვე განუმარტა, რომ თ. მ-სთან თ. ყ-ს ფორმალურად უნდა გაეფორმებინა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება, რათა მათი ურთიერთობა ვინმეს საეჭვოდ არ მიეჩნია.

2011 წლის 4 აპრილს უ. ტ-ე და თ. მ-ე შეხვდნენ თ. ყ-ს და ჩააწერინეს ის საბანკო რეკვიზიტები, რომელზეც მას ყოველთვიურად უნდა შეეტანა მათ მიერ მოთხოვნილი თანხა – 800 ლარის ოდენობით. უ. ტ-სა და თ. მ-ს ქმედებით დაზარალებულ თ. ყ-ს მიადგა მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 24 იანვრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული უ. ტ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას იმ მოტივით, რომ განაჩენი არის უსაფუძვლო; საქმის წინასწარი გამოძიება ჩატარდა არასრულფასოვნად, საფუძვლიანად არ გამოკვლეულა ფაქტობრივი გარემოებები, პირიქით, საქმე გამოძიებულ იქნა არაპროფესიონალურად და აშკარა მიკერძოებით; ბრალდება არის დაუსაბუთებელი, არ შეესაბამება სიმართლეს და გაურკვეველია, თუ რაში გამოიხატა მის მიმართ ინკრიმინირებული დანაშაული.

2012 წლის 4 მაისს საქართველოს მთავარი პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს პროკურორმა ქ. კ-მ, საქართველოს სსსკ-ის 209-211-ე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმეზე, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 19-ე, 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, შეადგინა წერილობითი შეთანხმება ბრალზე გარიგების თაობაზე მასსა და მსჯავრდებულ უ. ტ-ს შორის.

პროკურატურამ მხედველობაში მიიღო რა ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ბრალეულობის ხარისხი, ასევე ის გარემოება, რომ მსჯავრდებული უ. ტ-ე აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, სახელმწიფო რესურსების მაქსიმალური ეფექტურობით გამოყენების მიზნით, 2012 წლის 4 მაისს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 209-ე-211-ე მუხლების მოთხოვნათა სრული დაცვით, მსჯავრდებულსა და საქართველოს მთავარი პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმარ-

თველოს პროკურორ ქ. კ-ს შორის წერილობით გააფორმა ოქმი საპროცესო შეთანხმების თაობაზე. საპროცესო შეთანხმება კანონით დადგენილი წესით წინასწარ შეთანხმდა ზემდგომ პროკურორთან.

2012 წლის 8 მაისს სასამართლო სხდომაზე პროკურორმა ქ. კ-მ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას მასსა და მსჯავრდებულ უ. ტ-ს შორის 2012 წლის 4 მაისს დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, წარმოდგენილი შუამდგომლობა და მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 24 იანვრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება, სახელმწიფო ბრალმდებლის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს და დამტკიცდეს საპროცესო შეთანხმება პროკურორ ქ. კ-სა და მსჯავრდებულ უ. ტ-ს შორის.

საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორმა ქ. კ-მ მხარი დაუჭირა თავის შუამდგომლობას და ითხოვა, რომ მსჯავრდებული უ. ტ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის მე-19, 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით 3 წელი განესაზღვროს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო სასჯელის დარჩენილი ნაწილი – 4 წელი – სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალოს პირობით, 5 წლის გამოსაცდელი ვადით. მასვე საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე დამატებით სასჯელად განესაზღვროს ჯარიმა – 20000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

სასამართლო სხდომაზე საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას მხარი დაუჭირეს პროცესში მონაწილე მსჯავრდებულმა უ. ტ-მ და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა გ. ყ-მ.

სასამართლომ საქმის მასალების საფუძველზე საპროცესო კანონის მოთხოვნათა დაცვით განიხილა შუამდგომლობის დასაბუთებულობა და მიაჩნია, რომ საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობით: მსჯავრდებულ უ. ტ-ს აღიარებითი ჩვენებით, დაზარალებულ თ. ყ-ს ჩვენებით, მოწმეების – ე. გ-სა და ა. ნ-ს ჩვენებებით, შპს «ჯეოსელიდან» ამოღებული დეტალური ანგარიშითა და დათვალიერების ოქმით, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ამსახველი სატელეფონო საუბრების კრებსითი ამონაბეჭდით, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ამსახველი აუდიო-ვიდეოჩანაწერის კრებსითი ამონაბეჭდითა და საქმის სხვა მასალებით უ. ტ-ს მიმართ ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია.

საკასაციო პალატა დარწმუნდა, რომ საპროცესო შეთანხმების დადებისას მსჯავრდებულ უ. ტ-ს მიმართ არ განხორციელებულა ძალადობა, დაშინება, მოტყუება, მუქარა; ამასთან, მას არ შეზღუდვია უფლება, მიეღო იურიდიული დახმარება.

პალატის სხდომაზე გამოკვლეულ იქნა, რომ მსჯავრდებული სრულად აცნობიერებს ბრალად შერაცხული დანაშაულის ხასიათს, მისთვის გათვალისწინებულ სასჯელს და საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებულ, კანონით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას. მსჯავრდებული უ. ტ-ე აცნობიერებს, რომ სასამართლო უფლებამოსილია, არ მიიღოს მხედველობაში შეთანხმების საფუძველზე პროკურორის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობა.

მსჯავრდებულისათვის ასევე ცნობილია საქართველოს სსსკ-ის 212-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მისი კონსტიტუციური უფლებები; მისთვის ასევე ცნობილია, რომ საპროცესო შეთანხმება მას არ ათავისუფლებს სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ პროკურორმა სწორი ფაქტობრივი და სამართლებრივი შეფასებები გააკეთა ბრალსა და სასჯელზე საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ. სასამართლო ასევე იზიარებს პროკურორის არგუმენტებს იმის თაობაზე, რომ მსჯავრდებულს გააჩნია პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები, კერძოდ, აღიარებს და გულწრფელად ინანიებს ჩადენილ დანაშაულს.

ამდენად, საქართველოს მთავარი პროკურატურის გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის პროკურორ ქ. კ-ს შუამდგომლობა მსჯავრდებულ უ. ტ-ს მიმართ საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «გ» ქვეპუნქტით, 209-ე-216-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

სახელმწიფო ბრალმდებლის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს.

დამტკიცდეს საპროცესო შეთანხმება პროკურორ ქ. კ-სა და მსჯავრდებულ უ. ტ-ს შორის.

უ. ტ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 19-ე, 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და მიესაჯოს 7 წლით თავისუფლების აღკვე-

თა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით 3 წელი განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთის სახით, ხოლო 4 წელი ჩაეთვალოს პირობით და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდეს 5 წელი; მასვე სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით დაეკისროს ჯარიმა – 20000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. უ. ტ-ს სასჯელის მოხდა დაეწყოს 2011 წლის 4 აპრილიდან.

სისხლის სამართლის საქმეზე დართული მტკიცებულებები – ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების დროს მოპოვებული სატელეფონო საუბრის ჩანაწერი ჩD-ზე, რომელიც ინახება შსს სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტში; ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების დროს მოპოვებული DVD-ღ (29.03.2011წ) [1]... 1 პაკეტად დალუქული [1]13 ბეჭდით, რომელიც ინახება საქართველოს შსს სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტში; ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების დროს მოპოვებული DVD-ღ (30.03.2011 წ) [1]... 1 პაკეტად დალუქული [1]13 ბეჭდით, რომელიც ინახება საქართველოს შსს სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტში; ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების დროს მოპოვებული DVD-ღ (04.04.2011 წ) [1]... 1 პაკეტად დალუქული [1]13 ბეჭდით, რომელიც ინახება საქართველოს შსს სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტში; საგამოძიებო მოქმედების შედეგად შსს „მობიტელიდან“ ამოღებული დეტალური ანგარიში, ჩაწერილი ჩD-ზე, შენახულ იქნეს სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით.

სისხლის სამართლის საქმეზე უ. ტ-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული ნივთმტკიცებები: საქართველოს შსს თანამშრომლის დამადასტურებელი მოწმობა [1]...; ყავისფერი საფულე, მასში მოთავსებული მოქალაქის პირადობის მოწმობით [1]...; ... დამადასტურებელი მოწმობა [1]... გაცემული უ. ტ-ს სახელზე; საბანკო ბარათი [1]...; იასამნისფერი ბარათი წარწერით: „GღAND შAKAღთVELO“ [1]...; შავი ბარათი წარწერით: „ADჟAღA“ [1]...; შავი ბარათი წარწერით: „NOღMAL ჩAშINO ADჟAღA“; „PშP-ს“ აფთიაქის ბარათი [1]...; «ავერსის» აფთიაქის ბარათი [1]...; ჯანმრთელობის დაზღვევის ბარათი გაცემული უ. ტ-ზე [1]...; საბანკო ბარათის „PIN ჩODE“ ერთ ფურცლად; ფურცელი წარწერით: „საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია“; ფურცელი წარწერით; ქვითარი [1]...; ფულადი თანხა – 705 ლარი და 55 თეთრი, შვიდი 100-ლარიანი კუპიურა, ერთი 5-ლარიანი კუპიურა, ერთი 50-თეთრიანი და ერთი 5-თეთრიანი; ცნობა ნარკოლოგიურ აღრიცხვაზე [1]...; შავი პლასტიკური ბარათი [1]...; საქართველოს მართვის მოწმობა, გაცემული უ. ტ-ზე [1]...; მობილური ტელეფონი იმეი კოდით ..., მასში მოთავსებული სიმბარათით წარწერით: „Bეელანე“, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელს.

სისხლის სამართლის საქმეზე თ. მ-ს ავტომანქანის ჩხრეკისას ამოღებული ნივთიერი მტკიცებულებები: 1) “ნოკიას» ფირმის მობილური ტელეფონი; 2) სიმბარათი ...; 3) დაცვის სამსახურის – შპს „დუტის“ დოკუმენტაცია 9 ფურცლად; 4) რეგისტრირებულ თანამშრომელთა ნუსხა 4 ფლეში მეხსიერება; 7) მცხეთა-მთიანეთის სასამართლოს მოწმობა [1]...; 8) მანქანის სარეგისტრაციო მოწმობა; 9) ორი საბანკო ბარათი; 10) საბანკო ბარათი; 11) ნარინჯისფერი აფთიაქის ბარათი; 12) მთაწმინდის პარკის ბარათი; 13) სავიზიტო ბარათი; 14) მძღოლის მოწმობა [1]...; 15) საქართველოს მოქალაქის რეგისტრაციის მოწმობა [1]...; 16) 55 ლარი; 17) 1 აშშ დოლარი; 18) შპს «ლუკოილ ჯორჯიას» სამი 10 ლიტრიანი ბენზინის ტალონი [1]..., [1]..., [1]...; 19) ყავისფერი საფულე; 20) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს განკარგულება ერთ ფურცლად [1]...; 21) ორი ფოტოსურათი; 22) შპს «ჯეოსელის» „ლაილაის“ ხელშეკრულება; 23) სადაზღვევო კომპანია „ვესტის“ ფურცელი; 24) სალომბარდო ხელშეკრულება ერთ ფურცლად; 25) ქვითრები ოთხ ფურცლად; 26) „ვითიბი“ ბანკის სალაროს გასავლის ორდერი ერთ ფურცლად; 27) საგადასახადო დავალება სამ ფურცლად; 28) „ვითიბი“ ბანკის ანგარიშის ბანკის კოდი ... ერთ ფურცლად; 29) ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა ...; 30) საქართველოს მოქალაქის პასპორტი [1]...; 31) ადვოკატის ორდერი სამ ეგზემპლარად; 32) საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი მოწმობა; 33) კომპანია «ალექსისის» მოქმედებისა და განვითარების სტრატეგიული გეგმა ერთ ფურცლად; 34) კონსულტაციის გამოკვლევის ბარათი ორ ფურცლად; 35) ავტოიმპორტის ფურცელი წარწერით: „MY ჩAღ GE“; 36) თ. მ-ს განცხადება მცხეთის რაიონულ პროკურორს ერთ ფურცლად; 37) შემოსავლის ორდერი [1]... ერთ ფურცლად; 38) პლასტიკური ბარათების პინკოდის შესანახი ორი პაკეტი; 39) ჯვარი და ჯაჭვი, დალუქული პოლიეთილენის პარკში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელს.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა.

საპროცესო შეთანხმება

განჩინება

[1]53-აპ-12 8 მაისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულების – ი. ჰ-ისა და ა. ო-ის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 13 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 26 სექტემბრის განაჩენით ი. ჰ-ი ამჟამად პატიმარი და ა. ო-ი ამჟამად პატიმარი ცნობილ იქნენ დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და სასჯელად განესაზღვრათ 4-4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ისინი სასჯელს იხდიან 2011 წლის 27 მარტიდან.

განაჩენით ი. ჰ-სა და ა. ო-ს მსჯავრი დაედოთ ყალბი ქონებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელი ისეთი დოკუმენტის დამზადებაში გასაღების მიზნით და გასაღებაში, ჯგუფურად, რომელიც არ არის ფასიანი ქაღალდი.

მსჯავრდებულების დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

შპს „ვ-ა-1-ის“ (ს/ნ ...) დირექტორმა ა. ო-მა და ბუღალტერმა ი. ჰ-მა 2011 წლის 27 მარტს მ-ში, ... ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, გასაღების მიზნით დაამზადეს 2011 წლის 27 მარტით დათარიღებული, ყალბი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა [1]..., რომლის სერიაა «...» და სასაქონლო ზედნადები [1].... მოცემული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურისა და სასაქონლო ზედნადების მიხედვით, შპს „ვ-ა-1-მა“ თითქოს შპს „ა-ს“ მიჰყიდა 20 ტ. და 100 კგ. ტექნიკური ბუთანი, რომლის ღირებულება დღგ-ს ჩათვლით შეადგენდა 36246,33 ლარს. იმავე დღეს მითითებული ყალბი ანგარიშ-ფაქტურები და სასაქონლო ზედნადებები ა. ო-მა და ი. ჰ-მა 700 ლარად გაასაღეს თ. ს-ზე.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულებმა – ი. ჰა-მა და ა. ო-მა, რომლებმაც ითხოვეს სასჯელის ნაწილის პირობით მსჯავრად ჩათვლა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 13 დეკემბრის განაჩენით რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 26 სექტემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულებმა – ი. ჰ-მა და ა. ო-მა საკასაციო საჩივრებით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორებმა საჩივრებით ითხოვეს განაჩენში ცვლილების შეტანა და საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით შეფარდებული სასჯელის ერთი მესამედის პირობით მსჯავრად ჩათვლა.

ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის შს სამინისტროს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღანელობის განყოფილების პროკურორმა დ. ჩ-მა შესაგებლით ითხოვა მსჯავრდებულების – ი. ჰ-სა და ა. ო-ის საკასაციო საჩივრების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 13 დეკემბრის განაჩენის უცვლელად დატოვება.

2012 წლის 8 მაისს ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის განყოფილების პროკურორმა დ. ჩ-მა, საქართველოს სსკ-ის 209-ე-211-ე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმეზე, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, შეადგინა წერილობითი შეთანხმება ბრალზე გარიგების თაობაზე მასსა და მსჯავრდებულებს – ი. ჰ-სა და ა. ო-ს შორის.

პროკურატურამ მხედველობაში მიიღო რა ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ბრალეულობის ხარისხი, ასევე ის გარემოება, რომ მსჯავრდებულები – ი. ჰ-ი და ა. ო-ი სრულად ცნობენ თავს დამნაშავედ, აღიარებენ და ინანიებენ ჩადენილ დანაშაულს, თანამშრომლობენ გამოძიებასთან, საჯარო ინტერესების დაცვით, სახელმწიფო რესურსების მაქსიმალური ეფექტურობით გამოყენების მიზნით, 2012 წლის 8 მაისს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 209-ე-211-ე მუხლების მოთხოვნათა სრული დაცვით, მსჯავრდებულებსა და ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის განყოფილების პროკურორ დ. ჩ-ს შორის წერილობით გააფორმა ოქმი საპროცესო შეთანხმების თაობაზე. საპროცესო შეთანხმება კანონით დადგენილი წესით წინასწარ შეთანხმდა ზემდგომ პროკურორთან.

2012 წლის 8 მაისს სასამართლო სხდომაზე პროკურორმა დ. ჩ-მა შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას მასსა და მსჯავრდებულებს – ი. ჰ-სა და ა. ო-ს შორის 2012 წლის 8 მაისს დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, წარმოდგენილი შუამდგომლობა და მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 13 დეკემბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება, სახელმწიფო ბრალმდებლის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს და დამტკიცდეს საპროცესო შეთანხმება პროკურორ დ. ჩ-სა და მსჯავრდებულებს – ი. ჰ-სა და ა. ო-ს შორის.

საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორმა დ. ჩ-მა მხარი დაუჭირა თავის შუამდგომლობას და ითხოვა, რომ მსჯავრდებული ი. ჰ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და სასჯელად განესაზღვროს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა უნდა განესაზღვროს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 2 წელი და 6 თვე სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე შეეცვალოს პირობითი მსჯავრით, 3 წლისა და 6 თვის გამოსაცდელი ვადით. მასვე საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის გამოყენებით დამატებით სასჯელად უნდა განესაზღვროს ჯარიმა – 2.000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

პროკურორმა დ. ჩ-მა ანალოგიური სასჯელის დანიშვნა ითხოვა მსჯავრდებულ ა. ო-ის მიმართაც.

სასამართლო სხდომაზე საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას მხარი დაუჭირეს პროცესში მონაწილე მსჯავრდებულებმა – ი. ჰ-მა, ა. ო-მა და მათმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატებმა – ნ. ა-მა და ნ. ლ-ემ.

სასამართლომ საქმის მასალების საფუძველზე საპროცესო კანონის მოთხოვნათა დაცვით განიხილა შუამდგომლობების დასაბუთებულობა და მიაჩნია, რომ საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობით: მსჯავრდებულების – ა. ო-სა და ი. ჰ-ის აღიარებითი ჩვენებებით, მოწმეების – თ. ს-ისა და ო. თ-ის ჩვენებებით, ამოღების ოქმებით, [1]... საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურით, რომლის სერიაა «...», [1]... სასაქონლო ზედნადებით, ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციითა და საქმის სხვა მასალებით ა. ო-ისა და ი. ჰ-ის მიმართ ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია.

საკასაციო პალატა დარწმუნდა, რომ საპროცესო შეთანხმებების დადებისას მსჯავრდებულების – ა. ო-სა და ი. ჰ-ის მიმართ არ განხორციელებულა ძალადობა, დაშინება, მოტყუება, მუქარა; ამასთან, მათ არ შეზღუდვიათ უფლება, მიეღოთ იურიდიული დახმარება.

პალატის სხდომაზე გამოკვლეულ იქნა, რომ მსჯავრდებულები სრულად აცნობიერებენ ბრალად შერაცხული დანაშაულის ხასიათს, მათთვის გათვალისწინებულ სასჯელს და საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებულ, კანონით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას. მსჯავრდებულები – ა. ო-ი და ი. ჰ-ი აცნობიერებენ, რომ სასამართლო უფლებამოსილია, არ მიიღოს მხედველობაში შეთანხმების საფუძველზე პროკურორის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობა.

მსჯავრდებულებისათვის ასევე ცნობილია საქართველოს სსსკ-ის 212-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მათი კონსტიტუციური უფლებები; მათთვის ასევე ცნობილია, რომ საპროცესო შეთანხმება მათ არ ათავისუფლებთ სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ პროკურორმა სწორი ფაქტობრივი და სამართლებრივი შეფასებები გააკეთა ბრალსა და სასჯელზე საპროცესო შეთანხმებების დამტკიცების შესახებ. სასამართლო ასევე იზიარებს პროკურორის არგუმენტებს იმის თაობაზე, რომ მსჯავრდებულებს გააჩნიათ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები, კერძოდ, აღიარებენ და გულწრფელად ინანიებენ ჩადენილ დანაშაულს.

ამდენად, ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის შს სამინისტროს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორ დ. ჩ-ის შუამდგომლობა მსჯავრდებულების – ა. ო-ისა და ი. ჰ-ის მიმართ საპროცესო შეთანხმებების დამტკიცების თაობაზე საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის I ნაწილის «გ» ქვეპუნქტით, 209-ე-216-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

დაკმაყოფილდეს სახელმწიფო ბრალმდებლის შუამდგომლობა.

დამტკიცდეს საპროცესო შეთანხმება პროკურორ დ. ჩ-სა და მსჯავრდებულებს – ი. ჰ-სა და ა. ო-ს შორის.

ი. ჰ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და სასჯელად განესაზღვროს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვროს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 2 წელი და 6 თვე სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე შეეცვალოს პირობითი მსჯავრით, 3 წლისა და 6 თვის გამოსაცდელი ვადით. მასვე საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის გამოყენებით დამატებით სასჯელად განესაზღვროს ჯარიმა – 2.000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;

ა. ო-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და სასჯელად განესაზღვროს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვროს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 2 წელი და 6 თვე სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე შეეცვალოს პირობითი მსჯავრით, 3 წლისა და 6 თვის გამოსაცდელი ვადით. მასვე საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის გამოყენებით დამატებით სასჯელად განესაზღვროს ჯარიმა – 2.000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

პირობითი მსჯავრის პერიოდში მსჯავრდებულების – ი. ჰ-ისა და ა. ო-ის ყოფაქცევაზე კონტროლი დაევალოს პრობაციის ბიუროს მსჯავრდებულების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ი. ჰ-სა და ა. ო-ს სასჯელის ვადის ათვლა დაეწყოთ 2011 წლის 27 მარტიდან.

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი ფულადი თანხების ასლები და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად მოპოვებული მასალები, რომლებიც ჩაკერებულია სისხლის სამართლის საქმეში, შენახულ იქნეს საქმის შენახვის ვადით.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა.

საპროცესო შეთანხმება

განჩინება

[1]46-აპ-12 30 მარტი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
პ. სილაგაძე

განიხილა მსჯავრდებულების – ა. კ-სა და ა. გ-ს საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 30 ნოემბრის განაჩენზე

აღწერილობითი ნაწილი:

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 11 ოქტომბრის განაჩენით ა. კ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 24-ე, 214-ე მუხლის მე-5 ნაწილის «დ» ქვეპუნქტით და მიესაჯა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა. იგი სასჯელს იხდის 2011 წლის 25 მაისიდან.

ა. გ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 19-ე, 214-ე მუხლის მე-5 ნაწილის «დ» ქვეპუნქტით და მიესაჯა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა. იგი სასჯელს იხდის 2011 წლის 25 მაისიდან.

იმავე განაჩენით დამტკიცდა კ. თ-სა და პროკურორს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება. კ. თ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 19-ე, 214-ე მუხლის მე-5 ნაწილის «დ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სსკ-ის 55-ე მუხლის საფუძველზე სასჯელად დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით, საიდანაც საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოსახდელად განესაზღვრა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დარჩენილი 4 წელი და 6 თვე საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების გამოყენებით ჩაეთვალა პირობით, 5 წლისა და 6 თვის გამოსაცდელი ვადით. მასვე საქართველოს სსკ-ის 41-ე-42-ე მუხლების გამოყენებით დამატებით სასჯელად დაენიშნა ჯარიმა – 3000 ლარის ოდენობით. კ. თ-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო 2011 წლის 25 მაისიდან.

განაჩენით ა. გ-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ მან ჩაიდინა საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე დიდი ოდენობით მოძრავი ნივთის გადატანის მცდელობაში დახმარება, ჩადენილი სახელმწიფო კონტროლის გვერდის ავლით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ.

ა. კ-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ მან ჩაიდინა სახელმწიფო კონტროლის გვერდის ავლით საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე დიდი ოდენობით მოძრავი ნივთის გადატანის ორგანიზება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ.

მსჯავრდებულების დანაშაულებრივი ქმედებები გამოიხატა შემდეგში:

თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე ა. კ-სათვის ცნობილი იყო, რომ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ფასი საქართველოში საგრძნობლად დაბალია, ვიდრე თურქეთის რესპუბლიკაში, რის გამოც მან მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით გადაწყვიტა საქართველოს ტერიტორიაზე პირუტყვის შეძენა და საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით თურქეთში უკანონოდ გადაყვანა. ვინაიდან ამ ჩანაფიქრის მარტო შესრულებას ვერ შეძლებდა, ის 2011 წლის მაისში ჩამოვიდა საქართველოში და დაუკავშირდა თავის ნაცნობებს, საქართველოს მოქალაქეებს, ნინოწმინდის რაიონში მცხოვრებ ა. გ-ს და კ. თ-ს, რომელთაც გაანდო თავისი და-

ნაშაულებრივი განზრახვის შესახებ და შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ სთხოვა დახმარება, რაზეც ეს უკანასკნელები დასთანხმდნენ.

2011 წლის მაისის შუა რიცხვებში ა. კ-მა და ა. გ-მა ნინოწმინდის რაიონში შეიძინეს 30 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, რაშიც ა. კ-მა გადაიხადა 30 000 ლარი. ეს პირუტყვი 2011 წლის 24 მაისს, დაახლოებით 20 საათზე, ქ. ნინოწმინდაში, ა. კ-ს მითითებით, დატვირთეს ა. გ-ს მართვის ქვეშ მყოფ «კამაზის» მარკის ავტომანქანაზე და წინასწარი შეთანხმების შესაბამისად, ა. გ-ი დაახლოებით 23 საათზე წავიდა ახალქალაქის რაიონში მდებარე საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვრისაკენ, სადაც, ა. კ-ს დავალებით, კ. თ-ს ქ. ახალქალაქიდან უნდა მიეყვანა თურქი ეროვნების პირები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ პირუტყვის საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვარზე უკანონოდ გადაყვანას.

ახალქალაქის რაიონის სოფელ კარწახამდე მისვლის შემდეგ ა. გ-მა გადაუხვია ტყიან მასივში და გრუნტიანი გზით წავიდა საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვრისაკენ. საზღვართან ახლოს, მშენებარე რკინიგზის გვერდის ავლით, გაიარა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ელ-სასიგნალო კომპლექსის მავთულხლართების ის ადგილი, რომელიც რკინიგზის მშენებლობის გამო დროებით გახსნილია და დაახლოებით 00 საათზე და 30 წუთზე მივიდა საქართველო-თურქეთის საზღვართან მდებარე 170-ე-171-ე სასაზღვრო ნიშნულების ზონაში, საზღვრიდან დაახლოებით 100-150 მეტრში და ვინაიდან იქ მთავრდება სამანქანო გზა, გააჩერა ავტომანქანა, დაელოდა ამ დროისათვის შეთანხმებისამებრ კ. თ-ს მიერ საკუთარი ავტომანქანა «ჟიგულით» საზღვართან მიყვანილ თურქეთის რესპუბლიკის დაუდგენელ ორ მოქალაქეს, რომლებსაც ა. გ-ს მიერ საზღვარზე მიყვანილი 30 სული პირუტყვი საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე სახელმწიფო კონტროლის გვერდის ავლით, უკანონოდ უნდა გადაეყვანათ თურქეთის რესპუბლიკაში. ამ დროს მან შენიშნა სასაზღვრო პოლიციის მუშაკები, მოაბრუნა ავტომანქანა და შეეცადა გაქცევას, მაგრამ ის შეაჩერეს სასაზღვრო პოლიციის მუშაკებმა და მისი ა/მანქანა «კამაზის» ძარიდან ამოღებულ იქნა 30 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, რომლის სატარიფო ღირებულებამ, 2011 წლის 26 მაისის №007757-2011/10/1 სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, შეადგინა ოცი ათას რვაასი ლარი. ა. გ-ი შემთხვევის ადგილზე დააკავეს, ხოლო კ. თ-ს მიერ მიყვანილი თურქი ეროვნების პირები შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 30 ნოემბრის განაჩენით ახალციხის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 11 ოქტომბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულებმა – ა. კ-მა და ა. გ-მა საკასაციო საჩივრებით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორებმა საჩივრებით ითხოვეს განაჩენში ცვლილების შეტანა სასჯელის შემსუბუქების თვალსაზრისით, კერძოდ, სასჯელის დანიშვნა საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით.

საკასაციო პალატის სხდომაზე ა. გ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ე. ა-მ მხარი დაუჭირა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და იშუამდგომლა მისი დაკმაყოფილება.

საკასაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულმა ა. გ-მა მხარი დაუჭირა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და იშუამდგომლა სასჯელის მინიმუმამდე შემცირება.

2012 წლის 29 მარტს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს პროკურორმა ლ. ძ-მ, საქართველოს სსკ-ის 209-ე-211-ე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმეზე, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 24-ე,214-ე მუხლის მე-5 ნაწილის “დ» ქვეპუნქტით, შეადგინა წერილობითი შეთანხმება ბრალზე გარიგების თაობაზე მასსა და მსჯავრდებულ ა. კ-ს შორის.

პროკურატურამ მხედველობაში მიიღო რა ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ბრალეულობის ხარისხი, ასევე ის გარემოება, რომ მსჯავრდებული ა. კ-ი სრულად ცნობს თავს დამნაშავედ, აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, თანამშრომლობს გამოძიებასთან, საჯარო ინტერესების დაცვით, სახელმწიფო რესურსების მაქსიმალური ეფექტურობით გამოყენების მიზნით, 2012 წლის 29 მარტს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 209-ე-211-ე მუხლების მოთხოვნათა სრული დაცვით, მსჯავრდებულსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს პროკურორ ლ. ძ-ს შორის წერილობით გაფორმდა ოქმი საპროცესო შეთანხმების თაობაზე. საპროცესო შეთანხმება კანონით დადგენილი წესით წინასწარ შეთანხმდა ზემდგომ პროკურორთან.

2012 წლის 30 მარტს სასამართლო სხდომაზე პროკურორმა ლ. ძ-მ მხარი არ დაუჭირა მსჯავრდებულთა საკასაციო საჩივრების მოთხოვნებს და შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას მასსა და მსჯავრდებულ ა. კ-ს შორის 2012 წლის 29 მარტს დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ, ხოლო ა. გ-ს ბრალდების ნაწილში იშუამდგომლა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 30 ნოემბრის განაჩენის უცვლელად დატოვების შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე წარმოდგენილი შუამდგომლობა, ა. გ-ს საკასაციო საჩივრი და მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 30 ნოემბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება

ა. კ-ს მსჯავრდების ნაწილში, კერძოდ: სახელმწიფო ბრალმდებლის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს და დამტკიცდეს საპროცესო შეთანხმება პროკურორ ლ. ძ-სა და მსჯავრდებულ ა. კ-ს შორის, ხოლო ა. გ-ს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორმა ლ. ძ-მ მხარი დაუჭირა თავის შუამდგომლობას და ითხოვა, რომ მსჯავრდებული ა. კ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს: საქართველოს სსკ-ის 24-ე,214-ე მუხლის მე-5 ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე მუხლის საფუძველზე ჩაეთვალოს პირობითად და საქართველოს სსკ-ის 64-ე მუხლის საფუძველზე გამოსაცდელ ვადად დაუდგინდეს 3 წელი. მასვე საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახედ განესაზღვროს ჯარიმა – 30000 ლარის ოდენობით.

სასამართლო სხდომაზე საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას მხარი დაუჭირეს პროცესში მონაწილე მსჯავრდებულმა ა. კ-მა და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ო. ზ-მ.

საკასაციო პალატა დარწმუნდა, რომ საპროცესო შეთანხმების დადებისას მსჯავრდებულ ა. კ-ს მიმართ არ განხორციელებულა ძალადობა, დაშინება, მოტყუება და მუქარა; ამასთან, მას არ შეზღუდვია უფლება, მიეღო იურიდიული დახმარება.

პალატის სხდომაზე გამოკვლეულ იქნა, რომ მსჯავრდებული ა. კ-ი სრულად აცნობიერებს ბრალად შერაცხული დანაშაულის ხასიათს, მისთვის გათვალისწინებულ სასჯელს და საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებულ, კანონით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას. მსჯავრდებული ა. კ-ი აცნობიერებს, რომ სასამართლო უფლებამოსილია, არ მიიღოს მხედველობაში შეთანხმების საფუძველზე პროკურორის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობა.

მსჯავრდებულისათვის ასევე ცნობილია საქართველოს სსსკ-ის 212-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მისი კონსტიტუციური უფლებები; მისთვის ასევე ცნობილია, რომ საპროცესო შეთანხმება მას არ ათავისუფლებს სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ პროკურორმა სწორი ფაქტობრივი და სამართლებრივი შეფასებები მისცა ბრალსა და სასჯელზე საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას. სასამართლო ასევე იზიარებს პროკურორის არგუმენტებს იმის თაობაზე, რომ მსჯავრდებულს გააჩნია პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები, კერძოდ, აღიარებს და გულწრფელად ინანიებს ჩადენილ დანაშაულს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს პროკურორის – ლ. ძ-ს შუამდგომლობა მსჯავრდებულ ა. კ-ს მიმართ საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

რაც შეეხება მსჯავრდებულ ა. გ-ს საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობას, საკასაციო პალატას მიიჩნია, რომ საკასაციო საჩივრის მოთხოვნა სასჯელის საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით დანიშვნის თაობაზე უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო: საქმეზე არსებული მტკიცებულებებით დადგენილია, რომ ა. გ-ი დააკავეს საზღვართან ახლოს, იმ დროს, როდესაც მას ა/მანქანა «კამაზით» მიყვანილი ჰყავდა 30 სული პირუტყვი, რომლებიც სახელმწიფო კონტროლის გვერდის ავლით უნდა გადაეყვანათ თურქეთის რესპუბლიკაში. როდესაც ა. გ-მა შენიშნა სამართალდამცავები, სცადა გაქცევა, მაგრამ იგი პოლიციელებმა დააკავეს. ამასთან, საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, სასამართლო უფლებამოსილია განაჩენით დაადგინოს სასჯელის ნაწილის მოხდა, ხოლო დანარჩენი ნაწილის პირობით მსჯავრად ჩათვლა, თუ: ბრალდებული აღიარებს დანაშაულს და მისთვის არ წაუსწრიათ დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე, ასახელებს დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილეებს და თანამშრომლობს გამოძიებასთან. მოცემულ შემთხვევაში, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები ცხადყოფს, რომ ა. გ-ს ფაქტობრივად წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას, როდესაც იგი გაქცევას ცდილობდა.

რაც შეეხება მსჯავრდებულ ა. გ-ს მიმართ დანიშნულ სასჯელს საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გამოყენებულია მუხლის სანქციით გათვალისწინებულ მინიმალურ ზღვართან მიახლოებული სასჯელი, რაც სრულად შეესაბამება ჩადენილი დანაშაულის ხასიათსა და ხარისხს.

ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივრის მოთხოვნა არ აკმაყოფილებს საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებისათვის არსებულ სამართლებრივ წინაპირობებს და არ უნდა დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 30 ნოემბრის განაჩენი მსჯავრდებულ ა. გ-ს მსჯავრდების ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «გ» ქვეპუნქტით, 209-ე-216-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

სახელმწიფო ბრალმდებლის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს.

შევიდეს ცვლილება თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 30 ნოემბრის განაჩენში, კერძოდ:

დამტკიცდეს საპროცესო შეთანხმება პროკურორ ლ. ძ-სა და მსჯავრდებულ ა. კ-ს შორის.

ა. კ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს: საქართველოს სსკ-ის 24-ე,214-ე მუხლის მე-5 ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე მუხლის საფუძველზე ჩაეთვალოს პირობითად და საქართველოს სსკ-ის 64-ე მუხლის საფუძველზე გამოსაცდელ ვადად დაუდგინდეს 3 წელი. მასვე საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახედ განესაზღვროს ჯარიმა – 30000 ლარის ოდენობით.

მსჯავრდებული ა. კ-ი გათავისუფლდეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

ა. კ-ს სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალოს პერიოდი – 2011 წლის 25 მაისიდან 2012 წლის 30 მარტის ჩათვლით.

მსჯავრდებულ ა. გ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ა. გ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 19-ე,214-ე მუხლის მე-5 ნაწილის «დ» ქვეპუნქტით და მიესაჯოს თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით.

ა. გ-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყოს 2011 წლის 25 მაისიდან.

ნივთიერი მტკიცებულება: 30 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (მათგან დარჩენილია 26 სული), რომლებიც ამოღებულ იქნა ა. გ-ს კუთვნილი ა/მანქანა «კამაზიდან» და რომლებიც ამჟამად არიან ასპინძის რაიონში მდებარე გ. დ-ს კუთვნილ ფერმაში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ (როგორც დანაშაულის საგანი, საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის საფუძველზე) გადაეცეს სახელმწიფოს შემდგომი განკარგვის მიზნით, ხოლო შესრულება დაევალოს სსიპ საფინანსო სააგენტოს; ა. გ-საგან ამოღებული ა/მანქანა «კამაზი» საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ (როგორც დანაშაულის იარაღი, საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის საფუძველზე) გადაეცეს სახელმწიფოს შემდგომი განკარგვის მიზნით, რომლის შესრულება დაევალოს სსიპ საფინანსო სააგენტოს.

მსჯავრდებულების: ა. კ-ს, ა. გ-სა და კ. თ-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული ნივთები დაუბრუნდეს მათ კანონიერ მფლობელებს.

განაჩენი ა. გ-ს მიმართ საბოლოოა და არ საჩივრდება.

განაჩენი ა. კ-ს მიმართ საბოლოოა და არ საჩივრდება, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა.

საპროცესო შეთანხმება

განჩინება

[1]23-აპ-12 17 თებერვალი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
პ. სილაგაძე,
გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ ა. მ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 7 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 29 სექტემბრის განაჩენით:

ა. მ-ე საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში (დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების გასაღება) ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და ბრალდების ამ ნაწილში გამართლდა.

ა. მ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა და შენახვა) და მიესაჯა 9 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2011 წლის 13 ივნისიდან.

მასვე «ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საექიმო და საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

ა. მ-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ (ინახება შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის საცავში) საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა განადგურდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

განაჩენის მიხედვით, ა. მ-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა, რაც გამოიხატა შემდეგში:

ა. მ-მ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, უკანონოდ შეიძინა და შეინახა დიდი ოდენობით – 0,0228 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“. 2011 წლის 13 ივნისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა ქ. თბილისში, ... ქუჩა [1]...-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, დააკავეს ა. მ-ე, რომლის პირადი ჩხრეკისას ამოიღეს დიდი ოდენობით – 0,0228 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 7 დეკემბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული ა. მ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის სასჯელის დანიშვნის ნაწილში ცვლილების შეტანას და მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით, სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალური ზომის დანიშვნას, ამავე დროს ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის, დაავადებათა სპეციფიკის მხედველობაში მიღებით – დანიშნული სასჯელის მოხდის გადავადებას გამოჯანმრთელებამდე.

მსჯავრდებულის მოსაზრებით, განაჩენი სასჯელის ნაწილში არის უკანონო და დაუსაბუთებელი, ასევე უკანონო და დაუსაბუთებელია სასამართლოს უარი განაჩენის გადავადებაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

დაკავებისთანავე ა. მ-მ სრულად აღიარა და მოინანია ჩადენილი დანაშაული, გამოთქვა გამოძიებასთან თანამშრომლობის მზადყოფნა, რისთვისაც გამოძიება შეჰპირდა, რომ მიუსჯიდნენ პირობით სასჯელს; მან გამოძიებას მიაწოდა მნიშვნელოვანი ინფორმაცია ნარკოტიკული ნივთიერების საქართველოში უკანონოდ შემომტანი და გამსაღებელი პირის შესახებ; ამავე დროს გამოძიებას მისცა ოფიციალური ჩვენება; ა. მ-ს ინფორმაციის საფუძველზე დააკავეს აზერბაიჯანის მოქალაქე ა. ი-ა; ა. მ-ს გამოძიების პროცესში ადვოკატების მეშვეობით ჩაუტარდა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, რომლის დასკვნითაც დადგინდა, რომ დაავადებულია მძიმე ავადმყოფობით; ამასთან, დადგენილია, რომ ნასამართლობის არმქონეა, კმაყოფაზე ჰყავს მეუღლე და შვილი. ყოველივე ზემოაღნიშნული კი სასამართლოსთვის წარმოადგენს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებს, რაც სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა სასჯელის დანიშვნისას და გამოეტანა სამართლიანი განაჩენი.

სასამართლოს გადაწყვეტილება უკანონოა იმ ნაწილში, სადაც ა. მ-ს უარი ეთქვა მძიმე ავადმყოფობის გამო სასჯელის მოხდის გადავადებაზე, ვინაიდან სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია და ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ 1998 წლიდან იგი აღრიცხვაზე იმყოფება ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკულ ცენტრში შემდეგი დიაგნოზით: „ც“ ჰეპატიტი, გადატანილი „ბ“ ჰეპატიტი, ჰეპატოსპლენომეგალია, ღვიძლის დეკომპენსირებული ციროზი, ასციტი – „ც“ კატეგორია, «აივ» ინფექცია/შიდსი, ც3 კატეგორია.

2012 წლის 13 თებერვალს საქართველოს მთავარი პროკურატურის გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის პროკურორმა დ. მ-მა, საქართველოს სსსკ-ის 209-ე-211-ე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმეზე, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, შეადგინა წერილობითი შეთანხმება ბრალზე გარიგების თაობაზე მასსა და მსჯავრდებულ ა. მ-ს შორის.

პროკურატურამ მხედველობაში მიიღო რა ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ბრალეულობის ხარისხი, ასევე ის გარემოება, რომ მსჯავრდებული ა. მ-ე აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, თანამშრომლობს გამოძიებასთან, მან ამხილა ნარკორეალიზატორი, რომელიც დაკავებულ იქნა, საჯარო ინტერესების დაცვით, სახელმწიფო რესურსების მაქსიმალური ეფექტურობით გამოყენების მიზნით, 2012 წლის 13 თებერვალს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 209-ე-211-ე მუხლების მოთხოვნათა სრული დაცვით, მსჯავრდებულსა და საქართველოს მთავარი პროკურატურის გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის პროკურორ დ. მ-ს შორის წერილობით გააფორმა ოქმი საპროცესო შეთანხმების თაობაზე. საპროცესო შეთანხმება კანონით დადგენილი წესით წინასწარ შეთანხმდა ზემდგომ პროკურორთან.

2012 წლის 17 თებერვალს სასამართლო სხდომაზე პროკურორმა დ. მ-მა შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას მასსა და მსჯავრდებულ ა. მ-ს შორის 2012 წლის 13 თებერვალს დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, წარმოდგენილი შუამდგომლობა და მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 7 დეკემბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება, სახელმწიფო ბრალმდებლის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს და დამტკიცდეს საპროცესო შეთანხმება პროკურორ დ. მ-სა და მსჯავრდებულ ა. მ-ს შორის.

საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორმა დ. მ-მა მხარი დაუჭირა თავის შუამდგომლობას და ითხოვა, რომ მსჯავრდებულ ა. მაისურაძეს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის განესაზღვროს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის საფუძველზე 5 წელი განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთის სახით, ხოლო 2 წელი ჩაეთვალოს პირობით და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდეს 3 წელი. მასვე სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით დაეკისროს ჯარიმა – 5000 ლარი.

მასვე «ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლის ვადით ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საექიმო და საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

ა. მ-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ (ინახება შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის საცავში) საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ განადგურდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

სასამართლო სხდომაზე საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას მხარი დაუჭირეს პროცესში მონაწილე მსჯავრდებულმა ა. მ-მ და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ა. მ-მ.

სასამართლომ საქმის მასალების საფუძველზე საპროცესო კანონის მოთხოვნათა დაცვით განიხილა შუამდგომლობის დასაბუთებულობა და მიაჩნია, რომ საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობით: მსჯავრდებულ ა. მ-ს აღიარებითი ჩვენებით, მოწმეების ჩვენებებით, ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით, ნარკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით, დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმით, ამოღებული ნივთმტკიცებითა და საქმის სხვა მასალებით ა. მ-ს მიმართ ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია.

საკასაციო პალატა დარწმუნდა, რომ საპროცესო შეთანხმების დადებისას მსჯავრდებულ ა. მ-ს მიმართ არ განხორციელებულა ძალადობა, დაშინება, მოტყუება, მუქარა; ამასთან, მას არ შეზღუდვია უფლება, მიეღო იურიდიული დახმარება.

პალატის სხდომაზე გამოკვლეულ იქნა, რომ მსჯავრდებული სრულად აცნობიერებს ბრალად შერაცხული დანაშაულის ხასიათს, მისთვის გათვალისწინებულ სასჯელს და საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებულ, კანონით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას. მსჯავრდებული ა. მ-ე აცნობიერებს, რომ სასამართლო უფლებამოსილია, არ მიიღოს მხედველობაში შეთანხმების საფუძველზე პროკურორის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობა.

მსჯავრდებულისათვის ასევე ცნობილია საქართველოს სსსკ-ის 212-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მისი კონსტიტუციური უფლებები; მისთვის ასევე ცნობილია, რომ საპროცესო შეთანხმება მას არ ათავისუფლებს სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ პროკურორმა სწორი ფაქტობრივი და სამართლებრივი შეფასებები გააკეთა ბრალსა და სასჯელზე საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ. სასამართლო ასევე იზიარებს პროკურორის არგუმენტებს იმის თაობაზე, რომ მსჯავრდებულს გააჩნია პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები, კერძოდ, აღიარებს და გულწრფელად ინანიებს ჩადენილ დანაშაულს.

ამდენად, საქართველოს მთავარი პროკურატურის გამომძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის პროკურორ დ. მ-ს შუამდგომლობა მსჯავრდებულ ა. მ-ს მიმართ საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «გ» ქვეპუნქტით, 209-ე-216-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

სახელმწიფო ბრალმდებლის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს.

დამტკიცდეს საპროცესო შეთანხმება პროკურორ დ. მ-სა და მსჯავრდებულ ა. მ-ს შორის.

ა. მ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მიესაჯოს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის საფუძველზე 5 წელი განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთის სახით, ხოლო 2 წელი ჩაეთვალოს პირობით და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდეს 3 წელი; მასვე სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით დაეკისროს ჯარიმა – 5000 ლარი. ა. მ-ს სასჯელის მოხდა დაეწყოს 2011 წლის 13 ივნისიდან.

მასვე «ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლის ვადით ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საექიმო და საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო)

დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

ა. მ-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ (ინახება შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის საცავში) საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ განადგურდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა.

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვა

განჩინება

[1]1-აგ-12 11 იანვარი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
ზ. მეიშვილი,
მ. ოშხარელი

განიხილა მსჯავრდებულ ა. ღ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 27 დეკემბრის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2003 წლის 15 იანვრის განაჩენით ა. ღ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლითა და 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით (2000 წლის 30 მაისის რედაქცია), იმავე კოდექსის 362-ე მუხლის 1-ელი ნაწილით (2000 წლის 30 ივნისის რედაქცია), აგრეთვე 363-ე მუხლის 1-ელი ნაწილით (1999 წლის 22 ივლისის რედაქცია) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლითა და 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით (მითითებული რედაქცია) – თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით; იმავე კოდექსის 362-ე მუხლის 1-ელი ნაწილით (მითითებული რედაქცია) – ჯარიმა 100 დღიური ანაზღაურება, დღიური – 2 ლარის ოდენობით, ხოლო 363-ე მუხლის 1-ელი ნაწილით (მითითებული რედაქცია) – ჯარიმა 80 დღიური ანაზღაურება, დღიური – 2 ლარის ოდენობით, სულ – 160 ლარი;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-4 ნაწილის (2000 წლის 5 მაისის რედაქცია) თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელები და საბოლოოდ ა. ღ-ს სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით.

ა. ღ-ს წინასწარ პატიმრობაში ყოფნის დრო ჩაეთვალა სასჯელის მოხდის ვადაში და მისი მოხდის ვადის ათვლა დაეწყო დაკავების მომენტიდან – 2001 წლის 5 დეკემბრიდან.

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის 25.05.2011 წლის [1]10/6/8/-6881 ცნობის თანახმად, ა. ღ-ი 2004 წლის 26 მარტს მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს დადგენილების საფუძველზე სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლდა 8 თვითა და 9 დღით ადრე.

მსჯავრდებულის გათავისუფლების შესახებ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსის 25.05.2011 წლის [1]2101-895 ცნობის თანახმად, ა. ღ-ს პირობითი მსჯავრის ვადა დაუმთავრდა 2004 წლის 5 დეკემბერს.

2011 წლის 14 დეკემბერს ა. ღ-მა შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს, იგი ითხოვდა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2003 წლის 15 იანვრის განაჩენის გადასინჯვას.

მსჯავრდებული ა. ღ-ი თავის შუამდგომლობაში აღნიშნავდა, რომ იგი 2003 წელს გაასამართლეს საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლითა და 177-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის, რომელიც მაშინ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულად ითვლებოდა, ხოლო დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ეს დანაშაული წარმოადგენს მძიმე კატეგორიის დანაშაულს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ა. ღ-ი ითხოვდა მის მიერ ჩადენილი ქმედების მოქმედ სისხლის სამართლის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 27 დეკემბრის განჩინებით მსჯავრდებულ ა. ღ-ს უარი ეთქვა მისი შუამდგომლობის დაშვებასა და განხილვაზე იმ მოტივით, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (2009 წლის 9 ოქტომბრის რედაქცია)

312-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, იგი არ წარმოადგენს ახლად გამოვლენილი გარემოების გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ სასამართლოსათვის შუამდგომლობით მიმართვაზე უფლებამოსილ სუბიექტს, რადგან მოცემული მომენტისათვის ის უკვე არის სასჯელმოხდილი პირი, რომელიც არ იხსენიება ამ საპროცესო ნორმით გათვალისწინებულ ჩამონათვალში უფლებამოსილ სუბიექტთა შორის.

მსჯავრდებულმა ა. ღ-მა სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული განჩინების თაობაზე საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი ითხოვს გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმებას მისი შუამდგომლობის განსახილველად დაშვების საკითხთან დაკავშირებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა მსჯავრდებულ ა. ღ-ის საკასაციო საჩივართან დაკავშირებით შემოსული საქმის მასალები და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ მსჯავრდებულ ა. ღ-ის მიერ შეტანილ შუამდგომლობასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებით არასწორად განმარტა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (მითითებული რედაქცია) 312-ე მუხლის მეორე ნაწილის შინაარსი, როდესაც მიიჩნია, რომ აღნიშნულ ნორმაში მოცემულ სუბიექტთა ჩამონათვალში, კერძოდ, იქ მოხსენიებულ მსჯავრდებულში არ იგულისხმება ის პირი, რომელმაც უკვე მოიხადა სასჯელი. სააპელაციო სასამართლოს ასეთი პოზიცია და ხსენებული საპროცესო ნორმის შინაარსის მისეული განმარტება პირდაპირ ეწინააღმდეგება მოცემულ საკითხზე საპროცესო კოდექსის ნამდვილ აზრსა და კანონმდებლის ნებას, რადგან ასეთ შემთხვევაში ყოველგვარ მნიშვნელობას კარგავს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 311-ე მუხლი, რომლის თანახმად, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის ვადა შეუზღუდავია, ანდა აღნიშნული ნორმა ისე უნდა განგვემარტა, რომ მითითებული განაჩენის გადასინჯვის ვადა შეუზღუდავია მხოლოდ პროკურორისათვის – მსჯავრდებულის ინტერესების საწინააღმდეგოდ, რაც იქნებოდა სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა თანასწორობის პრინციპის აშკარა და უხეში დარღვევა. გარდა ამისა, მითითებული საპროცესო ნორმის შინაარსის ისეთი გაგება, რომელიც თავის განჩინებაში ჩამოაყალიბა სააპელაციო სასამართლომ, პირდაპირ ეწინააღმდეგება აგრეთვე მატერიალური სისხლის სამართლის შესაბამისი ნორმებით აღიარებულ და დაკანონებულ ნასამართლობის ვადაზე ადრე მოხსნის უფლებასა და ნასამართლობის გაქარწყლების ინსტიტუტს.

საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლის მიხედვით, პირი, რომელმაც სასჯელი მოიხადა, ნასამართლობის გაქარწყლებამდე და მოხსნამდე ითვლება მსჯავრდებულად, რომელიც სარგებლობს უფლებით – თხოვნით მიმართოს სასამართლოს, მოუხსნას მას ნასამართლობა ამ უკანასკნელის გაქარწყლების ვადის გასვლამდე (იხ. საქართველოს სსკ-ის 79-ე მუხლის 1-ელი, მე-4 და მე-5 ნაწილები). აქედან გამომდინარე, სრულიად ნათელია, რომ საქართველოს სსსკ-ის (მითითებული რედაქცია) 312-ე მუხლის მე-2 ნაწილში წარმოდგენილ ჩამონათვალში მითითებული მსჯავრდებული გულისხმობს არა მხოლოდ იმ პირს, რომელიც რეალური სასჯელის, ანდა პირობითი სასჯელის მოხდის რეჟიმში იმყოფება, არამედ იმ პირსაც, რომელმაც უკვე მოიხადა რეალური ან პირობითი სასჯელი, მაგრამ მის მიმართ ჯერ კიდევ არ არის ნასამართლობა გაქარწყლებული ან მოხსნილი კანონით დადგენილი წესით, რის გამოც იგი, როგორც მსჯავრდებულის სტატუსის მქონე პირი, სარგებლობს მსჯავრდებულის ყველა უფლებით, მათ შორის იმ უფლებითაც, რომ შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს ახლად გამოვლენილი გარემოების გამო მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის გადასინჯვის თაობაზე.

ამრიგად, საკასაციო პალატა, ზემოაღნიშნული გარემოებებისა და მოსაზრებების გათვალისწინებით, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ მსჯავრდებულ ა. ღ-ის მიერ შეტანილი შუამდგომლობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას მის მიმართ დაარღვია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის 1-ელი ნაწილით აღიარებული ადამიანის უფლება – თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს, აგრეთვე საპროცესო კოდექსის (მითითებული რედაქცია) 311-ე მუხლითა და 312-ე მუხლის მე-2 ნაწილით მისთვის მინიჭებული უფლება – ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო მის მიმართ გამოტანილი განაჩენის გადასინჯვის თაობაზე შუამდგომლობით მიმართოს შესაბამის სასამართლოს. ყოველივე აღნიშნული კი იმაზე მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ მსჯავრდებულ ა. ღ-ის საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას არსებითად დაარღვია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, როდესაც მას უსაფუძვლოდ უთხრა უარი მისი შუამდგომლობის განსახილველად დაშვებაზე. აღნიშნული გარემოება წარმოადგენს ამ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს საქართველოს სსსკ-ის (მითითებული რედაქცია) 313-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, რის გამოც თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 27 დეკემბრის განჩინება მსჯავრდებულ ა. ღ-ის შუამდგომლობის განსახილველად დაშვებაზე უარის თქმის შესახებ უნდა გაუქმდეს – როგორც უკანონო, ხოლო მსჯავრდებულ ა. ღ-ის შუამდგომლობა საქმის მასალებთან ერთად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასა-

მართლოს ხელახალი განხილვისა და აღნიშნული შუამდგომლობის დაშვების საკითხის კანონის შესაბამისად გადაწყვეტისათვის.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (მითითებული რედაქცია) 311-ე, 312-ე და 313-ე მუხლებით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ა. ღ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 27 დეკემბრის განჩინება ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2003 წლის 15 იანვრის განაჩენის გადასინჯვის შესახებ მსჯავრდებულ ა. ღ-ის შუამდგომლობის განსახილველად დაშვებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო ა. ღ-ის შუამდგომლობა საქმის მასალებთან ერთად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს განსახილველად, მისი დაშვების საკითხის თაობაზე ახალი გადაწყვეტილების მისაღებად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვა

განჩინება

[1]74-აგ-11 24 იანვარი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
პ. სილაგაძე

განიხილა მსჯავრდებულ ს. ტ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 16 დეკემბრის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 10 მაისის განაჩენით ს. ტ-შვილი – დაბადებული 1958 წელს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ» ქვეპუნქტით, სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით და საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა – 3500 ლარის ოდენობით. მსჯავრდებულს სასჯელის მოხდა დაეწყო 2011 წლის 11 იანვრიდან.

2011 წლის 2 დეკემბერს მსჯავრდებულმა ს. ტ-შვილმა შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის გადასინჯვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 16 დეკემბრის განჩინებით მსჯავრდებულ ს. ტ-შვილის შუამდგომლობა არ იქნა დაშვებული განსახილველად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 16 დეკემბრის განჩინების თაობაზე მსჯავრდებულმა ს. ტ-შვილმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორი – მსჯავრდებული ს. ტ-შვილი საჩივარში აღნიშნავს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება არის დაუსაბუთებელი, კერძოდ: სააპელაციო სასამართლომ გვერდი აუარა მისი შუამდგომლობის საფუძველს, სადაც იგი ახლად გამოვლენილ გარემოებად ასახელებს იმ ფაქტს, რომ ზოია ჩხაიძე დანაშაულებრივ საქმიანობას ეწეოდა სხვა ადამიანებთან ერთად და დღესაც აგრძელებს, ვინაიდან იგი პრობაციონერია. მსჯავრდებულს მიაჩნია, რომ შუამდგომლობა აკმაყოფილებს სსსკ-ის 310-ე მუხლის «ზ» ქვეპუნქტის მოთხოვნას და ითხოვს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 16 დეკემბრის განჩინების გაუქმებას, ასევე სააპელაციო სასამართლოსათვის მითითებას შუამდგომლობის დაშვებაზე და საქმის არსებით განხილვას.

სამოტივაციო ნაწილი:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ შემთხვევაში საჩივრის ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დღესაც აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, თუმცა ახლად გამოვლენილ გარემოებად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ ზ. ჩ-ძე დანაშაულებრივ საქმიანობას ეწეოდა სხვა ადამიანებთან ერთად და დღესაც აგრძელებს, ვინაიდან იგი პრობაციონერია და ასევე უთითებს საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის «ზ» ქვეპუნქტზე, რომელიც სწორედ განაჩენის გადასინჯვის საფუძველს ადგენს.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საჩივრის ავტორის მითითება სსსკ-ის 310-ე მუხლის «ზ» ქვეპუნქტზე უსაფუძვლოა, რადგან ამ მუხლის შესაბამისად, განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადაისინჯება, თუ წარმოდგენილია ახალი ფაქტი ან მტკიცებულება, რომელიც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს არ იყო ცნობილი და თავისთავად, თუ სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი ან უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო, აგრეთვე ამტკიცებს გამართლებულის ბრალეულობას ან დანაშაულის იმ პირის მიერ ჩადენას, რომლის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვეტილი იყო. მოცემულ შემთხვევაში მსჯავრდებულის მიერ საკასაციო საჩივარში მითითება ზ. ჩ-ძის მდგომარეობასა და საქმიანობაზე ამ საქმეზე ვერ ჩაითვლება იმ ახალ გარემოებად, რაც შეიძლება გახდეს განაჩენის გადასინჯვის საფუძველი.

ამდენად, საკასაციო პალატა იზიარებს გასაჩივრებული განჩინების მოტივებს და მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს განაჩენის გადასინჯვის ახლად გამოვლენილი გარემოება, რის გამოც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს და იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ს. ტ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 16 დეკემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვა

განჩინება

[1]2-აგ-12 25 იანვარი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ ა. გ-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 29 ნოემბრის განაჩენზე ახლად გამოვლენილი გარემოების გამო საქმის გადასინჯვის შესახებ.

აღწერილობითი ნაწილი:

ა. გ-ი, – მსჯავრდებულია ჩოხატაურის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 25 ივნისის განაჩენით დანაშაულისათვის, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (1960 წლის რედაქცია, შემდგომი ცვლილებებითა და დამატებებით) 152-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ელი და მე-5 პუნქტებით, სსკ-ის 178-ე მუხლის (2000 წლის 30 მაისის რედაქცია) პირველი ნაწილით, იმავე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებითა და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, აგრეთვე 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რის გამოც მას სასჯელის ზომად შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 13 წლის ვადით.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 20 სექტემბრის განაჩენით ჩოხატაურის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 25 ივნისის განაჩენი ა. გ-ის მიმართ დარჩა უცვლელად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2004 წლის 18 ნოემბრის განჩინებით ა. გ-ის მიმართ ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 20 სექტემბრის განაჩენი გაუქმდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის (მითითებული რედაქცია) პირველი ნაწილით, იმავე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით, აგრეთვე 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ბრალდების ეპიზოდში და ამ ნაწილში საქმე დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად დაუბრუნდა საქართველოს გენერალურ პროკურატურას, ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 152-ე მუხლის (1960 წლის რედაქცია, შემდგომი ცვლილებებითა და დამატებებით) მე-2 ნაწილის 1-ელი და მე-5 პუნქტებით მსჯავრდების ნაწილში აღნიშნული განაჩენი დარჩა უცვლელად.

2011 წლის 1 ნოემბერს მსჯავრდებულმა ა. გ-მა შუამდგომლობით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო მის მიმართ ჩოხატაურის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 25 ივნისის განაჩენის გადასინჯვის თაობაზე, რასაც ასაბუთებდა იმ მოტივით, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 152-ე მუხლს (მითითებული რედაქცია) შეესაბამება ამჟამად მოქმედი საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლი, რომელშიც 2006 წლის 28 აპრილს შეტანილი ცვლილებების საფუძველზე შემცირდა სასჯელის ზომები, კერძოდ კი 179-ე მუხლის (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია) მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – ბინაში უკანონო შეღწევით ჩადენილი ყაჩაღობისათვის სასჯელის ზომად გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა რვიდან თორმეტ წლამდე, მას კი შეფარდებული აქვს 13 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2011 წლის 29 ნოემბრის განაჩენით დააკმაყოფილა მსჯავრდებულ ა. გ-ის შუამდგომლობა და მის მიერ ჩადენილი ქმედება ყაჩაღობის ნაწილში საქართველოს სსკ-ის 152-ე მუხლის (მითითებული რედაქცია) მე-2 ნაწილის პირველი და მე-5 პუნქტებიდან გადააკვალიფიცირა ამჟამად მოქმედი საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია) მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტსა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე, ხოლო საბოლოო სასჯელის ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 12 წლის ვადით.

აღნიშნული განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ა. გ-მა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული განაჩენის სასჯელის ნაწილის შეცვლას, კერძოდ: მისთვის განსაზღვრული საბოლოო სასჯელი – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა – მსჯავრდებულს მიაჩნია ზედმეტად მკაცრად, ვინაიდან მას აქვს ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა (დაავადებულია უკურნებელი სენით – შიდსით, ასევე „ც“ ჰეპატიტით, არტერიული ჰიპერტენზიით), ამასთან, ჰყავს ორი მცირეწლოვანი შვილი და უმუშევარი მეუღლე, რის გამოც ითხოვს განაჩენით განსაზღვრული საბოლოო სასჯელის შემცირებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა მსჯავრდებულ ა. გ-ის საქმის მასალები და შეამოწმა მისი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

როდესაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ განიხილა მსჯავრდებულ ა. გ-ის შუამდგომლობა ახლად გამოვლენილი გარემოების გამო მის მიმართ არსებული საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვის თაობაზე, მას სწორად განუსაზღვრა საბოლოო სასჯელის ზომა ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში, კერძოდ, ბინაში უკანონო შეღწევით ჩადენილი ყაჩაღობისათვის კანონით გათვალისწინებული სასჯელის მაქსიმალური ზღვრის სახით, როგორიცაა თავისუფლების აღკვეთა 12 წლის ვადით, ხოლო სასჯელის ამ ზომის კიდევ უფრო შემცირების უფლება სააპელაციო სასამართლოს არ ჰქონდა. ახლად გამოვლენილი გარემოების გამო საქმის გადასინჯვისას მსჯავრდებულისათვის გადასასინჯი სასამართლო გადაწყვეტილებით დანიშნული სასჯელის ზომის შემცირება დასაშვებია მხოლოდ იმავე დანაშაულისათვის ახალი კანონით დადგენილი სასჯელის მაქსიმალურ ზღვრამდე. რაც შეეხება მსჯავრდებულ ა. გ-ის მიერ საკასაციო საჩივარში მითითებულ ისეთ გარემოებაზე, როგორიცაა მისი ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით ეს გარემოება არ განიხილება ახლად გამოვლენილ გარემოებად. ასეთი გარემოება, ამჟამად მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 74-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (2009 წლის 9 ოქტომბრის რედაქცია) 284-ე მუხლის 1-ელი და მე-3 ნაწილების თანახმად, შეიძლება გახდეს არა სასჯელის შემსუბუქების, არამედ დანიშნული სასჯელის მოხდისაგან მთლიანად განთავისუფლების თაობაზე საკითხის დასმის საფუძველი, ამასთან, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ჯანმრთელობის მდგომარეობა ისეთი სიმძიმისა და ხასიათისაა, რომ იგი ხელს უშლის და ფაქტობრივად შეუძლებელს ხდის სასჯელის მოხდას.

ამავე დროს საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ ახლად გამოვლენილი გარემოების გამო მსჯავრდებულ ა. გ-ის საქმის გადასინჯვისას, როდესაც მსჯავრდებულის შუამდგომლობის საფუძველზე ცვლილება შეიტანა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 25 ივნისის განჩინებაში, ა. გ-ის ქმედების კვალიფიკაცია იმ ნაწილში, რომელიც ეხებოდა ყაჩაღობის ჯგუფურად ჩადენას, დანაშაული, გათვალისწინებული წინათ მოქმედი საქართველოს სსკ-ის 152-ე მუხლის (მითითებული რედაქცია) მე-2 ნაწილის პირველი პუნქტით, განმეორებით მოიყვანა შესაბამისობაში მოქმედ კანონთან სახელდობრ, საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია) მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მაშინ, როდესაც იგი უზენაესი სასამართლოს აღნიშნული განჩინებით უკვე მოყვანილი იყო შესაბამისობაში ახალ კანონთან, რითაც სააპელაციო სასამართლომ, მატერიალური სისხლის სამართლის კანონმდებლობის თვალსაზრისით, განმეორებით შეასრულა ისეთი მოქმედება, რომელიც ზედმეტი და არასაჭირო იყო.

აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მსჯავრდებულ ა. გ-ის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა მისთვის განსაზღვრული საბოლოო სასჯელის შემცირების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო, ხოლო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 29 ნოემბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მასში გამოვლენილი ზედმეტობის გასასწორებლად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (2009 წლის 9 ოქტომბრის რედაქცია) 307-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, იმავე კოდექსის 310-ე და 314-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ა. გ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 29 ნოემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: აღნიშნული განაჩენის სარეზოლუციო ნაწილიდან ამოირიცხოს მითითება მსჯავრდებულ ა. გ-ის მიერ ჩადენილი ქმედების საქართველოს სსკ-ის (1960 წლის 30 დეკემბრის რედაქცია შემდგომი ცვლილებებითა და დამატებებით) 152-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ელი პუნქტიდან ამჟამად მოქმედი საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია) მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე გადაკვალიფიცირების შესახებ.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში, აგრეთვე ამ განაჩენით მსჯავრდებულ ა. გ-ის მიმართ განსაზღვრული საბოლოო სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 12 წლის ვადით – დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვა

განჩინება

[1]76აგ-11 12 მარტი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
პ. სილაგაძე

განიხილა მსჯავრდებულ გ. ბ-ის საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 4 აპრილის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 31 მაისის განაჩენით გ. ბ-ი გამართლდა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე წარდგენილ ბრალდებაში. იმავე განაჩენით გ. ბ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე – 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, იმავე კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“ ქვეპუნქტების საფუძველზე – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „გ“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტების საფუძველზე – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, საქართველოს სსკ-ის 171-ე მუხლის 1-ელი ნაწილის საფუძველზე – 1 წლით თავისუფლების აღ-

კვეთა, იმავე კოდექსის 363-ე მუხლის 1-ელი ნაწილის საფუძველზე – 1 წლით თავისუფლების შეზღუდვა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების თანახმად (2000 წლის 5 მაისის რედაქცია), გ. ბ-ს სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 18 წლის ვადით.

იმავე განაჩენით დაკმაყოფილდა სამოქალაქო მოსარჩელეების – ზ. ღ-ის, თ. ქ-ისა და მ. კ-ის სარჩელები და გ. ბ-ს ზ. ღ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 2508 ლარის, ხოლო თ. ქ-ის სასარგებლოდ – 1305 ლარის გადახდა; ამასთან, გ. ბ-სა და უ. ძ-ს სოლიდარულად დაეკისრათ მ. კ-ის სასარგებლოდ – 4710 ლარის, ხოლო ზ. ღ-ის სასარგებლოდ – 2940 ლარის გადახდა. სამოქალაქო სარჩელი დანარჩენ ნაწილში დარჩა ღიად, მოთხოვნის წარმოუდგენლობის გამო.

აღნიშნულ განაჩენში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 22 დეკემბრის განაჩენით შევიდა ცვლილება კვალიფიკაციის ნაწილში, კერძოდ:

გ. ბ-ი გამართლდა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე წარდგენილ ბრალდებაში, ხოლო მისი ქმედება საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან (2000 წლის 5 მაისის რედაქცია) გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია). განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 6 ივნისის განჩინებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 22 დეკემბრის განაჩენში შევიდა შემდეგი ცვლილებები:

მსჯავრდებულებს – გ. ბ-სა და უ. ძ-ს განაჩენიდან ამოერიცხათ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „გ“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტების, ასევე საქართველოს სსკ-ის 363-ე მუხლის 1-ელი ნაწილის საფუძველზე შერაცხული ბრალდებები;

მსჯავრდებულ გ. ბ-ს განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილიდან ამოერიცხა ნ. დ-ას ქურდობის ეპიზოდი;

განაჩენიდან ასევე ამოირიცხა მითითება სამოქალაქო სარჩელის ღიად დატოვების თაობაზე;

მსჯავრდებულებს – გ. ბ-სა და უშანგ ძ-ს ე. ა-ის დაყაჩაღების ეპიზოდში ამოერიცხათ მის სასარგებლოდ დაკისრებული 1570 ლარის გადახდაზე მითითება;

მსჯავრდებულებს – გ. ბ-სა და უშანგ ძ-ს ი. ტ-ის დაყაჩაღების ეპიზოდში მ. კ-ის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 1570 ლარის გადახდა;

მსჯავრდებულ გ. ბ-ს მ. გ-ის დაყაჩაღების ეპიზოდში მ. კ-ის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრა 1570 ლარის გადახდა;

მსჯავრდებულ გ. ბ-ს დანიშნული სასჯელი – 18 წლით თავისუფლების აღკვეთა – შეუმცირდა 1 თვით და მოსახდელად განესაზღვრა 17 წლითა და 11 თვით თავისუფლების აღკვეთა;

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულ გ. ბ-ს სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყო 2005 წლის 14 ნოემბრიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 28 სექტემბრის განაჩენით გ. ბ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტების (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) საფუძველზე – თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით, საქართველოს სსკ-ის 24-ე მუხლისა და 339-ე მუხლის პირველი ნაწილის (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) საფუძველზე – თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და გ. ბ-ს სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით, რასაც საქართველოს სსკ-ის მე-60 მუხლის (2000 წლის 5 მაისის რედაქცია) შესაბამისად, დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან 15 წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 20 წლის ვადით. მას სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყო 2006 წლის 11 აპრილიდან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 15 ივნისის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 28 სექტემბრის განაჩენი გ. ბ-ის მიმართ დარჩა უცვლელად.

2001 წლის 21 მარტს მსჯავრდებულმა გ. ბ-მა შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 31 მაისის, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 22 დეკემბრის, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 28 სექტემბრის, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 15 ივნისის განაჩენების გადასინჯვის თაობაზე.

გ. ბ-ი თავის შუამდგომლობაში აღნიშნავს, რომ მას არ ჩაუდენია საქართველოს სსკ-ის 171-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება, რადგან სისხლის სამართლის საქმეში არ არსებობს არც ლ. ჯ-ის ჩვენება და არც მათხოვრობის ან ანტისაზოგადოებრივი ქმედების ჩადენის ფაქტი. გ. ბ-ის განმარტებით, მან არაერთხელ მოითხოვა, რომ საქართველოს სსკ-ის 171-ე მუხლით წარდგენილი ბრალდება და ამ მუხლით განსაზ-

ღვრული სასჯელი მოხსნოდა, რადგან მიაჩნია, რომ უკანონო განაჩენი სწორედ მასზეა აგებული. მსჯავრდებული გ. ბ-ი საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „ა“, „ბ“ და „ზ“ ქვეპუნქტების თანახმად, ითხოვს მის მიმართ გამოტანილი განაჩენების გადასინჯვას და წარმოდგენილ შუამდგომლობას მტკიცებულების სახით ურთავს 2007 წლის 14 მარტს ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ ა. დ-ის მიმართ გამოტანილ განაჩენსა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განჩინებას, რომლებშიც განმარტებულია, რომ საქართველოს სსკ-ის 171-ე მუხლი გულისხმობს არასრულწლოვნის ჩაბმას და დაყოლიებას მათხოვრობასა და სხვადასხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაზე, რომელიც არ წარმოადგენს დანაშაულს. მსჯავრდებული ითხოვს, რომ ა. დ-ის განაჩენთან შესაბამისობაში მოვიდეს მისი განაჩენი და სასჯელის ზომად განესაზღვროს იგივე სასჯელი, რაც ა. დ-ეს აქვს მისჯილი კანონის შესაბამისად.

იმავე საჩივარში მსჯავრდებული მიუთითებს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე მ. კ-ემ იგი გაასამართლა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და იმავე კოდექსის 24-ე მუხლისა და 339-ე მუხლის 1-ელი ნაწილის საფუძველზე, რის გამოც მას მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა გარდაბნის რაიონული სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელი და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 20 წლით თავისუფლების აღკვეთა. აღნიშნული გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში, სადაც მოსამართლემ მოყვანილ მტკიცებულებებს არანაირი ყურადღება არ მიაქცია და საქმე განიხილა მნიშვნელოვანი დარღვევებით. შუამდგომლობის ავტორის განმარტებით, საქმის განხილვისას დაირღვა საქართველოს სსსკ-ის მე-10 მუხლისა და იმავე კოდექსის მე-5 მუხლის, აგრეთვე საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-6 ნაწილის მოთხოვნები. გ. ბ-ის აზრით, მას სასჯელი უნდა დანიშვნოდა დანაშაულთა ერთობლიობით, საქართველოს სსსკ-ის მე-16 მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, რადგან მან თაღლითობა ჩაიდინა 2005 წელს – იმ დროს, როდესაც იგი არ იყო მსჯავრდებული, რასაც განაჩენიც და დაზარალებული ლ. ე-იც ადასტურებს. მსჯავრდებულის აზრით, საქართველოს სსკ-ის მე-60 მუხლი მის მიმართ უკანონოდ არის გამოყენებული და თვლის, რომ ორივე განაჩენით დანიშნული სასჯელი არ უნდა აღემატებოდეს 12 წელს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 4 აპრილის განჩინებით, გ. ბ-ის შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 31 მაისის, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 22 დეკემბრის, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 28 სექტემბრის, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 15 ივნისის განაჩენების გადასინჯვის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

მსჯავრდებულმა გ. ბ-მა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 24 მაისის განჩინებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 4 აპრილის განჩინება დარჩა უცვლელად.

2011 წლის 15 ნოემბერს მსჯავრდებულმა გ. ბ-მა საჩივრით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო მის მიმართ გამოტანილი განაჩენების გადასინჯვის თაობაზე იმ მოტივით, რომ 2006 წლის 31 მაისს გარდაბნის რაიონულმა სასამართლომ განაჩენი კანონის, საქართველოს კონსტიტუციისა და საერთაშორისო აქტების დარღვევით გამოიტანა, რომლითაც იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე, 146-ე, 177-ე, 363-ე და 178-ე მუხლების საფუძველზე და საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების თანახმად, მიესაჯა 18 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებული გ. ბ-ი შუამდგომლობაში უთითებდა, რომ მის მიმართ დარღვეულია საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-7 ნაწილის მოთხოვნა, ვინაიდან სასამართლომ მას არ მისცა სამოქალაქო სარჩელის წარდგენისა და კომპენსაციის მიღების უფლება. ასევე აღნიშნა, რომ მას მსჯავრი დაედო ყაჩაღობის ჩადენისათვის – ზ. ჭ-ის, ს. შ-ის, გ. ყ-ის, გ. გ-ძის, გ. მ-ის, ტ. ნ-ის, ლ. ც-ა და მ. გ-ის ეპიზოდებში, ისე, რომ არც ერთი მათგანი სასამართლოს სხდომაზე არ დაკითხულა.

მსჯავრდებულ გ. ბ-ის აზრით, მას არ ჩაუდენია სსკ-ის 171-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება, რადგან სისხლის სამართლის საქმეში არ არსებობს არც ლ. ჯ-ის ჩვენება და არც მათხოვრობის ან ანტისაზოგადოებრივი ქმედების ფაქტი. გ. ბ-ის განმარტებით, მან არაერთხელ მოითხოვა, რომ საქართველოს სსკ-ის 171-ე მუხლით წარდგენილი ბრალდება და ამ მუხლისთვის განსაზღვრული სასჯელი მოეხსნათ მისთვის, თუმცა – ამაოდ. მსჯავრდებულის აზრით აღნიშნული უკანონო განაჩენი სწორედ მასზეა აგებული. ამასთან, გ. ბ-ის მიერ წარმოდგენილ შუამდგომლობას ერთვოდა მტკიცებულება, კერძოდ: თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 14 მარტის განაჩენი ა. დ-ის მიმართ.

ამასთან, მსჯავრდებული უთითებდა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე მ. კ-ემ იგი გაასამართლა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 24-ე, 339-ე მუხლების საფუძველზე, რის გამოც მას მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა გარდაბნის რაიონული სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელი და საბოლოოდ განაჩენთა ერთობლიობით გ. ბ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 20 წლით თავისუფლების აღკვეთა. აღნიშნული გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში, სადაც

მოსამართლემ მოყვანილ მტკიცებულებებს არანაირი ყურადღება არ მიაქცია და საქმე განიხილა მნიშვნელოვანი დარღვევებით.

მსჯავრდებულის აზრით, საქართველოს სსსკ-ის მე-16 მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, მას სასჯელი უნდა დანიშვნოდა დანაშაულთა ერთობლიობით, რადგან თაღლითობა 2005 წელს მოხდა – იმ დროს, როდესაც იგი არ იყო მსჯავრდებული. მის მიმართ საქართველოს სსკ-ის მე-60 მუხლი უკანონოდ არის გამოყენებული, დანიშნული სასჯელი უნდა ჩაითვალოს გარდაბნის რაიონული სასამართლოს მიერ დანიშნულ სასჯელში და ორივე განაჩენით განსაზღვრული სასჯელის საბოლოო ზომა არ უნდა აღემატებოდეს 12 წელს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 29 ნოემბრის განჩინებით მსჯავრდებულ გ. ბ-ის შუამდგომლობა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე არ იქნა დაშვებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სხდომაზე განსახილველად.

საკასაციო საჩივრით გ. ბ-ი ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 29 ნოემბრის განჩინების გაუქმებას იმავე მოტივებით, რაზეც მითითებული ჰქონდა სააპელაციო სასამართლოში წარდგენილ შუამდგომლობაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო: სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის შესაბამისად, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენი გადაისინჯება, თუ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ ყალბია მტკიცებულება, რომელშიც საფუძვლად დაედო გადასასინჯ განაჩენს;

არსებობს გარემოება, რომელიც მოწმობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის დამდგენი სასამართლოს უკანონო შემადგენლობას ან იმ მტკიცებულების დაუშვებლობას, რომელიც საფუძვლად დაედო გადასასინჯ განაჩენს;

სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ მოსამართლემ, პროკურორმა, გამომძიებელმა, ნაფიცმა მსაჯულმა ან ნაფიცი მსაჯულების მიმართ სხვა პირმა ამ საქმესთან დაკავშირებით ჩაიდინა დანაშაული;

არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი;

არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევის ფაქტი ამ საქმესთან დაკავშირებით და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება;

ახალი კანონი აუქმებს ან ამსუბუქებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმ ქმედებისათვის, რომლის ჩადენისთვისაც პირს გადასასინჯი განაჩენით მსჯავრი დაედო;

წარდგენილია ახალი ფაქტი ან მტკიცებულება, რომელიც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს არ იყო ცნობილი და თავისთავად, თუ სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი ან უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო, აგრეთვე ამტკიცებს გამართლებულის ბრალეულობას ან დანაშაულის იმ პირის მიერ ჩადენას, რომლის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვეტილი იყო.

საკასაციო პალატამ სრული მოცულობით შეამოწმა რა მოცემული საქმე, მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლივი ანალიზის საფუძველზე სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმის გარემოებებს, ხოლო კასატორის მიერ თავის საჩივარში მითითებული გარემოება არ წარმოადგენს საპროცესო კანონით გათვალისწინებულ ისეთ გარემოებას, რომელიც შეიძლება გახდეს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გადასინჯვის საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მსჯავრდებულ გ. ბ-ის შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის თაობაზე კანონიერი და დასაბუთებულია, რომლის გაუქმების ან შეცვლის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, რის გამოც იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ გ. ბ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 4 აპრილის განჩინება მსჯავრდებულ გ. ბ-ის მიმართ დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვა

განჩინება

[1]5-ააგ-12 1 მაისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
პ. სილაგაძე

განიხილა მსჯავრდებულ ბ. კ-ს საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 6 თებერვლის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2012 წლის 25 იანვარს მსჯავრდებულმა ბ. კ-მ შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა თავისი დაკავებისა და პირადი ჩხრეკა-ამოღების კანონიერად ცნობის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 13 ივლისის დადგენილების გადასინჯვა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 6 თებერვლის განჩინებით მსჯავრდებულ ბ. კ-ს შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 13 ივლისის დადგენილების (ბ. კ-ს დაკავებისა და პირადი ჩხრეკა-ამოღების კანონიერად ცნობის შესახებ) გადასინჯვის თაობაზე ცნობილ იქნა დაუშვებლად.

მსჯავრდებული ბ. კ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 6 თებერვლის განჩინების გაუქმებას, სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების დარღვევით ჩატარებული საგამომძიებო მოქმედებისას «ამოღებული» სიმბარათის, როგორც დაუშვებელი მტკიცებულების, საქმის მასალებიდან ამოღებას, 2010 წლის 13 ივლისს მის მიმართ გატარებული საპროცესო მოქმედებების უკანონოდ ცნობას და მოსამართლე გ. ა-ს 2010 წლის 13 ივლისის დადგენილების გაუქმებას. იგი ასევე აღნიშნავს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ მისი საჩივარი განიხილა მნიშვნელოვანი სამართლებრივი და საპროცესო დარღვევებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გააანალიზა მსჯავრდებულ ბ. კ-ს საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლში მითითებულია ის საფუძვლები, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვა, კერძოდ:

განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადაისინჯება, თუ:

ა) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ ყალბია მტკიცებულება, რომელიც საფუძვლად დაედო გადასასინჯ განაჩენს;

ბ) არსებობს გარემოება, რომელიც მოწმობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის დამდგენი სასამართლოს უკანონო შემადგენლობას ან იმ მტკიცებულების დაუშვებლობას, რომელიც საფუძვლად დაედო გადასასინჯ განაჩენს;

გ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ მოსამართლემ, პროკურორმა, გამომძიებელმა, ნაფიცმა მსაჯულმა ან ნაფიცი მსაჯულის მიმართ სხვა პირმა ამ საქმესთან დაკავშირებით ჩაიდინა დანაშაული;

დ) არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი;

ე) არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომი-

ტეტის მიერ აღნიშნულ საქმეზე არ არის მიღებული დასკვნითი რეზოლუცია და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება;

ვ) ახალი კანონი აუქმებს ან ამსუბუქებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმ ქმედებისათვის, რომლის ჩადენისთვისაც პირს გადასასინჯი განაჩენით მსჯავრი დაედო;

ზ) წარმოდგენილია ახალი ფაქტი ან მტკიცებულება, რომელიც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს არ იყო ცნობილი და თავისთავად თუ სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი ან უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო, აგრეთვე ამტკიცებს გამართლებულის ბრალეულობას ან დანაშაულის იმ პირის მიერ ჩადენას, რომლის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვეტილი იყო.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ მოსამართლის დადგენილების გაუქმებისა და მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის თაობაზე არ პასუხობს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს.

ამასთან, უსაფუძვლოა კასატორის მითითება იმის თაობაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ მისი საჩივარი განიხილა მნიშვნელოვანი სამართლებრივი და საპროცესო დარღვევით, ვინაიდან აღნიშნული საქმის მასალებით არ დასტურდება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მსჯავრდებულ ბ. კ-ს შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის თაობაზე კანონიერი და დასაბუთებულია, რომლის გაუქმების ან შეცვლის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, რის გამოც იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ბ. კ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 6 თებერვლის განჩინება მსჯავრდებულ ბ. კ-ს შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის თაობაზე დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ექსტრადიცია

განჩინება

[1]2ი-12 12 ივნისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
პ. სილაგაძე,
დ. სულაქველიძე

განიხილა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – ა. უ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 1 ივნისის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ყაზახეთის რესპუბლიკის მოქალაქე ა. უ-ი 2010 წლის 8 თებერვალს 19:25 საათზე, საქართველოს შს სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა დააკავეს ქ. ახმეტაში, ... ქ. [1]56-ის მიმდებარე ტერიტორიაზე.

2012 წლის 9 თებერვალს თელავის რაიონული სასამართლოს განჩინებით ა. უ-ს შეეფარდა საექსტრადაციო პატიმრობა 3 თვის ვადით.

2012 წლის 3 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის განჩინებით ა. უ-ს საექსტრადიციო პატიმრობა გაუგრძელდა 3 თვით, სულ 6 თვემდე – 2012 წლის 8 აგვისტომდე.

2012 წლის 5 მარტს, თავდაპირველად ელექტრონული ფოსტით, ხოლო 2012 წლის 26 მარტს ფოსტის საშუალებით საქართველოს მთავარ პროკურატურაში შევიდა ყაზახეთის რესპუბლიკის გენერალური პროკურატურის შუამდგომლობა ა. უ-ის ყაზახეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შესახებ. ექსტრადიციის შესა-

ხებ შუამდგომლობისა და მიწოდებული მასალების თანახმად, ყაზახეთის რესპუბლიკის შსს ქ. აქტაუს შს სამმართველოს საგამოძიებო განყოფილების წარმოებაშია სისხლის სამართლის [1]11471003100385 საქმე ა. უ-ის მიმართ, დანაშაული, გათვალისწინებული ყაზახეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 96-ე მუხლის „ზ“ და „ი“ ქვეპუნქტებით.

აღნიშნული ქმედების ჩადენისათვის 2011 წლის 29 აპრილს ა. უ-ი მიცემულ იქნა სისხლის სამართლის პასუხისგებაში ყაზახეთის რესპუბლიკის სსკ-ის 96-ე მუხლის „ზ“ და „ი“ ქვეპუნქტებით (მკვლელობა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ და ხულიგნური ქვენაგრძნობით) გათვალისწინებული დანაშაულისათვის და 2011 წლის 29 აპრილს ქ. აქტაუს შს სამმართველოს საგამოძიებო განყოფილების გამომძიებლის დადგენილებით ა. უ-ის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით დაუსწრებლად შერჩეულ იქნა დაპატიმრება. ყაზახეთის რესპუბლიკის მანგისტაუს ოლქის აქტაუს საქალაქო სასამართლოს მოსამართლის 2011 წლის 10 ივნისის დადგენილებით სანქცია მიეცა გამომძიებლის მიერ ა. უ-ის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით შერჩეულ დაუსწრებელ დაპატიმრებას. ა. უ-ის მიმართ გამოცხადდა ძებნა.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის – თ. ბ-ის 2012 წლის 16 მაისის დადგენილებით დაკმაყოფილდა ყაზახეთის რესპუბლიკის გენერალური პროკურატურის შუამდგომლობა ა. უ-ის ექსტრადიციასთან დაკავშირებით იმის გათვალისწინებით, რომ ყაზახეთის რესპუბლიკის გენერალური პროკურატურის შუამდგომლობა შეესაბამებოდა „ექსტრადიციის შესახებ“ 1957 წლის ევროპულ კონვენციას „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ მინსკის 1993 წლის 22 იანვრის კონვენციას და „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნებს. ამასთან, 2012 წლის 16 მაისის დადგენილებით მიჩნეულია, რომ არ არსებობს ა. უ-ის ყაზახეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის დამაბრკოლებელი გარემოებები.

2012 წლის 30 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას საჩივრით მიმართა ექსტრადიციას დაქვემდებარებულმა პირმა ა. უ-მა და ითხოვა საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის – თ. ბ-ნის 2012 წლის 16 მაისის დადგენილების გაუქმება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 1 ივნისის განჩინებით საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის – თ. ბ-ის 2012 წლის 16 მაისის დადგენილება ა. უ-ის ყაზახეთის რესპუბლიკისათვის გადაცემის შესახებ, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით, დარჩა უცვლელად.

ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი – ა. უ-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 1 ივნისის განჩინების გაუქმებასა და პატიმრობიდან გათავისუფლებას შემდეგ გარემოებათა გამო:

მას დანაშაული არ ჩაუდენია; მის მიმართ ინკრიმინირებული ბრალდება ხელოვნურად არის შექმნილი და ემსახურება შემდგომი უსამართლო დევნის, წამების, დევნისა და არაადამიანური მოპყრობის მიზანს, რაც გამოიწვევს გამოუსწორებელ ზიანს. ამ რწმენას კი განამტკიცებს ის გარემოება, რომ ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციის – „ამნესტი ინტერნაციონალ-ს“ და 2012 წლის დასკვნის მიხედვით, გაერთიანებული ერების კომიტეტში განხილულ იქნა მოხსენება ყაზახეთის რესპუბლიკაში წამების მხრივ არსებული მდგომარეობის შესახებ და მწუხარება გამოთქვა იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ ყაზახეთის რესპუბლიკამ დღემდე ვერ მიაღწია პროგრესს წამებისა და არაადამიანური მოპყრობის აღმოფხვრის მხრივ; გარდა ამისა, კომიტეტს სერიოზული ეჭვები გააჩნია, რომ მოცემული საკითხის მოწესრიგებასთან დაკავშირებით ყაზახეთის ხელისუფლებას არ გააჩნია პოლიტიკური ნება, განსაკუთრებით კი – ამგვარ ფაქტებზე ეფექტური გამოძიების უზრუნველყოფის მხრივ. კომიტეტის შეშფოთებას იწვევს ის საკითხიც, რომ გასული წლის ივლისში პრეზიდენტის ბრძანებულებით პენიტენციური სისტემა უწყებრივად დაექვემდებარა შინაგან საქმეთა სამინისტროს. კომიტეტის აზრით, ამ ნაბიჯით პირდაპირი დარტყმა განიცადა იმ რეფორმებმა, რომლებსაც წლების მანძილზე ახორციელებდა ყაზახეთის ხელისუფლება არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად.

ასევე მხადველობაშია მისაღები საერთაშორისო უფლებათა დამცველი ორგანიზაცია „Hუმან ღიგჰტს ჭატცჰ-ის“ 2012 წლის 23 აპრილის პრესრელიზი, სადაც აღნიშნულია, რომ ყაზახეთში სისტემატურ ხასიათს ატარებს დაკავებული პირების ცემა, წამება და ამგვარი გზით აღიარებითი ჩვენების მიღება.

საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორმა ი. დ-ძემ ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები და იშუამდგომლა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 1 ივნისის განჩინების უცვლელად დატოვება.

საკასაციო პალატის სხდომაზე ადვოკატმა მ. თ-ძემ მხარი დაუჭირა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოთხოვნას, მან იშუამდგომლა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 1 ივნისის განჩინების გაუქმება და ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – ა. უ-ის პატიმრობიდან გათავისუფლება, რასაც დაეთანხმა თავად ა. უ-ი.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მოუსმინა მხარეებს და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ განჩინება მოცემულ საქმეზე კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

წარმოდგენილი მასალების მიხედვით დგინდება, რომ ა. უ-ი არის ყაზახეთის რესპუბლიკის მოქალაქე. მას ბრალად ედება ყაზახეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 96-ე მუხლის „ზ“ და „ი“ ქვეპუნქტებით (მკვლელობა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ და ხულიგნური ქვენაგრძნობით) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა.

2011 წლის 29 აპრილს ქ. აქტაუს შს სამმართველოს საგამოძიებო განყოფილების გამომძიებლის დადგენილებით ა. უ-ის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით დაუსწრებლად შეირჩა დაპატიმრება. ყაზახეთის რესპუბლიკის მანგისტაუს ოლქის აქტაუს საქალაქო სასამართლოს მოსამართლის 2011 წლის 10 ივნისის დადგენილებით სანქცია მიეცა გამომძიებლის მიერ ა. უ-ის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით შერჩეულ დაუსწრებელ დაპატიმრებას და მის მიმართ გამოცხადდა ძებნა.

საკასაციო პალატა ეთანხმება განჩინებას იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის – თ. ბ-ის 2012 წლის 16 მაისის დადგენილება ა. უ-ის ექსტრადიციის შესახებ არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონს „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ», სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობასა და საერთაშორისო კონვენციებს.

ამასთან, საქმეში არ არის მტკიცებულებები, რომლებიც შეიძლება გამხდარიყო ექსტრადიციაზე უარის თქმის სამართლებრივი საფუძველი. დადგენილება სრულად მოიცავს საექსტრადიციო პროცედურებს, ექსტრადიციის სამართლებრივ საფუძველს, პროცედურულ წესებს, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, ორმაგი დანაშაულებრიობის პრინციპს, ბრალდების ფაქტობრივ საფუძველს, დასჯადობას ყაზახეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად, ასევე დასჯადობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად; მოქალაქეობისა და ლტოლვილობის შესახებ წესებს, დანაშაულის ხანდაზმულობას, პარალელური წარმოების წესებსა და პრინციპს „ნონ ბის ინ იდემ“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წილს 1 ივნისის განჩინება კანონიერია და არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-15 ნაწილით, “სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ» საქართველოს კანონით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 1 ივნისის განჩინება, რომლითაც ძალაში დარჩა საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის – თ. ბ-ის 2012 წლის 16 მაისის დადგენილება ა. უ-ის ყაზახეთის რესპუბლიკისათვის გადაცემის შესახებ, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ექსტრადიცია

განჩინება

[1]3[1]-12 15 ივნისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
დ. სულაქველიძე,
გ. შავლიაშვილი

განიხილა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – მ. თ-ისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. შ-შვილის კერძო საკასაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 4 ივნისის განჩინების გაუქმების თაობაზე, რომლითაც უცვლელად დარჩა საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის – თ. ბ-ს 2012 წლის 16 მაისის დადგენილება მ. თ-ის

თურქეთის რესპუბლიკისათვის გადაცემის შესახებ, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით.

აღწერილობითი ნაწილი:

2012 წლის 11 მარტს შს სამინისტროს აჭარის ა/რ-ის მთავარი სამმართველოს ბათუმის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა ბათუმში, ... ქუჩის [1]4-ში, დააკავეს თურქეთის რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი მ. თ-ი, – დაბადებული 1982 წელს, თურქი, თურქეთის მოქალაქე, საშუალო განათლებით, ნასამართლობის არმქონე, რეგისტრირებული თურქეთის რესპუბლიკის ქ. ართვინში.

თურქეთის რესპუბლიკის ხოფის რაიონული სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა მაგისტრატმა მოსამართლემ 2011 წლის 28 დეკემბერს გასცა თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქის, 1982 წლის 30 აგვისტოს დაბადებული მ. თ-ის დაკავების ბრძანება და მის მიმართ გამოცხადდა ძებნა.

2012 წლის 1 მარტს საქართველოს მთავარ პროკურატურაში შევიდა თურქეთის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოს შუამდგომლობა თანდართული საექსტრადიციო მასალებით მ. თ-ის თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შესახებ. ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობისა და მიწოდებული მასალების თანახმად, თურქეთის რესპუბლიკის ხოფის რაიონულ, საჯარო მთავარ პროკურატურაში მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის [1]2010/795 საქმეზე მ. თ-ის მიმართ, თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის [1]5237 კოდექსის 220/1, 220/3, 220/4, 220/5, 86, 87/1-გ, 109/1, 109/2, 109/3, 81/1-ა მუხლებით და ცეცხლსასროლი იარაღის, დანისა და სხვა იარაღის შესახებ თურქეთის რესპუბლიკის [1]6136 კანონის მე-13 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

თურქეთის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოებიდან გადმოგზავნილი მასალებიდან ირკვევა, რომ მ. თ-ის ბრალი ედება შეიარაღებული ორგანიზებული ჯგუფის შექმნაში დანაშაულის ჩადენის მიზნით; ჯანმრთელობის დაზიანებაში; თავისუფლების უკანონოდ აღკვეთაში, ჩადენილი ძალადობით, მუქარით, მოტყუებით; განზრახ მკვლელობაში; ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის გამოყენებაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

მ. თ-იმ დანაშაულებრივი ქმედებების ჩასადენად ჩამოაყალიბა შეიარაღებული ორგანიზებული ჯგუფი, რომელსაც თვითონვე ხელმძღვანელობდა. 2010 წლის 23 აპრილს თურქეთის რესპუბლიკის ხოფის რაიონში ზემოაღნიშნული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა – ბ. ქ-მ და ი. კ-მ კრიმინალური ორგანიზაციის ხელმძღვანელის – მ. თ-ის უშუალო ინსტრუქციების საფუძველზე ა. ს. ა-ს მიაყენეს ჯანმრთელობის დაზიანება სახეზე კვალის დატოვებით.

2010 წლის 25 მაისს იმავე კრიმინალური ჯგუფის წევრები თურქეთის რესპუბლიკის ხოფის რაიონში თავს დაესხნენ და ძალის გამოყენებით თავისუფლება აღუკვეთეს ჰ. რ-სა და ბ. ო. ა-ს. კრიმინალური ჯგუფის წევრებმა ჰ. რ. და ბ. ო. ა-უ ძალის გამოყენებით მიიყვანეს თურქეთის რესპუბლიკის ჩავუშლუსა და ბუჯაქანის დასახლების ტერიტორიაზე, სადაც აღნიშნული პირები დახოცეს და დაუდგენელ ადგილას დამარხეს.

2011 წლის 25 იანვარს „...-ს“ ოფისში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, რომლის ერთ-ერთი მეწილე არის მ. თ-ი, ამოიღეს ქიმიური ინსტიტუტის მიერ დამზადებული 9 მმ კალიბრიანი ლულები და ვაზნა, განკუთვნილი იმავე კალიბრიანი იარაღისათვის.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 13 მარტის განჩინებით მ. თ-ის აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა 3 თვით საექსტრადიციო პატიმრობა.

მ. თ-ის საექსტრადიციო პატიმრობის ვადის ათვლა დაეწყო დაკავების მომენტიდან – 2012 წლის 11 მარტიდან.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის – თ. ბ-ის 2012 წლის 16 მაისის დადგენილებით დაკმაყოფილდა თურქეთის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოს შუამდგომლობა მ. თ-ის ექსტრადიციასთან დაკავშირებით, რადგან თურქეთის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოს შუამდგომლობა შეესაბამებოდა «ექსტრადიციის შესახებ» 1957 წლის ევროპული კონვენციითა და „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნებს. ამასთან, საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის – თ. ბ-ის 2012 წლის 16 მაისის დადგენილებით მიჩნეულია, რომ არ არსებობს მ. თ-ის თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის დამაბრკოლებელი გარემოებები.

აღნიშნული დადგენილება ექსტრადიციას დაქვემდებარებულმა პირმა – მ. თ-იმ გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოში და ითხოვა საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის – თ. ბ-ის 2012 წლის 16 მაისის დადგენილების გაუქმება იმ მოტივით, რომ მისი თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმე არ წარიმართება სამართლიანად და ობიექტურად, ვინაიდან ბრალდების მხარეს გამოძიების დაწყებიდან დღემდე საშუალება ჰქონდა, საქმე სრულყოფილად გამოეძიებინა, რასაც მოჰყვებოდა მის მიმართ ყოველგვარი ეჭვის გაქარწყლება, რადგან ერთ-ერთი ის პირი, კერძოდ, ჰ. რ-უ, რომლის მკვლელობაც მას ბრალდება, დღესაც ცოცხალია და ცხოვრობს ყირგიზეთის დედაქალაქ ბიშკეკში. აღნიშნულის შესახებ არაერთხელ ეცნობა თურქეთის პროკურატურას, თუმცა ამას რეაგირება არ მოჰყოლია. შესაბამისად, თურქეთში მისი ექსტრადიციის შემთხვევაში მის მიმართ ვერ განხორციელდება სამართლებრივი სასამართლო და დაირღვევა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის

მოთხოვნა. „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად: „სამართლებრივი დახმარების აღმოჩენა არ მოხდება, თუ სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ შუამდგომლობის შესრულებამ შესაძლოა, ზიანი მიაყენოს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს“. ქართულ მხარეს არ გააჩნდა თურქეთის კომპეტენტური ორგანოს მიერ მიწოდებული საკმარისი ინფორმაცია მისი ექსტრადიციის თაობაზე, რის გამოც „ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის (პარიზი 13.12.1957) მე-13 მუხლის გათვალისწინებით, არ უნდა მიეღო დადგენილება მისი ექსტრადიციის თაობაზე და თხოვნის მიმღები მხარისათვის უნდა დაევალებინა დამატებითი ინფორმაციის წარდგენა, რაც თურქულ მხარეს არ გააჩნია.

სასამართლო სხდომაზე ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა მ. შ-შვილმა საჩივარს მხარი დაუჭირა და ითხოვა მისი დაკმაყოფილება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 4 ივნისის განჩინებით არ დაკმაყოფილდა მ. თ-ის მოთხოვნა მისი თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის გაუქმების შესახებ და ძალაში დარჩა საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის – თ. ბ-ის 2012 წლის 16 მაისის დადგენილება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 4 ივნისის განჩინებისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის – თ. ბ-ის 2012 წლის 16 მაისის დადგენილების შესახებ ექსტრადირებულმა პირმა მ. თ-იმ და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა მ. შ-შვილმა კერძო საკასაციო საჩივრით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორებმა საჩივრით ითხოვეს მ. თ-ის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით მისი თურქეთის რესპუბლიკისათვის გადაცემის შესახებ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებების გაუქმება.

საკასაციო პალატის სხდომაზე ექსტრადიციას დაქვემდებარებულმა პირმა მ. თ-იმ და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა მ. შ-შვილმა მხარი დაუჭირეს კერძო საკასაციო საჩივარს და ითხოვეს მისი დაკმაყოფილება იმ საფუძვლით, რომ ბრალდების მხარე არ არის დაინტერესებული, საქმე წარიმართოს სამართლიანად და ობიექტურად; პირი, რომლის მკვლელობაშიც ექსტრადირებულს ედება ბრალი, დღესაც ცოცხალია (რის თაობაზეც არაერთხელ ეცნობა თურქეთის პროკურატურას), მაგრამ ამაზე რეაგირებას არავინ ახდენს. ამდენად, არც მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილება იქნება სამართლიანი.

სასამართლო სხდომაზე პროკურორმა ი. დ-ძემ საჩივრის მოთხოვნას მხარი არ დაუჭირა, საჩივარი მიიჩნია უსაფუძვლოდ და ითხოვა საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის – თ. ბ-ის 2012 წლის 16 მაისის დადგენილებისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 4 ივნისის განჩინების, როგორც კანონიერისა და დასაბუთებულის, ძალაში დატოვება, რადგან აღნიშნული გადაწყვეტილებები გამოტანილია საქართველოსა და საერთაშორისო კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა წარმოდგენილი კერძო საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მოისმინა მხარეების პოზიცია და თვლის, რომ კერძო საკასაციო საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 4 ივნისის განჩინება უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

წარმოდგენილი მასალების მიხედვით დგინდება, რომ მ. თ-ი არის თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე, რომელსაც ბრალი ედება შეიარაღებული ორგანიზებული ჯგუფის შექმნაში დანაშაულის ჩადენის მიზნით; ჯანმრთელობის დაზიანებაში; თავისუფლების უკანონოდ აღკვეთაში, ჩადენილი ძალადობით, მუქარით, მოტყუებით; განზრახ მკვლელობაში; ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის გამოყენებაში.

თურქეთის რესპუბლიკის ხოფის რაიონული სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა მაგისტრატმა მოსამართლემ 2011 წლის 28 დეკემბერს გასცა თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქის, 1982 წლის 30 აგვისტოს დაბადებული მ. თ-ის დაკავების ბრძანება და მ. თ-ის მიმართ გამოცხადდა ძებნა.

2012 წლის 1 მარტს საქართველოს მთავარ პროკურატურაში შევიდა თურქეთის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოს შუამდგომლობა თანდართული საექსტრადიციო მასალებით მ. თ-ის თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შესახებ.

2012 წლის 11 მარტს შს სამინისტროს აჭარის ა/რ-ის მთავარი სამმართველოს ბათუმის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა ბათუმში დააკავეს თურქეთის რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი მ. თ-ი, ხოლო ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 13 მარტის განჩინებით მ. თ-ის აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა 3 თვით საექსტრადიციო პატიმრობა.

საკასაციო პალატა ეთანხმება თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 4 ივნისის განჩინებას მ. თ-ის ექსტრადიციის შესახებ, რომლითაც ძალაში დარჩა საქართვე-

ლოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის – თ. ბ-ს 2012 წლის 16 მაისის დადგენილება, რადგან იგი არ ეწინააღმდეგება «სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ» საქართველოს კანონს, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობასა და საერთაშორისო კონვენციებს.

ამასთან, საქმეში არ მოიპოვება ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც შეიძლებოდა გამხდარიყო ექსტრადიციაზე უარის თქმის სამართლებრივი საფუძველი.

დადგენილება სრულად მოიცავს: საექსტრადიციო პროცედურებს, ექსტრადიციის სამართლებრივ საფუძველს, პროცედურულ წესებს, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, ორმაგი დანაშაულებრიობის პრინციპს, ბრალდების ფაქტობრივ საფუძველს, დასჯადობას თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად, მოქალაქეობისა და ლტოლვილობის შესახებ წესებს, დანაშაულის ხანდაზმულობას, პარალელური წარმოების წესებს და «ნონ ბის ინ იდემი-ის» პრინციპს.

ამდენად, პალატას განჩინებისა და დადგენილების უკანონობასა და უსაფუძვლობაში ეჭვის საფუძველი არ გააჩნია, ხოლო რაც შეეხება დაცვის მხარის აპელირებას, რომ თითქოს თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ სისხლის სამართლის საქმე არ წარიმართება სამართლიანად და ობიექტურად, და რომ მის მიმართ წარდგენილი ბრალდებები ხელოვნურადაა შექმნილი, რომელიც შემდგომში ემსახურება მ. თ-ის მიმართ უსამართლო დევნის, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მიზანს, პალატა ვერ გაიზიარებს, რადგან არც საჩივარში და არც სასამართლო სხდომაზე მხარეს არ წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება, რაც «სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ» საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, ექსტრადიციაზე უარის თქმის სამართლებრივი საფუძველი იქნებოდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას, ცნობს და აღიარებს რა საერთაშორისო კონვენციებით, პაქტებითა და საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ ადამიანის უფლებებს, აგრეთვე ითვალისწინებს საქართველოს სახელმწიფოს მიერ ამ სფეროში ნაკისრი ვალდებულებების შესრულების აუცილებლობას და ზემოთ განხილულ გარემოებებს აფასებს საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით დადგენილ სტანდარტებთან მიმართებით, მიაჩნია, რომ მ. თ-ის ექსტრადიციის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 4 ივნისის განჩინება, რომლითაც ძალაში დარჩა საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის – თ. ბ-ს 2012 წლის 16 მაისის დადგენილება მ. თ-ის თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შესახებ, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით, უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-15 ნაწილით, „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ 2010 წლის 21 ივლისის საქართველოს კანონით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – მ. თ-ისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. შ-შვილის კერძო საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 4 ივნისის განჩინება, რომლითაც ძალაში დარჩა საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის – თ. ბ-ის 2012 წლის 16 მაისის დადგენილება მ. თ-ის თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შესახებ, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საკასაციო გასაჩივრების ვადა

განჩინება

[1]12[I]-11 27 იანვარი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
დ. სულაქველიძე,
გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ ბ. ი-ის კერძო საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 13 სექტემბრის დადგენილებაზე, რომლითაც ბ. ი-ის უარი

ეთქვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 3 ივნისის განაჩენის საკასაციო გასაჩივრების გაცდენილი ვადის აღდგენაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 3 ივნისის განაჩენით ბ. ი-ი ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რისთვისაც მას სასჯელად განესაზღვრა 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2010 წლის 14 ივლისიდან.

საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით ბ. ი-ს დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 10.000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი, შპს «...»-ის სათამაშო კლუბის ჩხრეკისას ამოღებულ, შავ ჩანთაში მოთავსებული ერთი ხელის კომპიუტერი ე.წ. «ლეპტოპი», საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს შპს «...»-სს, ხოლო ბ. დ-საგან ამოღებული ფულადი თანხა – 1806 ლარი, უნდა დაუბუნდეს ინდმეწარმე «გ. კ-ს».

2011 წლის 29 ივნისს მსჯავრდებულმა ბ. ი-მა რუსულ ენაზე შედგენილი საკასაციო საჩივრით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლის თანაშემწემ 2011 წლის 8 ივლისს წერილობით მიმართა მსჯავრდებულ ბ. ი-ს და აცნობა, რომ საქართველოს სსსკ-ის მე-17 მუხლის თანახმად, სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება ქართულ ენაზე. ამდენად, მან უნდა გაასწოროს ხარვეზი და ქართულ ენაზე შედგენილი საჩივარი შეიტანოს თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

2011 წლის 5 აგვისტოს მსჯავრდებულმა სამართალწარმოების ენაზე შედგენილი საკასაციო საჩივარი შეიტანა თბილისის სააპელაციო სასამართლოში. მან ითხოვა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 13 სექტემბრის დადგენილებით არ დაკმაყოფილდა მსჯავრდებულ ბ. ი-ის შუამდგომლობა განაჩენის საკასაციო წესით გასაჩივრების გაცდენილი ვადის აღდგენის თაობაზე.

2011 წლის 6 ოქტომბერს მსჯავრდებულმა ბ. ი-მა კერძო საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. საჩივარში მან აღნიშნა, რომ ვინაიდან არ ჰყავდა ადვოკატი, ვისგანაც მიიღებდა სრულყოფილ კონსულტაციას, სააპელაციო სასამართლოს წერილობითი მიმართვა აღიქვა არასწორად, რის გამოც ჯერ ითხოვა გასაჩივრების ვადის აღდგენა, მოგვიანებით კი გაგზავნა საკასაციო საჩივარი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებულმა ითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 13 სექტემბრის დადგენილების გაუქმება და გაშვებული საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა საქმის მასალები და კერძო საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი გაშვებული საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სსსკ-ის 550-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივრის შეტანა მხარეებს შეუძლიათ სააპელაციო სასამართლოში განაჩენის გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში.

განაჩენი ბ. ი-ის მიმართ დადგენილია 2011 წლის 3 ივნისს, ხოლო სამართალწარმოების ენაზე შედგენილი საკასაციო საჩივრით მხარემ სასამართლოს მიმართა 2011 წლის 5 აგვისტოს, რითაც დაირღვა საპროცესო კანონით დადგენილი გასაჩივრების ერთთვიანი ვადა.

რაც შეეხება მსჯავრდებულ ბ. ი-ის მიერ საჩივარში მითითებულ არგუმენტს, რომ მსჯავრდებულს საჩივრის შეტანა დააგვიანდა იმიტომ, რომ არ ჰყავდა ადვოკატი, რის გამოც ვერ მიიღო სრულყოფილი იურიდიული კონსულტაცია, პალატა ვერ გაიზიარებს, რადგან მსჯავრდებულ ბ. ი-ს საქმის სასამართლო განხილვის დაწყებისთანავე ჰყავდა დამცველი შეთანხმებით, რის საფუძველზეც მას ევალებოდა მსჯავრდებულის ინტერესების დაცვა ყველა სასამართლო ინსტანციაში.

საქმის მასალებიდან ჩანს, რომ მსჯავრდებულს განმარტება-კონსულტაცია საკასაციო საჩივრის სამართალწარმოების ანუ ქართულ ენაზე შედგენის აუცილებლობის შესახებ უკვე მიღებული ჰქონდა სააპელაციო საჩივრის შედგენისას და ამიტომ ადვოკატმა სააპელაციო საჩივარი შეადგინა ქართულ ენაზე, რასაც თავისი ხელმოწერით დაეთანხმა ბ. ი-ი. აქედან გამომდინარე, არასარწმუნოა მსჯავრდებულის არგუმენტაცია საკასაციო საჩივრის ქართულ ენაზე შედგენის აუცილებლობის არცოდნის თაობაზე. ბ. ი-ს დამცველი რომ ჰყავდა, ეს ჩანს საკასაციო წესით გასაჩივრების გაცდენილი ვადის აღდგენის თაობაზე შუამდგომლობის განხილვის სასამართლო სხდომის ოქმიდანაც, მაგრამ მან ადვოკატთან ურთიერთობა გაწყვიტა საქმის სასამართლო განხილვის დამთავრებისთანავე, რის შემდეგაც მსჯავრდებულს მისთვის დაცვის მოთხოვნის ან სა-

მართლებრივი დახმარების მიღების მიზნით აღარ მიუმართავს, თუმცა, მსჯავრდებულისვე თხოვნით, იგი მივიდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, გაუწია იურიდიული კონსულტაცია და დაეხმარა საკასაციო საჩივრის შედგენაში.

ამდენად, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს და აღნიშნულ გარემოებას ვერ ჩათვლის ისეთ საპატიო მიზეზად, რომლის გამოც გასაჩივრების გაცდენილი ვადა უნდა აღდგეს.

საქართველოს სსსკ-ის 523-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის განმხილველმა სასამართლომ შეიძლება, აღადგინოს საპატიო მიზეზით გაცდენილი გასაჩივრების ვადა, მაგრამ სააპელაციო პალატამ სავსებით მართებულად მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში არ არსებობს საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენის საპატიო მიზეზი, რასაც ეთანხმება საკასაციო პალატა და მიაჩნია, რომ გასაჩივრებული დადგენილება არის კანონიერი, დასაბუთებული და იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ბ. ი-ის კერძო საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 13 სექტემბრის დადგენილება, რომლითაც ბ. ი-ს უარი ეთქვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 3 ივნისის განაჩენის საკასაციო გასაჩივრების გაცდენილი ვადის აღდგენაზე, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საკასაციო გასაჩივრების ვადა

განჩინება

[1]1ი-12 2 აპრილი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
პ. სილაგაძე

გარეშე განიხილა მსჯავრდებულ დ. თ-ასა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატების – დ. შ-ასა და ლ. შ-ას კერძო საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 27 იანვრის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 23 ივნისის განაჩენით დ. თ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტის საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით.

2012 წლის 20 იანვარს მსჯავრდებულმა დ. თ-ამ განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენის თაობაზე. განცხადებაში საკასაციო გასაჩივრების ვადის გაშვების მიზეზად დ. თ-ამ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ იგი ავადმყოფობის გამო არ იმყოფებოდა საქართველოში, რის გამოც ვერ მოახერხა ადვოკატებთან შეთანხმება განაჩენის გასაჩივრების თაობაზე. ამასთან, აღნიშნა, რომ მის მიმართ, საპროცესო კანონით გათვალისწინებული ანალოგიის წესით, უნდა გამოეყენებინათ მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-300 მუხლი, რომლის თანახმად, მსჯავრდებულს, რომლის მიმართაც გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილია მის დაუსწრებლად, უფლება აქვს, გაასაჩივროს იგი დაპატიმრებიდან ან სათანადო ორგანოებში გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 27 იანვრის განჩინებით მსჯავრდებულ დ. თ-ას უარი ეთქვა საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენაზე.

მსჯავრდებულმა დ. თ-ამ და მისმა ადვოკატებმა აღნიშნული განჩინება გაასაჩივრეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში და ითხოვენ საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენას, იმ მოტივით, რომ დ. თ-ას მიმართ, საპროცესო კანონით გათვალისწინებული ანალოგიის წესით,

უნდა გამოეყენებინათ მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-300 მუხლი, რომლის თანახმად, მსჯავრდებულს, რომლის მიმართაც გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილია მის დაუსწრებლად, უფლება აქვს გაასაჩივროს იგი დაპატიმრებიდან ან სათანადო ორგანოებში გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა საქმის მასალები და კერძო საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი გაშვებული საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 523-ე მუხლის თანახმად, საკასაციო საჩივრის შეტანა მხარეებს შეუძლიათ სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში იმავე სასამართლოში. საქმის მასალებით დადგენილია, რომ სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდა მსჯავრდებულის ადვოკატი, მხარეებს განემარტათ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში განჩინების გასაჩივრების წესი და გასაჩივრების ვადა. რაც შეეხება კასატორის განმარტებას იმის თაობაზე, რომ მის მიმართ უნდა გამოეყენებინათ საქართველოს სსსკ-ის მე-300, მუხლი საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს, ვინაიდან ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ვრცელდება იმ საქმეებზე, რომლებზეც სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 2010 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ.

საქართველოს სსსკ-ის 523-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის განმხილველმა სასამართლომ შეიძლება, აღადგინოს საპატიო მიზეზით გაცდენილი გასაჩივრების ვადა, მაგრამ სააპელაციო პალატამ სავსებით მართებულად მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში არ არსებობს საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენის საპატიო მიზეზი, რასაც ეთანხმება საკასაციო პალატა და თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინება არის კანონიერი, დასაბუთებული და იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

ამრიგად, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენის კანონიერი საფუძველი, რის გამოც საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 27 იანვრის განჩინება, რომლითაც მსჯავრდებულ დ. თ-ას უარი ეთქვა მის მიერ არასაპატიო მიზეზით გაშვებული საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენაზე, არის კანონიერი და იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «ა» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ დ. თ-ასა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატების – დ. შ-ასა და ლ. შ-ას კერძო საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 27 იანვრის განჩინება, რომლითაც მსჯავრდებულ დ. თ-ას უარი ეთქვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 23 ივნისის განაჩენის საკასაციო გასაჩივრების გაცდენილი ვადის აღდგენაზე, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.